პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წლიწადი მეშვიდე

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. საგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— ამსტერდამის ინტერნაციონალი განიცდის მწვავე კრიზისს.
— ოსმალეთის პარლამენტმა დაამტკიცა ოსმალეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულება.
— პოლონეთში დაიწყო ბელორუსიის გლეხთა პროცესი.
— საფრანგეთის საფეიქრო მრეწველობის პატრონებმა მუშებს ხელფასი შეუმცირეს 15 პროც.
— ინგლისის პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ დაამტკიცა ინგლისის-რუსეთის კომიტეტის ბერლინის შეთანხმება.
— ინგლისელები სტოვებენ უხანს (ჩინეთში).
— გაიხსნა გერმანიის ახკომკავშირის ყრილობა.

შაბათი, 16 აპრილი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 85 (1840)

შანხაის გადატრიალება

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი)

გუშინდელ და დღევანდელ დეპეშებს შანხაიდან მოაქვთ ისეთი ამბები, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჩინეთის რევოლიუციის ბედისათვის. ნაციონალურმა არმიამ, ჩან-კაი-შის სარდლობით, სისხლის ღვრით შური იძია შანხაის პროლეტარიატზე. განიარაღებული არიან პროლეტარიატის მებრძოლი რაზმები, განიარაღებული არიან შანხაის წითელ-გვარდიელები. ამოჟლიტეს მუშების მშვიდობიანი საპროტესტო დემონსტრაცია—შანხაის მუშები, მათი ცოლები და შვილები. შანხაიში, რომელიც ერთ და იმავე დროს წარმოადგენს ჩინეთის რევოლიუციის გულს (შანხაის მუშათა უბნები), ჩინეთის პროლეტარიატის ბრძოლის ციტადელს და მსოფლიო იმპერიალიზმის ჯალათურ ფორპოსტს (25.000 დაქირავებული ჯარისკაცი, რეაქციის იმპერიალისტური ჯავშნოსნები, ციხე-სიმაგრეთ გადაქცეული უცხოელთა უბანი) აშკარად თავი წამოყო სისხლის-მსმელმა კონტრ-რევოლიუციამ. მძიმე განსაცდელში ვითარდება ჩინეთის რევოლიუცია. გაუგონარ მძიმე და რთულ პირობებში, როცა ურთიერთობა რევოლიუციასა და იმპერიალიზმს შორის უკიდურეს გამწვავებამდე მივიდა (ნანკინი, ბლოკადისათვის მზადება), როცა იზრდება წინააღმდეგობა უკანასკნელ დრომდე მთლიან ანტი-იმპერიალისტურ ფრონტის რიგებში, ეს წინააღმდეგობანი გომინდანის შიგნით, გომინდანსა და სამხედრო სარდლობას შორის, მუშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის, რომელიც იხრება კაპიტულაციისაკენ იმპერიალიზმის წინაშე, ვითარდებოდნენ აუცილებელი და დაუზოგავი ლოღიკით. სწარმოებდა სოციალურ-კლასიური ძალების სწორედ ისეთივე გადაჯგუფება, როგორიც ეს თავის დროზე იწინასწარმეტყველა კომინტერნის აღმასკომის მეშვიდე გაფართოებულმა პლენუმმა. კომინტერნი მიუთითებდა იმაზე, რომ აუცილებელია რევოლიუციონური მოძრაობის დიფერენციაცია, აუცილებელია „საზოგადოებრივი ძალების სერიოზული გადაჯგუფება“.

1926 წლის დეკემბერში კომინტერნი აღნიშნავდა, რომ ჩინეთის რევოლიუცია უახლოვდება თავისი განვითარების „მესამე სტადიას“, რომელსაც ახასიათებს „კაპიტალისტური ბურჟუაზიის დიდი ნაწილის გამოთიშვა მთლიან რევოლიუციონურ ფრონტიდან“. ამ ხნიდან ამბები ვითარდებოდენ გიგანტიური სისწრაფით და ამ განვითარებამ გაამართლა კომინტერნის პროგნოზი.

შანხაი და ნანკინი ხელიდან გაუსხლტათ რეაქციონურ მილიტარისტებს.

შანხაი დაიპყრეს შიგნით აჯანყებულმა მუშებმა. იმპერიალისტები ჩასაფრდენ უცხოელთა უბნებში, მათმა სამხედრო ესკადრებმა დაიკავეს ჩინეთის ნავთ-სადგურები. ურთიერთობა იმპერიალისტებთან გამწვავდა უკიდურეს წერტილამდე. მშრომელთა მასები, ჩინეთის ხალხი სწრაფად წავიდა გამემარცხენების გზით. პირიქით, ჩინეთის ბურჟუაზია დღითი-დღე სულ უფრო და უფრო დაფრთხალი განზე დგებოდა რევოლიუციონურ დროშისაგან. არმიის სარდლობა, გენერალ ჩან-კაი-შის მეთაურობით, გამოხატავდა ამ განწყობილებას. ჩინეთის ნაციონალური ბურჟუაზიის ამ ლიკვიდატორულ ტენდენციებს. კომპარტია მართალი იყო, როცა ის გამოვიდა ჩან-კაი-შის წინააღმდეგ. გომინდანში გაჩაღდა შინაური ბრძოლა: გომინდანის ცეკას უკანასკნელ პლენუმზე დამარცხდნენ მემარჯვენეები. ხალხთა დაბალი ფენების, მუშების, გლეხების; წვრილ-ბურჟუაზიის და ჯარისკაცების ზეგავლენით, ჩან-კაი-ში იძულებული გახდა მოეხდინა მანევრები და განეცხადებინა, რომ ის ემორჩილება გომინდანის დირექტივებს, და რევოლიუციისა და სუნიატსენიზმის პრინციპების ერთგული დამცველია, მაგრამ ამავე დროს ის და მისი თანამოაზრეები მეორე ხელით ნიადაგს სინჯავდენ იმპერიალისტებთან ბლოკის და თანხმობის მისაღწევად. რამდენად ხელა ვითარდებოდა სამხედრო ოპერაციები საგარეო ფრონტებზე, მით უფრო ენერგიულად, პირიქით, ვითარდებოდა ჩან-კაი-შის და მისი მორჩილი ბაო-ცზუნ-შის „ოპერაციები“ ჩინეთის პროლეტარიატისა და კომპარტიის წინააღმდეგ. ჩინეთის ბურჟუაზიის და იმპერიალისტების გულის მოსაგებად ჩან-კაი-შიმ ცეცხლი მიმართა მუშების წინააღმდეგ.

სამი დღის წინ კრიზისი გათავდა შანხაელ მუშებზე სამარცხვინო შურისძიებით. მოხდა კონტრ-რევოლიუციონური გადატრიალება: 11 აპრილს ბაო-ცზუნ-შიმ ალყა შემოარტყა და იარაღი აჰყარა შანხაის მუშების რაზმებს. იმპერიალისტებმა ხელი შეუწყვეს ბაო-ცზუნ-შის, რომელსაც სისტემატიურად აქეზებდენ მუშებისათვის სროლის ტეხისაკენ. 12 აპრილს გადადგმულ იქნა შემდგომი ნაბიჯი. ბაო-ცზუნ-შიმ ამოჟლიტა მუშების მშვიდობიანი დემონსტრაცია. შანხაის ქვა-ფენილები დაიფარა თავდადებულ პროლეტარულ მებრძოლთა სისხლით. ჩან-კაი-ში გახდა შანხაის პროლეტარიატის ჯალათი. შანხაის გადატრიალების აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მას ღრმა ახალი კვალი გაჰყავს ჩინეთის დიდ განმანთავისუფლებელ ბრძოლის მთელს ისტორიაში. ძალების ახალი გადაჯგუფება სავსებით თვალსაჩინო გახდა. მანამდე, სანამ ჩან-კაი-შის მიჰყავდა რევოლიუციის არმია ჩრდილოელ მილიტარისტების წინააღმდეგ, ის აკეთებდა რევოლიუციონურ საქმეს. იმ მომენტიდან, როდესაც მან შანხაის მუშების სისხლში გაისვარა ხელი, როდესაც მან დახვრიტა 600 პროლეტარი, ის გახდა ჩინელი კავენიაკი, ის და მისი მომხრენი გახდენ ნაციონალური კონტრ-რევოლიუციის თავშესაფრებ პუნქტად. ჩან-კაი-ში გვერდში ამოუდგა ჩან-ძო-ლინს რევოლიუციის წინააღმდეგ, ჩან-ძო-ლინს, რომელთანაც საზავო ხელშეკრულების დადების სურვილი უკვე გაკვრით აღნიშნა მან. ასი მილიონიანი ჩინელი ხალხის თვალში ჩან-კაი-ში წარმოდგენილია როგორც მოღალატე, როგორც გადამბირები იმპერიალისტების ბანაკში. წინად საერთაშორისო ბურჟუაზია ეარშიყებოდა და შენატროდა ჩან-კაი-შის, ხოლო დღეს კი აშკარად უკრავს მას ტაშს და იკრავს თავის გულში.

ჩინეთში იქმნება ახალი მდგომარეობა. წინააღმდეგობებმა აშკარად იჩინეს თავი. ჩინეთის რევოლიუციონური ხალხი ხედავს საფრთხეს იმპერიალიზმისა და შინაური კონტრ-რევოლიუციისაგან. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ჩინეთის რევოლიუციის ბანაკი გამოიჩენს საჭირო სიმტკიცეს და თავდაჭერას. ჩინეთის რევოლიუცია შესძლებს თავის გზიდან ყველა მოღალატეებისა და [illegible] მოცილებას. ჩან-კაი-შიმ გამოიწვია მასები. მასები მიიღებენ ამ გამოწვევას. დამარცხება ჭკუის სასწავლებელია, ჩინელი მუშები. გლეხების და ყველა რევოლიუციონერები გამოიყენებენ შანხაის ტრაგედიის გაკვეთილს, კიდევ უფრო მტკიცედ შეუკავშირდება ჩინეთის კომპარტია გომინდანს, გომინდანს უჩან-კაი-შიოდ, კიდევ უფრო შეუპოვრად და მტკიცედ დარაზმავენ ისინი მასებს. მოიკრებენ ძალებს, მოემზადებიან ახალ ბრძოლებისათვის. და შანხაის განცდილ დამარცხების გზით მივლენ საბოლოო გამარჯვებამდე.

მოსკოვი, 15 აპრილი.

საგზაო მშენებლობის საკითხები

საქართველოს და ამიერ-კავკასიის საბჭოთა ახლად დასრულებულ ყრილობებმა განსაკუთრებული ყურადღებით განიხილეს საგზაო მშენებლობის საკითხი. რეზოლიუციაში, რომელიც მიღებულია ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობის მიერ, საგზაო მშენებლობა გათანაბრებულია სამრეწველო მშენებლობასთან. აქედან ყრილობებს შესაფერი პრაქტიკული დასკვნა გამოაქვთ, რომელიც გვეუბნება, რომ საჭიროა მეტი მზრუნველობა საგზაო მშენებლობის ფინანსიური ბაზის გასაძლიერებლად.

ჩვენ შეუჩერებლივ წინ მივდივართ. მოსახლეობა თვალდათვალ იზრდება კულტურულათ და პოლიტიკურათ. აღებ-მიცემობა ფართოვდება. ჩვენი გზების დღევანდელი მდგომარეობა კი, იმდენად უნუგეშოა, რომ ის არა თუ ხელს უწყობს ამ საერთო ზრდას, არამედ ბორკავს და აჩერებს მის განვითარებას.

ჩვენი ქვეყანა თავისებურ ბუნებრივ პირობების გამო მეტად ღარიბია წყლების გზით. ასეთ პირობებში, თუ შავ ზღვას არ მივიღებთ მხედველობაში თითქმის არც ნაოსნობა. საქართველოს მდინარეები ჯერჯერობით მხოლოდ დაუმუშავებელ ტყის გადასაზიდათ თუ გამოდგება. სხვანაირად, ჩვენ წყლები დღემდე თითქმის არავითარ სარგებლობას არ წარმოადგენენ. გარდა ამისა, თვით ხმელეთის გზების მშენებლობის განვითარებასაც ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ პირობებში წინ ეღობება მთელი რიგი დაბრკოლებები, რომელნიც აძვირებენ და ტექნიკურად ართულებენ საგზაო მშენებლობის საქმეს. ესაა მთის რელიეფი. ამ დაბრკოლების გადალახვა შესაფერ მატერიალურ და ტექნიკურ შესაძლებლობას ითხოვდა სახელმწიფოსაგან. ცხადია, სანამ საბჭოთა ხელისუფლება ომისა და რევოლიუციისაგან დანგრეულ მრეწველობის აღდგენას უნდებოდა, საგზაო მშენებლობას არ ექცეოდა შესაფერი ყურადღება. ამით აიხსნება, რომ ჩვენ თითქმის არ გაგვიყვანია ახალი გზები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქუთაის-წყალტუბოს გზას (12 კილომეტრი). ჯავა-როკის—(28 კილომეტრი) და ხურამ-ძირულის—(55 კილომეტრი) გზას.

საქართველოში სულ 6.010 კილომეტრი გზაა, რომელშიაც შედის, როგორც საკავშირო, ე. ი. სტრატეგიული, ისე რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზები. ამ საერთო ციფრთან შედარებით, რომელიც თავისთავად არას შემთხვევაში არ შეიძლება საკმაოთ ჩაითვალოს, ახლად გაყვანილ გზების საერთო სიგრძე (95 კილომეტრი) სრულიად უმნიშვნელო რაოდენობას წარმოადგენს.

გარდა ამისა 1914 წლის შემდეგ ჩვენ მიერ მეფის მთავრობისაგან მემკვიდრეობით მიღებულ გზების კაპიტალური შეკეთება არ ჩაგვიტარებია. მიმდინარე რემონტი უმთავრესად მიზნათ ისახავდა გზებისა და ხიდების საექსპლოატაციო ღირებულების შენარჩუნებას.

ცხადია, ასეთი მდგომარეობა დიდ ხანს ვეღარ გაგრძელდება. საქართველოს და ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობებმა უკვე სთქვეს თავიანთი ავტორიტეტული სიტყვა საგზაო მშენებლობის გაფართოების აუცილებლობის შესახებ. საჭიროა აქედანვე შეუდგეთ საქმეს, რომ ყრილობების უაღრესად დროული და მიზანშეწონილი დადგენილებანი განხორციელებული იქნან.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ საგზაო მშენებლობის საქმეს მეტი მფარველობა უნდა გაუწიოს სახელმწიფო ბიუჯეტმა, ვიდრე ეს დღემდე იყო. ეს საქმე დღეს იმდენად მძიმე ფინანსიურ პირობებშია ჩაყენებული, რომ იმ მატერიალურ შესაძლებლობით, რომელიც საგზაო ორგანოებს გააჩნიათ საქმის ფართოდ დაყენებაზე ლაპარაკი უბრალო ოცნება იქნებოდა. ამიტომ ფინანსიური სახსრების გაძლიერება—პირველი და ძირითადი პირობაა საგზაო მშენებლობის გასაშლელად და განსავითარებლად.

მაგრამ, რაც უნდა დიდი წვლილი არ გამოიღოს საგზაო მშენებლობაზე სახელმწიფო სალარომ, ის მაინც ვერ შესძლებს ყველა იმ საჭიროებათა დაფარვას, რომელიც ამ მხრივ არსებობს დღეს ჩვენში. აქ უსათუოდ საჭიროა მოსახლეობის აქტიური დახმარება. მოსახლეობა არასოდეს უარს არ ამბობს გზებისა და ხიდების საერთო ძალებით გაკეთებაზე, მაგრამ ის ამისათვის ითხოვს ადმინისტრატიულ და ტექნიკურ თაოსნობას.

არსებული კანონი სოფლის მოსახლეობის საზოგადო სამუშაობებში მონაწილეობის შესახებ ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ის საზოგადო საქმისადმი გულგრილათ განწყობილ ელემენტებს მოვალეობისაგან თავის დაღწევის მრავალგვარ საშუალებას აძლევს და ამრიგად ხშირად ხელს უშლის მოწინავე გლეხკაცობის და სოფლის უმრავლესობის ცდას საერთო ძალებით აწარმოონ საგზაო მშენებლობა.

ამ მხრივ საჭიროა სათანადო კანონმდებლობითი ხასიათის ღონისძიებების მიღება. მაგრამ ეს კიდევ არ კმარა. ადგილობრივ ორგანიზაციებმა თავის მხრივ უნდა გააცხოველონ მუშაობა. მათ უნდა მიიღონ ყოველივე მათზე დამოკიდებული ზომები საგზაო მშენებლობის, ადგილობრივი ძალებით დახმარებისათვის. ამ მხრივ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ლეჩხუმი, სადაც ფინანსიური და ტექნიკური ხელმძღვანელობის პირობებში ადგილობრივ მუშაკებმა შესძლეს ორბელ-ცაგერის უდიდესი მნიშვნელობის გზის თითქმის მთლიანად გაყვანა. ეს მაგალითი ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ ორგანიზაციების ინიციატივაზე და თვითშემოქმედებაზე ბევრი რამაა დამოკიდებული.

საგზაო მშენებლობა დღეს ჩვენს წინაშე ისმება, როგორც უაღრესი მნიშვნელობის პრაქტიკული ამოცანა.

საჭიროა როგორც სახელმწიფოებრივ, ისე საზოგადოებრივ ძალთა ყველა შესაძლებლობის გამოყენება იმისათვის, რომ მოგვარდეს ეს საყოველთაო საჭირბოროტო საკითხი და ამით კიდევ უფრო დაჩქარდეს ჩვენი შეუჩერებელი [illegible] და კულტურული წინსვლა.

მ. ლ—ძე.

საბჭოთა კავშირსა და შვეიცარიის შორის კონფლიქტი მოგვარებულია

საერთაშორისო იმპერიალიზმის ინტრიგები ჩინეთში

კომინტერნის და ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაციის მოწოდება ყველა მუშებისადმი

მუშების დახვრეტაში მონაწილეობას იღებდენ უცხოეთის ჯარების ნაწილები

გაზეთები იტყობინებიან, რომ გომინდანის მემარჯვენეთა მთავრობას სათავეში ჩაუდგება ჩან-კაი-ში

კომინტერნის აღმასკომის მოწოდება

მოსკოვი, 15 აპრილი. „მუშებო, მშრომელნო და ჩაგრულნო, კომუნისტური ინტერნაციონალი მოგმართავთ თქვენ ყველას მოწოდებით მასიურ ენერგიულ პროტესტისაკენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც ლამობს მოახვიოს ქვეყანას თავზე ახალი მსოფლიო ომის საშინელება.

თითქმის 18 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დაიწყო პირველი დიდი იმპერიალისტური ომი. კაცობრიობას ჯერ კიდევ არ დაუხწევია თავი იმ არაჩვეულებრივ ნგრევისა და ქაოსისათვის, რომელიც შექმნა მსოფლიო ომმა. ჯერ კიდევ დადიან ქალაქების ქუჩებში ასი ათასობით დასახიჩრებულები, საზიზღარი სისხლის ღვრის მილიონი ინვალიდები. ჯერ კიდევ არ გამშრალა სისხლი, რომელიც დაიღვარა ევროპის და აზიის მინდვრებში. აქამდის გრძელდება საომი კრიზისები, რომლებიც სათავეს იღებენ პირველ მსოფლიო ომიდან.

ეხლა იხევ ამუშავდა ზარბაზნები. ჯერ კიდევ ძლევამოსილმა იმპერიალისტურმა ხროვამ დაიწყო ჯალათური ომი ჩინეთის ხალხის წინააღმდეგ. ჩინეთის ნავთსადგურებში სდგას 170-ზე მეტი სამხედრო გემი. იაპონიის, ინგლისის, ამერიკის და სხვა „დიდ“ სახელმწიფოების ათეულ ათას ჯარისკაცებმა თავისი სალდათური ჩექმა დაადგეს მას, რომელიც მორწყულია ჩინეთის ხალხის მრავალტანჯულ მასების სისხლით და ოფლით. ჩინეთის უმნიშვნელოვანესი ქალაქები უკვე დაკავებულია „განათლებულ“ ჯალათების მიერ. მდინარე, იან-ძი სავსეა მათი ნაღმოსნებით და კრეისერებით. ნავთსადგურები კაპიტალის ყაჩაღების ხელშია. მანჯურიას იჭერს იაპონიის არმია, რეაქციონერ არამზადა ჩან-ძო-ლინთან ერთად იმპერიალისტური არმიები გამანადგურებელ ომს აწარმოებენ რევოლიუციის წინააღმდეგ. ომის გამოუცხადებლათ, საზიმო ფორმულების გარეშე, მიუხედავათ შეთანხმებისა, იმპერიალისტური სახელმწიფოები ამ ომში გაერთიანებული გამოდიან ჩინეთის ხალხის წინააღმდეგ.

მათ უკვე დაიწყეს ომის მზადება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაც. საბჭოთა საელჩოზე აღმაშფოთებელი თავდასხმა პეკინში, დარბევა, ძარცვა-გლეჯა, დაპატიმრებანი. შანხაის საკონსულოსათვის ალყის შემორტყმა მეფის თეთრგვარდიელების, ინგლისელების და ამერიკელების მიერ არის პროვოკაცია საბჭოთა კავშირის მიმართ. ყველაფერი ეს მოწმობს, რომ არსებობს მთელი გეგმა, რომელიც სისტემატიურათ ტარდება იმპერიალისტური მეკობრების ინიციატივით.

ტყუილად კი არ ცდილობს ინგლისის იმპერიალიზმი ბორკილებში ჩასჭედოს ინგლისის მუშათა მოძრაობა და წაართვას ყველა უფლებები პროლეტარიატის პროფესიონალურ კავშირებს: მას სურს ჰქონდეს „დაწყნარებული“ ზურგი თავის სამხედრო „საგმირო“ საქმეებისათვის. ტყუილად კი არ ატარებს საფრანგეთის ბანკოკრატია „სამხედრო კანონებს“ თავის ქვეყანაში, ხდის რა მას სამხედრო ბანაკათ და გაძლიერებულათ ემზადება ახალ კატასტროფისათვის, რომელსაც ამზადებენ იმპერიალისტების პოლიტიკოსები, ახალ კონფლიქტისათვის ნადავლის გაყოფის ნიადაგზე, ახალ ინტერვენციისათვის რევოლიუციისა და პროლეტარიატის წინააღმდეგ. ტყუილად კი არ ერთიანდება კაპიტალის ყველა ძალები ჩინეთის რევოლიუციის წინააღმდეგ, მუშათა მოძრაობის ციხე-სიმაგრის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ისინი ამზადებენ ახალ საერთაშორისო სისხლის ღვრას, კიდევ უფრო საზიზღარს, კიდევ უფრო საშინელს, კიდევ უფრო ჯალათურს, ვინემ ის, რომელიც დაიწყეს 1914 წელში. ამ სისხლის ღვრას ხელს აფარებს ერთა ლიგა, ეს ფარისევლობის სავსე დაწესებულება. ერთა ლიგა, რომელიც არის იმპერიალისტური ყაჩაღების მიერ ერების ჩახშობის ლიგა, ლიგა, რომელიც ლაპარაკობს ზავის შესახებ და აწარმოებს ომს, რომელიც ლაპარაკობს დაჩაგრულთა მფარველობაზე და ანადგურებს მათ, რომელიც მსჯელობს განიარაღების შესახებ და ატარებს გააფთრებულ შეიარაღებას, რომელსაც ერთ ხელში უჭირავს ზეთის ხილის შტო, ხოლო მეორე ხელში მახვილი, რომელიც გასვრილია იმპერიალიზმის საზიზღარ ყასბების მიერ სირიაში, ეგვიპტეში, ინდოეთში, მაროკოში და ჩინეთში ამოჟლეტილ მილიონ მსხვერპლთა სისხლში. ამ სისხლისღვრას ხელს აფარებენ ამსტერდამის და მეორე ინტერნაციონალის ბელადები, რომელნიც პლატონიურათ ეტრფიან მშვიდობიანობას, მაშინ, როცა სინამდვილეში მათი მთავარი ენერგია მიმართულია მშვიდობიანობის დედაბოძის—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ისინი მხარს უჭერენ და ავრცელებენ სიცრუეს და ცილისწამებას, რომელსაც თხზავს საერთაშორისო იმპერიალიზმის მოსყიდული პრესა.

ამ ბრძოლაში იმპერიალიზმი იყენებს ძველი ქვეყნის ყველა ნაძირალებს. ინგლისის და შეერთებულ შტატების „მოწინავე“ დემოკრატია კავშირს კრავს მუსოლინის ჯალათებთან, ჩან-ძო-ლინის მაგვარ რეაქციონურ ყაჩაღებთან და მეფის თეთრგვარდიელებთან, რომლებიც გადაისროლა რევოლიუციამ ყოფილ იმპერიის ფარგლებიდან.

მშრომელ ხალხს გმირულ ბრძოლაში უხდება თავისი უფლებების და თავისუფლების დაცვა.

ჩინეთში იმპერიალისტებმა არამც თუ ბლოკადა გამოუცხადეს მთელს ქვეყანას: მათ შესძლეს აგრეთვე გომინდანის მთლიანობის დარღვევა, მოისყიდეს ჩან კაი-ში, რომელიც გახდა ჩინეთის რევოლიუციის და ჩინეთის ხალხის მოღალატე და ნაციონალური კონტრრევოლიუციის ცენტრი.

უცხოელებთან შეთანხმებით ჩან-კაი-შიმ შანხაიში მოახდინა გადატრიალება და გადააყენა შანხაის მთავრობა. მისმა გენერლებმა განაიარაღეს მუშათა რაზმები და უცხოელ მოძალადეების ბრძანებით ასობით დახვრიტეს პროლეტარები, ქალები და ბავშვები. უდიდესი აღშფოთებით და ზიზღით ჯალათებისადმი ვაცხადებთ ჩვენ ჩან-კაი-შის რევოლიუციის მოღალატეთ, იმპერიალისტურ-ყაჩაღების მოკავშირეთ, რევოლიუციონური გომინდანის, მუშათა მოძრაობის და კომუნისტურ ინტერნაციონალის მტრათ.

ყველა ქვეყნების მუშათა კლასმა, ყველა ერების ჩაგრულებმა უნდა დაინახონ, რომ ჩინეთში იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ჩამოშორდა ჩინეთის ბურჟუაზია, რომელიც შეაშინა მუშათა და გლეხთა მოძრაობის ძლევამოსილმა გიგანტიურმა ტალღამ. ამ მოძრაობაში ჩაბმულია კაცობრიობის ისეთი ოკეანე, ხალხის ისეთი ურიცხვი მასა, რომ იმპერიალიზმის ვერავითარი ძალები ვერ შესძლებენ ჩინეთის დიადი რევოლიუციის ჩახშობას. იმპერიალისტები ვერ ჩაახშობენ მას ვერც ფლოტით, ვერც ბლოკადით, ვერც მოსყიდვით და ვერც ცილისწამებით.

ისინი აპირებენ მის ჩახშობას ახალი საერთაშორისო ომის საშუალებით. მაგრამ ამ ახალი სისხლის ღვრის წინააღმდეგ აღსდგებიან პროლეტარები და გლეხობის მილიონიანი მასები.

ამ ახალი სისხლის ღვრის წინააღმდეგ აღსდგებიან ჯარისკაცები, აღსდგებიან დაჩაგრული ერები. უკვე იწყება მღელვარება ინდოეთში. უკვე ინგლისის სარდლობა იძულებულია გაიწვიოს ჩინეთიდან პენჯაბის ჯარები. უკვე იწყება პროტესტები ევროპის მუშათა კლასის მხრიდან. საბჭოთა კავშირიდან უკვე გაისმის მილიონ მუშების პროტესტი იმპერიალისტების თავხედობის და ჩინეთის რევოლიუციის ჩახშობის წინააღმდეგ, ახალი სისხლის ღვრის წინააღმდეგ.

ჩინეთის რევოლიუცია მისი გიგანტიური გაქანებით, მისი უდიდესი გავლენით კოლონიალურ ქვეყნებზე და ევროპის პროლეტარიატზე, გამოხატავს კაპიტალიზმის კრიზისის უაღრესად გაღრმავებას. ეს აიძულებს იმპერიალისტებს შეამჭიდროვონ ძალები და დროებით განზე გადსდონ თავიანთი უთანხმოებანი. მათი გალაშქრება ჩინეთის წინააღმდეგ და ავაზაკური პროვოკაციის გეგმები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საფრთხეში აგდებს საერთაშორისო მშვიდობიანობას.

აი რატომ მოუწოდებს კომუნისტური ინტერნაციონალი ყველა მუშებს და გლეხებს, ყველა მშრომელთ, ომის ყველა მოწინააღმდეგეთ ენერგიული პროტესტისაკენ, ენერგიული ბრძოლისაკენ ომის წინააღმდეგ.

არ დაუჯეროთ ბურჟუაზიულ პრესის სიცრუეს.

მოითხოვეთ ჯარების გაყვანა ჩინეთიდან.

ყოველივე საშუალებებით ხელი შეუშალეთ იარაღის და ჯარის გაგზავნას ჩინეთში.

ძირს ახალი მსოფლიო ომის გამჩაღებლები.

ძირს ჩინეთის ხალხის იმპერიალისტური ჯალათები.

ძირს ჩან-კაი-ში და სხვა მოღალატენი, გამცემლები და დახვრეტების ორგანიზატორები.

გაუმარჯოს შანხაის მუშებს.

გაუმარჯოს რევოლიუციონურ გომინდანს.

გაუმარჯოს ჩინეთის კომპარტიას.

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი
1927 წ. 14 აპრილი.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოსაგან

მოსკოვი, 15 აპრილი. მიუხედავათ საკავშირო დეპეშათა სააგენტოს განცხადებისა ლონდონის გაზეთი „დეილი ექსპრეს“ ავრცელებს ხმებს მანჯურიის საზღვრებზე საბჭოთა ჯარების თავმოყრის შესახებ. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს დავალებული აქვს ხელმეორედ კატეგორიულად უარყოს ყოველგვარი უსაფუძვლო ხმები ჯარების რაიმე გადაჯგუფების და სამხედრო მზადების შესახებ ან საბჭოთა მთავრობის მტრული განზრახვების შესახებ ჩინეთის მიმართ. ყველა ამგვარი ცნობები მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. (ადს).

ჩან-კაი-შის ღალატი

განხეთქილების შედეგები

ნიუ-იორკი, 14 აპრილი. „ასოშიეტედ პრეს“ იუწყება, რომ გუანდუნის პროვინციის თავრობამ აკრძალა გომინდანის მემარცხენე ფრთის დემონსტრაციები.

ჩან-კაი-შის მთავრობა?

შანხაი, 14 აპრილი. გომინდანის მემარჯვენე წრეებთან დაახლოვებული გაზეთი „ჩაინე კურიერ“ იუწყება, რა მომავალში ახალი მთავრობის შედგენის შესაძლებლობის შესახებ ჩან-კაი-შის მეთაურობით, აცხადებს, რომ ამ მთავრობას ექნება დიდი ავტორიტეტი და ის უფრო პოპულიარული და ძლიერი იქნება, ვინემ პეკინის და ხანკოუს მთავრობა. ფიქრობენ, რომ მემარჯვენე გომინდანელების ახალი მთავრობა დარჩება ნანკინში.

როგორ დახვრიტეს მუშები

შანხაი, 14 აპრილი. ვაქვეყნებთ დაწვრილებითი ცნობებს შანხაიში მომხდარ დახვრეტების შესახებ.

შანხაის ჩინურ რაიონში გაიმართა დიდი მიტინგი, რომელიც მოიწვია პროფკავშირთა საბჭომ. მიტინგი მთელ საათს გრძელდებოდა სამხედრო ხელისუფლების ჩარევის გარეშე. შემდეგ მოვიდა ჯარისკაცების რაზმი, რომელმაც მიტინგი გარეკა ჰაერში სროლით, სროლითვე გარეკილ იქნა სხვა ადგილებში მოწყობილი დემონსტრაციები. შანხაის პროფკავშირების ზოგიერთი შენობები ჯერ კიდევ უკავიათ ჯარებს. პროფკავშირების ნაწილი ჯერ-ჯერობით ლეგალურათ მუშაობს.

სარწმუნო ცნობების თანახმად, მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ გამოსვლა ერთდროულად მოხდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინეთის მთელ რიგ ქალაქებში.

იუწყებიან, რომ ნანკინში დახურეს [illegible] პროფკავშირები. ნაციონალური არმიის მთავარ სარდალის შტაბთან მივიდა ნანკინის მუშების დემონსტრაცია ათი ათასი კაცის შემადგენლობით. ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ დემონსტრაცია გარეკილ იქნა სროლით. იუწყებიან, რომ დემონსტრანტებს შორის არიან მოკლულები და დაჭრილები. ხან-ჩოუში ადგილი ჰქონდა მრავალ დაპატიმრებებს. შანხაიში ერთი დღის განმავლობაში დახვრეტილ იქნა სამი მუშათა დემონსტრაცია. პირველი—ჟო-ფი-ნის შტაბთან, მეორე—მეორე დივიზიის შტაბთან. ამ პროცესიების მონაწილეთა შორის მოკლულია 50 კაცი. მესამედ ჯარები ესროდენ მუშებს სამხრეთ-სადგურის და ტრამ. პარკის რაიონ., რომელშიაც წინად მოთავსებული იყო სამხრეთ რაიონის მუშათა რაზმების შტაბი. ამ რაიონში მოკლულ იქნა 20 კაცი, სულ გუშინდელი დღის განმავლობაში მოკლულია 100 მუშა და დაჭრილია 500. გუშინ ღამით, ჯარებმა ალყა შემოარტყეს „კომერშიელ პრეს“-ის კლუბის შენობას რომელიც დაჭერილი ჰქონდათ მუშებს. შენობაში იმყოფება 500-მდე მამაკაცი, ქალი და ბავშვები. (ადს).

ჩან-კაი-ში აგვიანებს კონფერენციას

შანხაი, 15 აპრილი. ჩინურ გაზეთებში დღეს მოთავსებულია ცნობა, იმის შესახებ, რომ ჩან-კაი-შიმ გადასწყვიტა ფორმალურად გადასდოს კონფერენციის გახსნა 18 აპრილს, ვიდრე გამოირკვეოდეს უხანის საბოლოო გადაწყვეტილება. ამ ცნობის თანახმად ნანკინში უკვე იმყოფება გომინდანის აღმასკომისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 22 წევრი. მათ შორის: ჩან-კაი-ში და ხუ-ხან-მინი. ხანკოუსთან ცუდი სატელეგრაფო კავშირის გამო, უხანის ჯგუფის შეხედულება ნანკინის კონფერენციაზე უცვლელი რჩება. (ადს).

კომპრომისის იმედი აქვთ

შანხაი, 15 აპრილი. ჩან-კაი-შის გათიშვით შექმნილი მდგომარეობა მით უფრო რთულდება, რომ მემარჯვენე ელემენტები, რომლებიც აშკარად გამოდიოდენ მუშათა და კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ, ობიექტიურ მიზეზების გამო, იძულებული არიან განაგრძონ ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჩინეთის ნაციონალური განთავისუფლებისათვის. ამასთან დაკავშირებით, შანხაიში მყოფი უხანის ჯგუფის წევრები არ ჰკარგავენ რაიმე კომპრომისის იმედს, მიუხედავათ ამ უკანასკნელ კვირაში მომხდარ ამბებისა. (ადს).

იმპერიალისტები კმაყოფილი არიან

შანხაი, 14 აპრილი. უკეთებს რა კომენტარიებს შანხაის ამბებს „ნორდ ჩაინა ნიუზ“ (ინგლისური ორგანო) სწერს:

„სამხედრო ხელისუფლების ენერგიული მოქმედობა მუშათა რაზმების განიარაღების მიზნით უნდა ჩაითვალოს ფაქტიური ბრძოლის დასაწყისად ორივე პარტიებს შორის“.

როგორ მზადდებოდა ღალატი

ნიუ-იორკი, 14 აპრილი. „ივნინგ პოსტ“-ის შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ მუშების განიარაღების წინა დღეს, **იაპონიის ჯარებმა ნაციონალურ სამხედრო ხელისუფლების ნებართვით და დახმარებით მოახდინეს თავდასხმა ჩაპეის რაიონზე, სადაც შედიოდენ სახლებში და აპატიმრებდენ კომუნისტებს და შეიარაღებულ მუშებს**, რომელთაც, ხმების თანახმად, მოუხდათ შეტაკება იაპონელებთან.

გაზეთი ამის შესახებ სწერს:

„იაპონელების თანამშრომლობა ნაციონალისტებთან წარმოადგენს ინგლისელების პოზიციის კონტრასტს. იაპონიის კონსულმა უარყო მოთხოვნილება იაპონიის ჯარების გაგზავნის შესახებ სუჩოუში სადაც მუშებმა ალყა შემოარტყეს იაპონიის საკონსულოს, იაპონელთა ევაკუაციისათვის ხელის შეშლის მიზნით. ჯარების გაგზავნის მაგიერ, იაპონიის კონსულმა მიმართა შანხაის კომენდანტს ბაი-ძუნ-შის თხოვნით, დაეცვა იაპონელები სუჩოუში. ბაი-ძუ-შიმ განმარტა, რომ მუშები ევაკუაციას ხელს უშლიდენ იმიტომ რომ მათ ეშინოდათ უმუშევრობის, იაპონიის ფაბრიკების დახურვასთან დაკავშირებით. ბაი-ძუნ-შიმ იაპონელებს დაჰპირდა დახმარება სუჩოუში“.

სავაჭრო პალატის პირობები

ბერლინი, 10 აპრილი. „ფოსიშე ცეიტუნგის“ შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ შანხაიში მყოფი ნაციონალური ჯარები აწარმოებენ მოლაპარაკებას ჩინეთის სავაჭრო პალატასთან ჩან-კაი-შისათვის 15 მილიონი დოლარის სესხად მიცემის შესახებ. კორესპონდენტი აცხადებს, რომ ჩინეთის ფინანსიური მოღვაწეები დათანხმდენ ამ სესხის მიცემაზე, ხოლო შემდეგი პირობებით: **სრული კავშირის გაწყვეტა ხანკოუში მყოფ რადიკალურ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან; ჩრდილოელთა საწინააღმდეგო ლაშქრობის გადადება და, ამის მაგიერ, მათთან მოლაპარაკების დაწყება; ნაციონალური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის ჩენის შეცვლა უფრო ზომიერი მინისტრით, იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გახდეს მოლაპარაკების გამართვა უცხოელებთან; იან-ცზის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიის დათმობა და, ბოლოს, — უკანასკნელი პირობა —2 ათასი შანხაელი მუშის განიარაღება.**

კორესპონდენტი იუწყება, რომ ჩან-კაი-შის დიქტატურა უახლოეს დროის საკითხია. (ადს).

კომუნისტები იატაკ ქვეშ

შანხაი, 15 აპრილი. ყველა კომუნისტურ ორგანიზაციებისა და შანხაის პროფესიონალური კავშირების უმრავლესობის აპარატი არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდა. შანხაის პროფკავშირთა საბჭომ, რომელიც არალეგალურად განაგრძობს მუშაობას, განიხილა შექმნილი მდგომარეობა და გადასწყვიტა შეაჩეროს აქტიური ბრძოლა სამხედრო ხელისუფალთა წინააღმდეგ და შესწყვიტოს გაფიცვა. სამხედრო ხელისუფალთა განკარგულების გამო, პროფკავშირთა საბჭოს სახელით ყოველგვარი ცნობების გამოქვეყნების აკრძალვის გამო, ჩინურმა სტამბებმა უარი განაცხადეს პროფკავშირთა საბჭოს განცხადების გამოქვეყნებაზე გაფიცვის შეწყვეტის შესახებ. გაზეთებში გრძელდება გომინდანელების საწინააღმდეგო კამპანია. მემარჯვენე გომინდანელთა პარტიული ორგანოები ბეჭდავენ შანხაის პროფორგანიზაციათა გამაერთიანებელი კომისიის არშინიან ლოზუნგებს მემარცხენეთა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. (ადს).

მდგომარეობა ჩაპეიში

შანხაი, 15 აპრილი. ჩაპეი (შანხაის მუშათა რაიონი) გავსებულია ჯარისკაცებით, ქუჩებში დადიან მზვერავები. გვარდიელი-მუშები არსად არ სჩანან. პროფკავშირების შენობები ან დაკეტილია, ან და ჯარების მიერ დაჭერილი. შანხაის პროფკავშირთა საბჭოს შენობაში ამჟამად იმყოფება ეგრედწოდებული „შანხაის პროფესიონალურ ორგანიზაციათა გაერთიანების კომისია“, შედგენილი ბაი-ძუნ-შის შტაბის პოლიტიკური განყოფილების მიერ. შენობის ალაყაფის კარებს იცავს ჯარის ნაწილი. ნაწილი შენობისა დაჭერილი აქვთ ამ ჯარის ნაწილებს.

უცხოელთა პოზიცია

ავანტიურისათვის ემზადებიან

ლონდონი, 15 აპრილი. იუწყებიან, რომ 16 აპრილს ინგლისის კაბინეტის სხდომაზე განხილულ იქნა ზომები, რომლებიც მიღებულ უნდა იქნეს, თუ ნაციონალურმა მთავრობამ უარი სთქვა უცხო სახელმწიფოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. ამბობენ, რომ **სხდომაზე წამოყენებულ იქნა წინადადება ჩინეთში ინგლისის სამხედრო ძალების შევსების შესახებ ახალი გემების გაგზავნის გზით. (ადს).**

იმუქრებიან

ლონდონი, 15 აპრილი. „დეილი ტელეგრაფ“ ამტკიცებს, რომ იმ ხუთი სახელმწიფოს მთავრობებმა, რომელთაც ნაციონალური მთავრობას გადასცეს ნოტა, წინადადება მისცენ თავიანთ საზღვაო ძალების უფროსებს შანხაიში შეიმუშაონ დამსჯელი მოქმედებების გეგმა იმ შემთხვევისათვის თუ ნაციონალური მთავრობა არ დააკმაყოფილებს წარდგენილ მოთხოვნილებებს.

ორი საპროტესტო ნოტა

შანხაი, 15 აპრილი. პროვინცია ცზიან-სუს საგარეო საქმეთა კომისარმა გუო-ტა-ჩიმ 14 აპრილს ინგლისის ელჩს გადასცა ორი საპროტესტო ნოტა. პირველი ნოტა პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ ინგლისის ჯარებმა, რომლებიც ცილდებიან საერთაშორისო კვარტალის ფარგლებს, უკანონოდ დაარღვიეს ჩინეთის ტერიტორიალური უფლებანი; ნოტა აცხადებს პროტესტს აგრეთვე ჩინეთის ტერიტორიაზე ბარიკადების მოწყობის წინააღმდეგ. მეორე ნოტა პროტესტს აცხადებს ინგლისელების ჯარისკაცთა მოქმედების წინააღმდეგ, რომლებმაც გადაჭრეს ეროვნული ჯარების შტაბთან შემაერთებელი მავთული. გუო-ტაი-ჩი პროტესტში ხაზს უსვამს აგრეთვე იმ თავხედურ საქციელს, რომელსაც საერთაშორისო სამართლის დარღვევას წარმოადგენს და შეიცავს მეტად სერიოზული შედეგების შესაძლებლობას, რომელთა გამო პასუხისმგებლობა ეკისრება ინგლისის ხელისუფლებას. **თითქოს გუო-ტაი-ის წინანდელი პროტესტების საპასუხოდ ინგლისის ჰაეროპლანები ეხლა დაფრინავენ არა მარტო უცხოეთის უბანზე, არამედ ჩინეთის ტერიტორიაზედაც.**

შანხაის ნავთსადგურში მოვიდა ინგლისური ავიომატკა „არგუსი“. ინგლისური სამხედრო ჰაეროპლანები გადმოტვირთეს საზოგადო ბაღებსა და ზღვის პირას. (ადს).

უცხოელები გარბიან

შანხაი, 15 აპრილი. კანტონის საინფორმაციო ბიურო იუწყება: „მიუხედავათ იმისა, რომ პროვინცია გუან-დუნის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მიღებულ იქნება ყველა აუცილებელი ზომები უცხოელთა ქონებისა და სიცოცხლის დასაცავად და დაშვებული არ იქნება რავითარი მღელვარება, უცხოეთის კონსულებმა წინადადება მისცეს უცხოელებს, რომ შამენში (უცხოელთა კვარტალი კანტონში) გადასახლდენ. **ქალაქის ჩინურ ნაწილში სრული სიმშვიდეა. ამის სრულ კონტრასტს წარმოადგენს შამენი, თავისი ბარიკადებით, ტყვიისმფრქვევლებით და საველე ზარბაზნებით;** (ადს).

ინგლისელები სტოვებენ უხანს

ხანკოუ, 14 აპრილი. ინგლისის კონსულმა უხანში წინადადება მისცა ქალებს და ბავშვებს დასტოვონ ქალაქი. ინგლისის ხელისუფლების წარმომადგენლები ფიქრობენ 100-ზე მეტი ინგლისელი არ დასტოვონ ქალაქში. მოხალისეთ ღამის გათევა უხდებათ ნავთსადგურში ან ნავმისადგომებზე. (ადს).

ინგლისის მუშტი

ლონდონი, 14 აპრილი. ჩემბერლენმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ ჩინეთში ამჟამად იმყოფება 16 ქვეითი ბატალიონი საჭირო დამხმარე ნაწილებით, გარდა ამისა, 14 ათასი კაცი იმყოფება ინგლისის სამხედრო გემებზე. (ადს).

გამოუქვეყნებელი დოკუმენტი ლენინზე

მოსკოვი, 14 აპრილი. ვათავსებთ გამოუქვეყნებელ დოკუმენტს ლენინზე.

„ჯარისკაცების შეკითხვა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში“.

„ჩვენ, ქვემო ხელის მომწერლებმა მე-8—ცხენოსან-არტილერიის ბატარეის კომიტეტის წევრებმა, ჯარისკაცთა საერთო კრებაზე დადგენილი გამოგიგზავნით თქვენ შემდეგი შინაარსის წერილი:

„ამის გამო, რომ ბატარეის ჯარის-კაცებს შორის დიდი შეხლა-შემოხლაა ლენინის შესახებ, გთხოვთ მოგვცეთ რაც შეიძლება საჩქაროდ პასუხი: რა შთამომავლობისაა იგი, სად იყო, თუ იყო გადასახლებული, რისთვის, როგორ დაბრუნდა რუსეთში, როგორ მოქმედებს ეხლანდელ მომენტში, ე. ი. სასარგებლოა მისი მოქმედება ჩვენთვის, თუ საზიანო? ერთი სიტყვით, გთხოვთ დაგვარწმუნოთ ჩვენ თქვენი წერილით ისე, რომ ამის შემდეგ ჩვენ არავითარი დავა აღარ გვქონდეს, უბრალოდ აღარ დავკარგოთ დრო და შევძლოთ სხვა ამხანაგებსაც დაუმტკიცოთ ეს. ბატარეის ჯარისკაცთა კომიტეტი: თავმჯდომარე იაკოვლევი, წევრები რადეცკი, გრიცენკო, სტაროკოვი. 24 აპრილი 1917 წელი. მომქმედი არმია“.

ლენინის პასუხი

„ამხანაგებო, პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ გადმომცა მე თქვენი წერილი 1917 წლის 24 აპრილის თარიღით. თქვენ მეკითხებით ამ წერილში, თუ „რა შთამომავლობის ვარ მე, სად ვიყავი. თუ ვიყავი გადასახლებული, რისთვის, როგორ დავბრუნდი მე რუსეთში, როგორ ვმოქმედებ ეხლანდელ მომენტში, ე. ი. სასარგებლოა თქვენთვის ეს მოქმედება თუ საზიანო“. გპასუხებთ ყველა ამ შეკითხვაზე უკანასკნელის გარდა, ვინაიდან მხოლოდ თქვენ შეგიძლიად განსაჯოთ, სასარგებლოა თუ არა თქვენთვის ჩემი მოქმედება. მე მიწოდებენ ვლადიმერ ილიას-ძე ულიანოვს. დავიბადე სიმბირსკში 1870 წლის 10 აპრილს. 1887 წლის გაზაფხულზე ჩემი უფროსი ძმა ალექსანდრე სიკვდილით დასაჯა ალექსანდრე მესამემ 1887 წლის პირველ მარტს მოკვლის მიზნით მასზე თავდასხმისათვის. 1887 წ. დეკემბერში მე პირველად დამაპატიმრეს და გამომრიცხეს ყაზანის უნივერსიტეტიდან სტუდენტთა მღელვარების გამო და შემდეგ გადამასახლეს ყაზანიდან. 1895 წლის დეკემბერში მეორედ დამაპატიმრეს სოციალისტური პროპაგანდისათვის მუშებს შორის პიტერში“.

ლენინის ინსტიტუტისაგან

ამ წერილს ლენინის ინსტიტუტი შემდეგ შენიშვნას უკეთებს:

„მოყვანილი დოკუმენტი ეკუთვნის 1917 წელს ემიგრაციიდან ლენინის რუსეთში ჩამოსვლის პირველ კვირეებს, როცა ბურჟუაზიულმა პრესამ მის წინააღმდეგ დაიწყო პოგრომული შოვინისტური სიცრუის კამპანია. ხმებმა „დაპლომბილ“ ვაგონზე, „გერმანელ ჯაშუშზე“ და სხ. მიაღწია მომქმედ არმიამდე და იქ შექმნა მრავალგვარი აზრები ლენინის შესახებ. ვლადიმერ ილიჩმა, როგორც სჩანს, გადასწყვიტა ესარგებლა მე-8 ცხენოსან-არტილერიის ბატარეის ჯარისკაცთა კომიტეტის შეკითხვით, რომელიც პეტროგრადის დეპუტატთა საბჭომ გადასცა მას, და აღნიშნულ წერილზე გაეცა პასუხი მოკლე ავტობიოგრაფიული ცნობების სახით იმ მოსაზრებით, რომ ეს პასუხი დაებეჭდათ „პრავდა“-ში. რევოლიუციონური მოვლენების შემდგომმა განვითარებამ არ მისცა საშუალება ლენინს დაემთავრებია წერილი თავის შესახებ. ავტოგრაფი დაწერილია მელნით, მსხვილი ხელთნაწერით, გაზეთ „სელსკი ვესტნიკი“-ს რედაქციის ორი ცარიელი ბლანკის მეორე მხარეზე. მე-8 საარტ. ბატარეის ჯარისკაცთა კომიტეტის მიმართვა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსადმი, 24 აპრილის (მაისი) თარიღით, დაბეჭდილია მანქანაზე თავმჯდომარე იაკოვლევისა და ჯარისკაცთა კომიტეტის წევრთა ხელის მოწერით. მიმართვა არის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სარეგისტრაციო შტამპი (მიღების თარიღით—1917 წელი 4 მაისი). ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ვლადიმერ ილიჩის ავტობიოგრაფია დაწერილია 1917 წლის მაისის შუა რიცხვებში“.

შვეიცარიასთან კონფლიქტი მოგვარებულია

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ცნობა

მოსკოვი, 15 აპრილი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ცნობით, ბერლინში წარმოებულ მოლაპარაკების შედეგად, ა. წ. 14 აპრილს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა კრესტინსკიმ და შვეიცარიის ელჩმა რიუფენახტმა ხელი მოაწერეს შემდეგ ოქმს: „ითვალისწინებს რა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მთავრობის და შვეიცარიის კავშირის სურვილს—რომ მოწესრიგებულ იქნას ორივე სახელმწიფოს შორის არსებული კონფლიქტი, რომელიც გამოიწვია ვოროვსკის მოკვლამ ლოზანის კონფერენციის დროს და თავდასხმამ არენსსა და დივილკოვსკიზე, შვეიცარიის საკავშირო საბჭო აცხადებს, რომ სრულიად ჰკიცხავს ჩადენილ ბოროტმოქმედებებს და მწუხარებას გამოსთქვამს ამის გამო. ამასთან ერთად საკავშირო საბჭო მზად არის, რა წამსაც დაიწყება საბჭოთა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის მთავრობასა და შვეიცარიას შორის იმ საკითხების გარშემო, რომლებიც უნდა იქნან მოწესრიგებულნი, აღმოუჩინოს ვოროვსკის ოჯახს მუდმივი მატერიალური დახმარება, რომლის რაოდენობაც შეიძლება განხილულ იქნას განსახილველ საკითხებთან ერთად. ამით ორივე მთავრობა მოწესრიგებულად სთვლის მათ შორის არსებულ კონფლიქტს, ხოლო ურთი-ერთ გასამიჯნ ზომებს — გაუქმებულად“.

საბჭოთა საელჩოზე თავდასხმის შემდეგ

აალის წერილი

შანხაი, 14 აპრილი. შანხაის საკონსულო კორპუსის უხუცესმა, ნორვეგიის კონსულმა აალმა 14 აპრილს საბჭოთა კონსულს შანხაიში გადასცა წერილი, რომელიც მან მიიღო მუნიციპალურ საბჭოს თავმჯდომარე ამერიკელ ფესენდენისაგან. წერილში ნათქვამია: „6 აპრილს საერთაშორისო უბნის პოლიციის უფროსმა, გაიგო რა ჩან-ძო-ლინის თავდასხმის შესახებ საბჭოთა საელჩოზე პეკინში, მიიღო ზომები საკონსულოს შენობის დასაცავად, ვინაიდან მას ჰქონდა ცნობები საბჭოთა საკონსულოსადმი მტრული დამოკიდებულების გაძლიერების შესახებ. საკონსულოს შენობასთან დაყენებულ იქნა პოლიციის მეტად ძლიერი რაზმი, რომელიც შენობას დარაჯობდა 7 აპრ. შუადღემდე, ხოლო შუადღის შემდეგ თქვენ გაცნობეთ მე, რომ საბჭოთა კონსულმა გამოსთქვა შიში საკონსულოს შენობაზე თავდასხმის შესაძლებლობის შესახებ და განაცხადა, რომ პასუხისმგებლობა დაეკისრება საკონსულო კორპუსს. ამასთან დაკავშირებით მე პოლიციის უფროსს მივეცი ინსტრუქციები გაეძლიერებია მცველები საბჭოთა საკონსულოს ირგვლივ და დაევალებია მათთვის საკონსულოში შესულ და საკონსულოდან გამოსულ პირებისათვის თვალყურის დევნება. საბჭოთა საკონსულოს განცხადება, რომ ადგილობრივი ხელისუფლებას განზრახული ჰქონდა თავდასხმის მოწყობა საბჭოთა საკონსულოზე, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. დასასრულ მე მინდა მოვაგონო საბჭოთა კონსულს, რომ შანხაიში შემოღებულია საგანგებო წესები და ამიტომ ცალკე პირების უფლებები უნდა დაემორჩილოს საზოგადოებრივ კეთილდღეობის ინტერესებს“. (ადს).

საბჭოთა საკონსულოს მდგომარეობა

შანხაი, 14 აპრ. საბჭოთა საკონსულოს მდგომარეობა შანხაიში უცვლელია. საკონსულოს „იცავენ“ მუნიციპალური პოლიცია და მოხალისენი. (ადს).

მადლობას უხდიან

პეკინი, 15 აპრილი. ინგლისის და შვეციის ელჩებმა ინგლისის ჩან-ძო-ლინს გაუგზავნა წერილი, რომელშიაც მადლობას უხდის მას უცხოელთა დასაცავად მიღებულ ზომებისათვის. (ადს).

მძარცველების მეთაური

ტოკიო, 14 აპრილი. უკეთებს რა კომენტარიებს საბჭოთა მთავრობის ნოტას, პეკინის მთავრობისადმი, ლიბერალური „ძი-ძი“ სწერს:

„თუ მართალია, რომ მუკდენელთა ჯარისკაცები შეიჭრნენ თუ გინდ საბჭოთა მოსამსახურეების კერძო ბინებში, მაშინ ეს შეურაცყოფა საფუძველს აძლევს რუსეთს გაიწვიოს თავისი წარმომადგენლები იმპერიიდან“. გაზეთი მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ „**დიპლომატიური კორპუსი მოქმედობდა, როგორც მძარცველების მეთაური**“ (ადს).

მთლიანი ფრონტისათვის

ბერლინი, 17 აპრილი. საპროტესტო მოძრაობა საბჭოთა კავშირის საელჩოზე პეკინში თავდასხმის წინააღმდეგ და კამპანია ჩინეთის რევოლიუციის მხარის დაჭერისათვის, ფართოვდება. თითქმის ყველა დიდ ქალაქებში გაიმართა მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები. ადგილი ჰქონდა შეტაკებებს პოლიციასთან. რამოდენიმე კაცი დაჭრილია. (ადს).

ინგლის-რუსეთის კომიტეტი

საკავშირო პროფსაბჭოში

მოსკოვი, 15 აპრილი. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე დამტკიცებულ იქნა ის რეზოლიუციები, რომელნიც რუსეთ - ინგლისის კომიტეტმა მიიღო თავის სხდომებზე ბერლინში 1927 წ. 29 მარტიდან 1 აპრილამდე. რეზოლიუციაში პრაქტიკული ზომების შესახებ რუსეთ - ინგლისის კომიტეტის მთლიანობის განსახორციელებლად, გამოთქმულია მწუხარება, რომ გენსაბჭოს ყოველის ცდამ, რომელიც მიმართული იყო კონფერენციის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილების განხორციელებისაკენ, საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს და ამსტერდამის შორის წინასწარ პირობათა გარეშე, არავითარი სასურველი შედეგი არ მოგვცა, ამასთანავე რეზოლიუცია სცნობს, რომ ბრიტანეთის გენსაბჭოს ცდები, რომ ამსტერდამის პოლიტიკის შეუცვლელად მოწვეულ იქნეს საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს და ამსტერდამის წარმომადგენელთა კონფერენცია ყოველგვარ წინასწარ პირობათა გარეშე, ცხადია დარჩება უშედეგოდ.

რეზოლიუციაში რუსეთ - ინგლისის კომიტეტის მუშაობათა წესრიგის შესახებ ნათქვამია: „რუსეთ - ინგლისის კომიტეტი აცხადებს, რომ შრომის საერთაშორისო მთლიანობისათვის და კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატების უმთავრესი პირობა არის მტკიცე ძმური კავშირი ბრიტანეთის და საბჭოთა კავშირის პროფმოძრაობის შორის. რუსეთ - ინგლისის კომიტეტი სცნობს, რომ ამ ძმურ კავშირმა ორთავე ქვეყნის პროფმოძრაობის შორის არ უნდა შეაფერხოს გენსაბჭოს ან საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს მოქმედება, არ უნდა დაარღვიოს და შეზღუდოს მათი უფლებანი და ავტონომია. არ უნდა დაუშვას ერთი მხარის ჩარევა მეორეს შინაურ საქმეებში. რუსეთ - ინგლისის კომიტეტი გამოსთქვამს სრულ რწმენას, რომ ძმური კავშირი ორთავე ქვეყნის პროფორგანიზაციებს შორის გაიზრდება და განმტკიცდება“.

რეზოლიუციაში რუსეთ - ინგლისის კომიტეტის მოქმედებათა და პერსპექტივების შესახებ ნათქვამია, რომ მჭიდრო მთლიანობა და თანამშრომლობა დიდ ბრიტანეთის და საბჭოთა კავშირის პროფმოძრაობებს შორის აუცილებელი პირობაა პროფესიონალური კავშირების მთლიანი ინტერნაციონალის შესაქმნელად. რუსეთ - ინგლისის პროფმთლიანობა განსაკუთრებით აუცილებელია, — როგორც ნათლად გვიჩვენა ამის წინედ მომხდარმა ამბებმა, — იმისათვის რომ აცილებულ იქნას პირველ მუშურ რესპუბლიკებზე — საბჭოთა კავშირზე თავდასხმის საფრთხე, რომელიც გამოიწვევდა ახალ დიდ ომს და ორთავე ქვეყნის მუშებს გაჭირვებასა და ტანჯვაში ჩააგდებდა.

რუსეთ - ინგლისის კომიტეტი ორთავე ქვეყნის პროფკავშირთა სახელით, რომლებიც ინგლისისა და საბჭოთა კავშირის 15 მილიონ შეკავშირებულ მუშებს წარმოადგენენ, კვლავ მიმართავს ყველა ქვეყნის შეკავშირებულ მუშებს, რომ შეუერთონ თავისი ძალები ბრიტანეთისა და საბჭოთა პროფორგანიზაციების ძალღონეს იმ მისწრაფებით, რომ აცილებულ იქნას ახალი ძმათა გამანადგურებელი ომები, დაცულ იქნას მუშათა საარსებო უფლებრივი მინიმუმი, გადალახულ იქნას ყველა დაბრკოლებანი და სიძნელენი და ხელი შეეწყოს პროფკავშირთა მსოფლიო მთლიანი ფედერაციის შექმნას. (ადს)

გენსაბჭომ დაამტკიცა შეთანხმება

ლონდონი, 14 აპრილი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის ცნობებით, ინგლისის პროფკავშირთა კონგრესის გენერალურმა საბჭომ დაამტკიცა შეთანხმება, რომელიც მიღწეულ იქნა ინგლის რუსეთის მთლიანობის კომიტეტის სხდომაზე ბერლინში. (ადს)

ამერიკელ ბანკირის განცხადება

ნიუ-იორკი, 14 აპრილი. „ჩეიზბანკი“-ს („ჩეიზბანკი“ მონაწილეობას იღებდა შეერთებულ შტატებში საბჭოთა ვაჭრობისათვის ფინანსების მიწოდებაში) ვიცე-პრეზიდენტმა, შლეიმ, რომელიც ამას წინად დაბრუნდა ევროპიდან, უარყოფს **ცნობას იმის შესახებ, რომ ჩერჩილი ცდილობს შექმნას ინგლის-ამერიკის ფინანსიური ბლოკი საბჭოთა კავშირისათვის კრედიტის მიცემის წინააღმდეგ საბრძოლველად.**

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში შლეიმ განაცხადა:

„მე არაფერი გამიგონია ასეთი გეგმის შესახებ შეერთებულ შტატებში არაფერი ვიცი იმის შესახებაც, თითქო ინგლისის ბანკირებს წამოეყენებინოთ ასეთი წინადადება. მე თათბირი მქონდა ლონდონის მთელ რიგ ბანკირებთან და ჩვენ საუბარში არც ერთხელ არ ყოფილა მოხსენებული ასეთი გეგმა“. (ადს)

საქართველოს [illegible]

ლენინის შვეიცარიიდან დაბრუნების ათი წლის თავი



ლენინი მიტინგზე.

მხატვარ რენცის სურათი

შვეიცარიიდან რუსეთისაკენ

როგორ დაიწყო თებერვლის რევოლუცია

1917 წლის 24 თებერვალს რევოლუციონურმა მოძრაობამ პეტერბურგში არაჩვეულებრივი სიძლიერით იფეთქა; ნევის პროსპექტზე იმართებოდა დემონსტრაციები, ყაზანის მოედანზე შესდგა რამოდენიმე სახელდახელო მიტინგი, გაისმა თოფების პირველი გასროლის მრისხანე ხმები. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პროტოპოპოვმა გასცა ბრძანება, რომ სახლების სახურავებზე დაედგათ ტყვიისმფრქვეველები. მეორე დღეს, 25 თებერვალს (10 მარტს), ქალაქი გაყოფილ იქნა რაიონებათ, რომლებიც დაუმორჩილეს პეტროგრადის გარნიზონის პოლკის უფროსებს. ხალხი, რომელიც არავითარ წინააღმდეგობას არ ხვდებოდა, ზავის, თავისუფლებისა და პურის მოთხოვნილებით მიიწევდა ქალაქის ცენტრისაკენ. აქ მოხდა შეიარაღებული შეტაკება პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის. ორივე მხარეზე ბევრი იყო მოკლულები და დაჭრილები. ფაბრიკა-ქარხნების მუშებმა თავისი ინიციატივით აირჩიეს დელეგატები. საღამოს ეს დელეგატები შეიკრიბენ ცენტრალური სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის ბინაზე, სადაც ისინი დაპატიმრებულ იქნენ. ამოძრავდა ბურჟუაზიაც. სახელმწიფო სათათბიროს პროგრესიული ბლოკი იღებს რეზოლუციას, რომელშიაც აცხადებს, რომ მთავრობას, რომელსაც ხელები ხალხის სისხლში აქვს გასვრილი, აღარა აქვს უფლება წარსდგეს სათათბიროს წინაშე და რომ სახ. სათათბირო სამუდამოთ ხწყვეტს კავშირს ასეთ მთავრობასთან.

26 თებერვალს ჯარისკაცები ესვრიან ხალხს, სარგებლობენ ტყვიისმფრქვეველებით, მოკლულ-დაჭრილთა რაოდენობა იზრდება. მაგრამ ჯარისკაცები უკვე გადადიან აჯანყებულთა მხარეზე. სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკო მეფეს უგზავნის დეპეშას, რომელშიც ემუდარება „გადასცეს ძალა-უფლება კაცს, რომელიც „ქვეყნის ნდობით სარგებლობს". „დაყოვნება სიკვდილს უდრის",—ასე ათავებს ის თავის დეპეშას. მაგრამ უკვე მეტად გვიანია.

27 თებერვალს აჯანყდა გარნიზონი. პირველათ სტოვებს თავის ყაზარმებს ვოლინის პოლკი. მას უერთდებიან ლიტვისა და პრეობრაჟენსკის პოლკები; სამი პოლკი ორკესტრით მიდის ლიტეინი პროსპექტისაკენ. არსენალს არბევენ. არსენალის უფროს კლავენ. ხალხი ანთავისუფლებს პოლიტიკურ პატიმრებს და ცეცხლს უკიდებს ციხეების სამმართველოს. რევოლუციონერები იკავებენ პოლიციის დეპარტამენტს, სწვავენ არქივებს და შემდეგ იღებენ პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრეს.

როძიანკო მეორე დეპეშით მიმართავს მეფეს: „დაჰკრა საათმა, როცა სწყდება სამშობლოსა და დინასტიის ბედი". ამ დეპეშის პასუხია: „სათათბირო დათხოვნილია". მაგრამ პეტროგრადში არსდება „წესრიგის აღმდგენელი კომიტეტი" როძიანკოს, მილიუკოვის, ჩხეიძისა და კერენსკის მეთაურობით. იმავე დღეს, საღამოთი ირჩევენ მუშათა საბჭოს დროებითი აღმასრულებელ კომიტეტს; საბჭოს თავმჯდომარეა ჩხეიძე (მენშევიკი), მოადგილეებათ კი: კერენსკი (ტრუდოვიკი) და სკობელევი (მენშევიკი). რევოლუციონური მოძრაობა მთელს სახელმწიფოში ვითარდება, არსდება ადგილობრივი საბჭოები. 28 თებერვალს გამოდის საბჭოს ორგანოს „უწყებების" პირველი ნომერი. პირველ მარტს დგება დროებითი მთავრობა თავად ლვოვის მეთაურობით; მილიუკოვი იღებს საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელს, კერენსკი—იუსტიციის მინისტრისას. ღამით, თავის მატარებელში, გზაზე ფსკოვისაკენ, მეფე ხელს აწერს გადადგომის აქტს.

მეორე ეტაპის დასაწყისი

ამ მომენტიდან რევოლუციონური მოძრაობა იღებს ხასიათს ბრძოლისას, ერთის მხრივ დროებით, შემდეგში კოალიციონურ მთავრობასა და მეორე მხრივ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს შორის; ანუ, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, ერთის მხრივ კოალიციონურ მთავრობაში მყოფ მოლიბერალო მენშევიკებსა,—რომლებიც ომის გაგრძელებას მოითხოვდენ,—და მეორე მხრივ ბოლშევიკებს შორის, რომლებიც მიისწრაფოდენ ომის შეწყვეტისა და საბჭოთა ხელისუფლებისაკენ.

უკვე პირველმა კანტი-კუნტმა ერთი-მეორეს საწინააღმდეგო ცნობებმა აალელვა რუსეთის რევოლუციონური ემიგრაცია. ყველას სურს დაბრუნდეს რუსეთში, რომ მონაწილეობა მიიღოს ბრძოლაში. ლენინმა მყისვე კავშირი დაამყარა თავის პარტიასთან და მის ორგანოსთან—„პრავდა"-სთან, რომელმაც კვლავ იწყო გამოსვლა პეტროგრადში. „პრავდა"-ს № 14 და № 15 (1917 წ. 21 და 22 მარტიდან) ლენინი ადარებს 1905 და 1917 წ. რევოლუციებს და ამბობს, რომ ნამდვილი რევოლუცია იყოფა ორ ეტაპათ. პირველი უკვე გავლილია მუშების მიერ; ამჟამათ მათ გასავლელი აქვთ მეორე, გაცილებით ძნელი ეტაპი; ვინაიდან,—სწერს ლენინი,—რამდენადაც მე ვიცი, პარტიების უმრავლესობა ერთსულოვანი აღმოჩნდა მეფის დამხობაში, ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების წარმომადგენლები მათ დაეხმარენ ამაში. მილიუკოვისათვის მეფის გადადგომა ნიშნავს ომის გაგრძელებას. ლენინი შემდეგ გადადის მუშათა დეპუტატების საბჭოს დახასიათებაზე, საბჭოში ის ხედავს მუშათა მთავრობის ჩანასახს, საბჭო არ შეიძლება და არ უნდა არსებობდეს ბურჟუაზიული მთავრობის გვერდით. „მეფის მონარქია დამარცხებულია, მაგრამ იგი არ არის ძირიან-ფესვიანათ მოსპობილი". დაბოლოს ლენინი მოუწოდებს პროლეტარიატის შეიარაღებისა და საბჭოების ძალაუფლებისა და გავლენის გაძლიერებისაკენ. მიმართეს რა მუშებს, ის ამბობს: „მუშებო, თქვენ გამოიჩინეთ არაჩვეულებრივი პროლეტარული, სახალხო გმირობა სამოქალაქო ომში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. თქვენ უნდა მოახდინოთ პროლეტარული და საერთო-სამოქალაქო ორგანიზაციის სასწაულები, რომ მოამზადოთ თქვენი გამარჯვება რევოლუციის მეორე ეტაპში.

ამ მეორე ეტაპს ბოლშევიკური პარტია რვა თვის განმავლობაში ამზადებს ლენინის განუწყვეტელი და უახლოესი მონაწილეობით; თვითეულ დღეს ახალ-ახალი გამარჯვება მოაქვს, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა ლენინი კვლავ გამოჩნდა ლენინგრადის ქუჩებზე. ლენინის პოლიტიკა უკვე პრინციპიალურად დაშორდა ხელმძღვანელ იდეებს მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოისას, რომელიც თავის მოწოდებაში ევროპის ერების მიმართ სწერდა: „ჩვენი გამარჯვება—ეს არის თავისუფლებისა და საყოველთაო დემოკრატიის გამარჯვება".

ლენინის გამომგზავრება შვეიცარიიდან

რუსეთის რევოლუციონური ჯგუფების წარმომადგენლებმა შვეიცარიაში, საფრანგეთში, ინგლისში და სხვა ქვეყნებში შექმნეს კომიტეტები რუსეთში ემიგრანტების დაუყოვნებლივ დაბრუნების მოსაწყობათ. მაგრამ, ვინაიდან მოლაპარაკება გაჭიანურდა და ზოგიერთი ჯგუფების წარმომადგენლებს აშინებდა მგზავრობა გერმანიის ტერიტორიით, ბოლშევიკებმა მოილაპარაკეს და გადასწყვიტეს დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყვნენ გერმანიით. ამ საქმეში მათ დახმარება აღმოუჩინა შვეიცარიელმა რევოლუციონერმა ფრიც პლატენმა. თავის გეგმის შესახებ ბოლშევიკებმა დროულათ აცნობეს სხვადასხვა ქვეყნების მუშათა ორგანიზაციების დელეგატებს, რომლებიც შვეიცარიაში იმყოფებოდენ. დელეგატებმა ეს გეგმა მოიწონეს.

თავისი გამგზავრების დღეს (9 აპრილს) ლენინმა იმ რუსების სახელით, რომლებიც მასთან ერთად სტოვებდენ შვეიცარიას, მიმართა წერილით შვეიცარიის მუშებს. ეს წერილი წარმოადგენს ნამდვილ მანიფესტს. ლენინი, მოაგონებდა რა მუშებს იმ თვალსაზრისს, რომელიც ერთად-ერთ სწორ თვალსაზრისათ აღიარება ბოლშევიკებმა ომის დაწყების დღიდან, ხაზგასმით აღნიშნავდა პროლეტარიატის შეიარაღებისა და მილიუკოვის მთავრობასთან ბრძოლის საჭიროებას.

ლენინის გამოსათხოვარი წერილი შვეიცარიის მუშებისადმი.

ამხანაგებო შვეიცარიელო მუშებო!

მივემგზავრებით რა შვეიცარიიდან რუსეთში რევოლუციონურ ინტერნაციონალისტური მუშაობის გასაგრძელებლად ჩვენს სამშობლოში, ჩვენ წევრები რ. ს. დ. მ. პარტიისა, რომელსაც აერთიანებს ცენტრალური კომიტეტი, მეორე პარტიისაგან განსხვავებით, რომელიც იმავე სახელწოდებას ატარებს, მაგრამ რომელსაც აერთიანებს „საორგანიზაციო კომიტეტი", გიგზავნით თქვენ ძმურ სალამსა და ღრმა ამხანაგურ მადლობას ამხანაგური დამოკიდებულებისათვის ემიგრანტებისადმი.

თუ აშკარა სოციალ პატრიოტები და ოპორტიუნისტები, შვეიცარიის გრიუტლიანელები, რომლებიც როგორც ყველა ქვეყნების სოციალ - პატრიოტებიც პროლეტარიატის ბანაკიდან გადავიდნენ ბურჟუაზიის ბანაკში თუ ეს ვაჟბატონები აშკარათ მოგიწოდებენ თქვენ ბრძოლისაკენ უცხოელების მავნე გავლენასთან შვეიცარიის მუშათა მოძრაობაზე — თუ ნიღაბ აფარებული სოციალ - პატრიოტები და ოპორტიუნისტები, რომლებიც უმრავლესობას შეადგენენ შვეიცარიის სოციალისტური პარტიის ბელადებს შორის, ფარულათ იმავე პოლიტიკას აწარმოებენ — ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ შვეიცარიის რევოლუციონური სოციალისტური მუშები, რომლებიც სდგანან ინტერნაციონალისტურ თვალსაზრისზე ჩვენ მხურვალე თანაგრძნობას გვიცხადებდენ და მათთან ამხანაგურმა დამოკიდებულებამ ჩვენ დიდი სარგებლობა მოგვიტანა.

ჩვენ ყოველთვის დიდის სიფრთხილით გამოვდიოდით შვეიცარიის მოძრაობის იმ საკითხების შესახებ, რომელთა გასაცნობათ საჭირო ხანგრძლივი მუშაობა ადგილობრივ მოძრაობაში. მაგრამ ის ჩვენი ამხანაგები, რიცხვით 10-15 კაცი, რომლებიც შვეიცარიის სოციალისტური პარტიის წევრებათ ითვლებოდენ, თავის მოვალეობათ სთვლიდენ საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის საერთო და ძირითად საკითხებში გადაჭრით დაეცვათ ჩვენი თვალსაზრისი, „ციმერვალდის მემარცხენე ფრთის" თვალსაზრისით, გადაჭრით ებრძოლათ არა მარტო სოციალ დემოკრატიზმის, არამედ ეგრეთ წოდებულ „ცენტრის" მიმართულების წინააღმდეგ, რომელსაც ეკუთვნიან რ. გრიმმი, ფ. შნეიდერი, ი. შმიდტი და სხვები. შვეიცარიაში კაუცკი, ჰააზე Arbeits gemeinshaft ი გერმანიაში, ლონგე, პრესმანი და სხვები საფრანგეთში, სნოუდენი, რამზეი მაკდონალდი და სხვები — ინგლისში,—ტურატი, ტრევესი და მათი მეგობრები იტალიაში, ზემოაღნიშნული „საორგანიზაციო კომიტეტის" პარტია (აქსელროდი, მარტოვი, ჩხეიძე, სკობელევი და სხვები) რუსეთში.

ჩვენ უეჭველად ვიცავთ იმ განცხადებას, რომელიც ჩვენ გავაკეთეთ ჩვენი პარტიის ცენტრალურ ორგანოში, გაზეთ „სოციალდემოკრატში", რომელიც ჟენევაში გამოდის № 47-ში 1915 წლის 13 ოქტომბრის თარიღით. ჩვენ იქ ვამბობდით რომ თუ რუსეთში გაიმარჯვებს რევოლუცია და ძალაუფლება სათავეში მოექცევა რესპუბლიკანური მთავრობა, რომელიც მოისურვებს იმპერიალისტური ომის გაგრძელებას სტამბოლის, სომხეთის, გალიციის და სხვა კუთხეების დასაპყრობათ, მაშინ ჩვენ გადაჭრით გავილაშქრებთ ასეთი მთავრობის წინააღმდეგ. ჩვენ ასეთ ომში „სამშობლოს დაცვის" წინააღმდეგი ვიქნებით.

თუ მართალია უკანასკნელი ცნობები იმის შესახებ, რომ აშკარა რუს სოციალ - პატრიოტებსა (როგორიც არიან გ. პლეხანოვი, ზასულიჩი, პოტრესოვი და სხვები) და „ცენტრის", „საორგანიზაციო კომიტეტის", ჩხეიძის, სკობელევისა და სხვების პარტიის შორის დაახლოვება მოხდა იმ ლოზუნგის ნიადაგზე, რომელიც ამბობს, რომ „სანამ გერმანელები არ ჩამოაგდებენ ვილჰელმს, მანამ ჩვენი ომი თავდაცვითი ომი იქნება. — თუ ეს მართალია, მაშინ ჩვენ გაორკეცებული ენერგიით დავიწყებთ ბრძოლას ჩხეიძის, სკობელევის და სხვების წინააღმდეგ, ბრძოლას, რომელსაც ჩვენ წინათაც ვაწარმოებდით ამ პარტიის წინააღმდეგ, რადგან ის ყოველთვის ოპორტიუნისტულ, მერყევ პოლიტიკურ პოზიციას იცავდა.

ჩვენი ლოზუნგია არავითარი დახმარება გუჩკოვ - მილიუკოვის მთავრობას! ხალხს ატყუებს ის, ვინც ამბობს, რომ ასეთი დახმარება აუცილებელია ცარიზმის აღდგენის წინააღმდეგ საბრძოლველად. პირიქით, სწორედ გუჩკოვის მთავრობა აწარმოებდა უკვე მოლაპარაკებას მონარქიის აღდგენის შესახებ რუსეთში. მხოლოდ პროლეტარიატის შეიარაღებას და დარაზმვას შეუძლია ხელი შეუშალოს გუჩკოვს და კომპანიას აღადგინოს რუსეთში მონარქია. ხოლო რუსეთის და მთელი ევროპის ინტერნაციონალისტურ რევოლუციონურ პროლეტარიატს შეუძლია გაანთავისუფლოს კაცობრიობა იმპერიალისტური ომის საშინელებისაგან.

ჩვენ ნათლად ვხედავთ იმ უდიდეს დაბრკოლებებს, რომლებიც აღმართულია რუსეთის პროლეტარულ რევოლუციონურ ინტერნაციონალისტურ ავანგარდის წინაშე. იმ ეპოქაში, რომელსაც ჩვენ განვიცდით, შეუძლებელია უეცარი და სწრაფი ცვლილებები. „სოციალ - დემოკრატი"-ს № 47-ში ჩვენ პირდაპირ და გარკვევით ვუპასუხეთ ბუნებრივად წამოჭრილ კითხვაზე: როგორ მოიქცეოდა ჩვენი პარტია, თუ რევოლუცია ეხლავე ჩააბარებდა მას ძალაუფლებას. ჩვენ ვუპასუხებთ: 1) ჩვენ დაუყოვნებლივ მივმართავდით ყველა მებრძოლ სახელმწიფოებს წინადადებით ზავის ჩამოგდების შესახებ. 2) ჩვენ დაუყოვნებლივ გამოვაქვეყნებდით ჩვენს საზაო პირობებს, რომლებიც შეიცავენ ყველა კოლონიების და ყველა ჩაგრული, ანდა ნახევრად უუფლებო ერების დაუყოვნებლივ განთავისუფლებას; 3) ჩვენ დაუყოვნებლივ დავიწყებდით და ბოლომდე მივიყვანდით იმ ერების განთავისუფლებას, რომლებიც დაჩაგრული არიან ველიკორუსების მიერ; 4) ჩვენ ერთი წუთითაც ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ ასეთი პირობები მიუღებელი იქნებოდა გერმანიის არა მარტო მონარქიული, არამედ რესპუბლიკანური ბურჟუაზიისათვისაც კი, და არა მარტო გერმანიისათვის, არამედ ინგლისის და საფრანგეთის კაპიტალისტურ მთავრობებისათვისაც.

ჩვენ იძულებული ვიქნებით რევოლუციონური ომი გვეწარმოებია გერმანიის და არა მარტო გერმანიის ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ჩვენ დავიწყებდით ასეთ ომს. ჩვენ არა ვართ პაციფისტები, ჩვენ წინააღმდეგი ვართ იმპერიალისტური ომების, რომლებსაც ნადავლის გასაყოფად აწარმოებენ კაპიტალისტები. მაგრამ ჩვენ ყოველთვის უაზრობად ვაცხადებდით იმას, თუ რევოლუციონური პროლეტარიატი უარს იტყვის რევოლუციონურ ომებზე, რომლებიც შეიძლება, აუცილებელი გახდეს სოციალიზმის ინტერესებისათვის.

ამოცანა, რომელიც ჩვენ დავახასიათეთ „სოციალ - დემოკრატის" № 47-ში, მეტად დიდია. ის შეიძლება გადაწყვეტილი იქნეს მხოლოდ პროლეტარიატის და ბურჟუაზიის მთელ რიგ დიად კლასიურ ბრძოლების დროს. მაგრამ არა ჩვენმა მოთმინებამ, არა ჩვენმა სურვილმა, არამედ იმპერიალისტური ომის მიერ შექმნილმა ობიექტიურმა პირობებმა მოაწყვდიეს კაცობრიობა ჩიხში, დააყენეს ის ასეთი დილემის წინაშე: ან უნდა დაიღუპოს კიდევ რამოდენიმე მილიონი ადამიანი და დაინგრეს საბოლოოდ მთელი ევროპიული კულტურა, ანდა ძალაუფლება ყველა ცივილიზაციურ ქვეყნებში უნდა გადაეცეს რევოლუციონურ პროლეტარიატს, უნდა მოხდეს სოციალისტური გადატრიალება.

რუსეთის პროლეტარიატს წილად ხვდა უდიდესი ბედი დაეწყო მთელი რიგი რევოლუციები, რომელთა აუცილებლობა გამოწვეული იყო იმპერიალისტური ომით. მაგრამ ჩვენ სრულებით არ ვფიქრობთ, იმას, რომ რუსეთის პროლეტარიატი რჩეული რევოლუციონური პროლეტარიატია სხვა ქვეყნებას მუშებს შორის, ჩვენ ნშვენივრად ვიცით, რომ რუსეთის პროლეტარიატი ნაკლებ დარაზმული, მომზადებული და შეგნებულია, ვიდრე სხვა ქვეყნების მუშები. არა განსაკუთრებულმა ღირსებებმა, არამედ განსაკუთრებით შექმნილმა ისტორიულმა პირობებმა რუსეთის პროლეტარიატი განუსაზღვრელი დროით, და შეიძლება, მეტად მოკლე დროითაც, მოაქცია მთელი მსოფლიოს რევოლუციონური პროლეტარიატის სათავეში.

რუსეთის პროლეტარიატს მარტო თავისი ძალებით არ შეუძლია გამარჯვებით დაამთავროს სოც. რევოლუცია. მაგრამ მას შეუძლია რუსეთის რევოლუციას მისცეს ისეთი გასაქანი, რომელიც საუკეთესო პირობებს შექმნის მისთვის, რომელიც ერთგვარათ დაიწყებს ამ სოციალისტურ რევოლუციას; მას შეუძლია მოამზადოს ნიადაგი თავისი მთავარი, თავისი საიმედო თანამშრომელის ევროპის და ამერიკის სოციალისტური პროლეტარიატის ჩასაბმელად გადამწყვეტ ბრძოლაში.

დეე სულმოკლეები სასოწარკვეთილებას მიეცენ ევროპის სოციალიზმში იმპერიალისტური ბურჟუაზიის ისეთი საზიზღარი ლაქიების დროებითი გამარჯვების გამო, როგორიც არიან შეიდემანები, ლეგინები, დავიდები და კომპანია გერმანიაში. სამბა, გედი, რენოდელი და კომპანია—საფრანგეთში, ფაბიანელები და „ლაბურისტები" ინგლისში. ჩვენ მტკიცედ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ამ ბინძურ ქაფს საერთაშორისო მუშათა მოძრაობაზე ჩქარა გადარეცხავს რევოლუციის ტალღები.

გერმანიის პროლეტარიატი — ერთგული, საიმედო მოკავშირეა რუსეთისა და საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის.

როდესაც ჩვენმა პარტიამ 1914 წლის ნოემბერში წამოაყენა ლოზუნგი „იმპერიალისტური ომის დაჩაგრულების სამოქალაქო ომად გადაქცევა" მჩაგვრელების წინააღმდეგ და სოციალიზმის გულისათვის, — ამ ლოზუნგს მაშინ მტრული, ბოროტის სისინით შეხვდენ სოციალ-დემოკრატები „ცენტრიდან". გერმანელმა სოციალ - შოვინისტმა, სოციალ - იმპერიალისტმა დავიდმა მას „სულელური" ლოზუნგი უწოდა, რუსეთის (და ინგლის - საფრანგეთის) სოციალ - შოვინიზმის სიტყვით სოციალიზმის, საქმით კი იმპერიალიზმის წარმომადგენელმა — გ. პლეხანოვმა კი მას უწოდა „ოცნება ფარსი". (Mjftelding),

„ცენტრის" წარმომადგენლები კი არჩევდენ სიჩუმეს ანდა უმსგავსო ხუმრობას ამ „პირდაპირი ხაზის გამო, რომელიც გაყვანილია უჰაერო სივრცეში".

ეხლა, 1917 წლის მარტის შემდეგ მხოლოდ ბრმას შეუძლია არ დაინახოს, რომ ეს ლოზუნგი მართალია. იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომათ გადაქცევა ფაქტად ხდება.

* * *

სოციალისტ - რევოლუციონერმა ჩერნოვმაც, საფრანგეთიდან გამგზავრების წინ, მიმართა წერილით საფრანგეთის პროლეტარიატს, მაგრამ მიუხედავათ ჩერნოვის ფრაზეოლოგიის არაჩვეულებრივი ელასტიურობისა,—რა რიგად განსხვავდება, როგორც თავისი შინაარსით, ისე ტაქტიკის განსაზღვრით, ესერების ბელადის ეს წერილი ლენინის წერილისაგან! რაც შეეხება მენშევიკებს—აქსელროდს, მარტოვს, მარტინოვს და სხვ., მათ თავიანთ მიმართვაში ჩხეიძისადმი მეტად მკრთალად აღნიშნეს საფრანგეთის და ინგლისის სოციალისტების ინტერნაციონალისტური ფრთის სოლიდარობა რუს სოციალისტებთან.

ლენინი პეტროგრადში

ლენინი და მისი მეგობრები ჩავიდნენ პეტროგრადში (ფინეთის სადგურზე) 16 აპრილს (სამ აპრილს ძველი სტილით). აუარებელი მუშები, რომლებსაც ვერ იტევდა სადგურის ბაქანი და ახლომდებარე ქუჩები მხურვალედ მიესალმენ ვლადიმირ ილიჩს ვაგონიდან გამოსვლის დროს. დელეგაცია ჩხეიძის მეთაურობით შეხვდა მას სადგურის საზეიმო დარბაზში, რომელიც რევოლუციამდი დანიშნული იყო მეფისა და მისი ამალის მისაღებათ. ჩხეიძე მიესალმა ლენინს საბჭოსა და რუსეთის რევოლუციის სახელით და ილაპარაკა ყველა პარტიების თანამშრომლობის საჭიროების შესახებ დემოკრატიის რიგებში.

ლენინმა უპასუხა მოკლე სიტყვით:

ძვირფასო ამხანაგებო, ჯარისკაცებო, მეზღვაურებო, და მუშებო! მე მაქვს ბედნიერება თქვენის სახით მივესალმო გამარჯვებულ რუსეთის რევოლუციას, მოგესალმოთ თქვენ, როგორც მსოფლიო პროლეტარული არმიის მოწინავე რაზმს...

მტაცებლური იმპერიალისტური ომი არის დასაწყისი სამოქალაქო ომისა მთელს ევროპაში... შორს არ არის საათი, ჩვენი ამხანაგის კარლ ლიბკნეხტის მოწოდებით ერები იარაღს შეაბრუნებენ თავისი მყვლეფელი კაპიტალისტების წინააღმდეგ.

...მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის განთიადი მოახლოვებულია... გერმანიაში ყველაფერი სდუღს... დღეს-ხვალ, ყოველდღე შეიძლება ევროპის იმპერიალიზმის მზე ჩაესვენოს. რუსეთის რევოლუციამ, რომელიც თქვენ მოახდინეთ, საფუძველი ჩაუყარა ახალ ეპოქას. გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციას!".

ორკესტრები უკრავენ მარსელიეზასა და ინტერნაციონალს. ლენინმა ძლივს გაიკაფა გზა და ავიდა საბარგო ავტომობილზე, რომელმაც მიიყვანა ის მეფის ყოფილი ფავორიტკის, ბალერინა ქსეშინსკაიას სასახლეში, სადაც იმყოფებოდა ბოლშევიკების მთავარი შტაბი. ქსეშინსკაიას სასახლეში მისვლის შემდეგ ლენინმა მხურვალე სიტყვით მიმართა იქ თავმოყრილ აუარებელ ხალხს. სასახლის შიგნითა დარბაზში გაიმართა პარტიის მიერ მოწყობილი საზეიმო დარბაზობა; სიტყვებს, მისალმებებს, ფიცს, არ ჰქონდა ბოლო. დარბაზობა დასრულდა ლენინის სიტყვით.

აი, რას სწერდა ამ სიტყვის შესახებ ნიკოლოზ სუხანოვი, ყოფილი ესერი, რომელიც შემდეგ გახდა ინტერნაციონალისტი—„ნოვაია ჟიზნი"-ს ჯგუფის წევრი—მაგრამ ბრესტის შემდეგ კავშირი გასწყვიტა ბოლშევიკებთან.

„მე არ დამავიწყდება ეს გრგვინვისებური სიტყვა, რომელმაც განმაცვიფრა და აამღელვა მე, იქ შემთხვევით მომხდარი ერეტიკოსი, არამედ მართლმორწმუნენიც. მე ვამტკიცებ,რომ არავინ მსგავს რამეს არ მოელოდა. გეგონებოდა, თითქოს თავიანთი ბუდეებიდან გამოვარდნენ ყველა სტიქიები და განადგურების სული, რომელმაც არ იცის არავითარი ზღუდე, არავითარი ეჭვი, არც ადამიანთა სისუსტე და ანგარიშიანობა—დამქრის ქსეშინსკაიას სასახლეში, მოჯადოებულ მოწაფეების თავზე".

ამ დღიდან, თავის სიტყვებში, წერილებში, ბროშიურებში, რომელთა რიცხვი განუწყვეტლივ იზრდებოდა, ლენინი, შეიარაღებული საშინელი და შეურყეველი რწმენით, აწარმოებს დაუღალავ, გაბედულ, შეურიგებელ ბრძოლას, ყოველ საათში ამრავლებს თავისი მომხრეების რაოდენობას, აჯადოებს და ხიბლავს ხალხს, როცა მარტივი, გარკვეული და კონკრეტული ენით უმტკიცებს მის მიერ დასახული პროგრამის განხორციელების საჭიროებას.

დროებით მთავრობის პროვოკაცია

რუსეთისა და მოკავშირეთა მთავრობები გრძნობენ, რომ ლენინი მათი მოსისხლე მტერია. რამდენადაც ღრმათ იჭრება მისი აზრები მუშების, გლეხების და ჯარისკაცების შეგნებაში, მით უფრო იწევს ქორებისა და შეურაცყოფის ტალღა. ლენინსა და მის მეგობრებს სდევნიან ყოველმხრივ და ყოველგვარი საშუალებებით. უნებურათ გაგონდება, თუ როგორ ლანძღავდენ და მიწასთან ასწორებდენ მარქსს პარიზის კომუნის შესახებ მისი შრომის გამოქვეყნების შემდეგ.

ისტორიას ლენინის მგზავრობისას „დაპლომბილ" ვაგონში ყოველმხრივ აზვიადებენ. მთელი მსოფლიოს პრესა ლენინს აცხადებს გერმანიის ჯაშუშათ და „ააშკარავებს" მის შეთანხმებას კაიზერის მთავრობასთან და გენერალურ შტაბთან. მართალია, ლენინის შეურიგებელმა მტრებმაც კი იცოდნენ, რუსეთში, რომ ის არის იდეის კაცი, გრანდიოზული, მომაჯადოებელი იდეის, რევოლუციის იდეის, და რომ მას არ შეუძლია მოღალატეობა; მიუხედავათ ამისა მათ პასუხისგებაში მისცეს ლენინი, ზინოვიევი, ტროცკი და ლუნაჩარსკი, რომლებსაც სახელმწიფოს ღალატი დააბრალეს.

ლენინს მგზავრობა გერმანიით აიხსნება იმით, რომ მას არ ჰქონდა სხვა საშუალება. საკმაოა მიუთითოთ იმ დაბრკოლებებზე, რომელთა გადალახვა დასჭირდება ტროცკის ამერიკიდან რუსეთში დაბრუნების დროს, ან იმ უდიერ ტლანქ მოპყრობაზე, რომლის მსხვერპლი შეიქნენ შემდეგ უცხოეთში ჩიჩერინი და პეტროვი. გარდა ამისა, ახლა უკვე ფაქტიურად დამტკიცებულია,—სუხანოვი იუწყება ამას თავის „წერილებში რევოლუციაზე",—რომ მილიუკოვმა რუსეთის ყველა კონსულებს უცხოეთში გაუგზავნა ორი დეპეშა, რომელშიც კატეგორიულ წინადადებას აძლევდა მათ არ შეემოწმებიათ იმ რუს ემიგრანტების პასპორტები, რომელთა სახელები შეტანილი იყო საერთაშორისო კონტროლის ცნობილ სიებში.

5 (18) აპრილს ლენინმა და ზინოვიევმა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე გააკეთეს ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ რატომ ჩამოვიდნენ ისინი გერმანიის გზით; ამის შედეგად გამოტანილ იქნა დადგენილება, რომ მისცემოდა წინადადება დროებით მთავრობას, რათა მიეღო ზომები ყველა ემიგრანტების დაუბრკოლებლივ დაბრუნებისათვის რუსეთში.

ისტორიული თეზისები

7 (20) აპრილს ლენინმა „პრავდა"-ში გამოაქვეყნა თავისი თეზისები რევოლუციისა და ომის ამოცანების შესახებ 1). ქვემოდ მოყვანილი არის ამ თეზისების მოკლედ გადმოცემა, რომელიც ზოგიერთ ცვლილებათა გამონაკლისით, ბოლშევიკური პარტიის პროგრამის პირველ რედაქციას წარმოადგენს ოქტომბრის გადატრიალების დროიდან.

1) დათანხმება რევოლუციონურ ომზე, მაგრამ იმ პირობით, თუ სახელმწიფო ძალა-უფლება პროლეტარიატისა და ულარიბესი გლეხობის ხელში გადავა; უარის თქმა ანექსიაზე არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. ფართო პროპაგანდის მოწყობა მომქმედ არმიაში, დაძმობილება.

2)ეხლა დადგა მომენტი, როცა რევოლუციის პირველი ეტაპიდან უნდა გადავიდეთ მეორე ეტაპზე; პროლეტარიატმა და ულარიბესმა გლეხებმა ხელთ უნდა იგდონ სახელმწიფო ძალაუფლება; აუცილებელია ამ იდეის პროპაგანდა მასებს შორის, რომლებიც ეს არის გამოფხიზლდენ პოლიტიკური ცხოვრებისათვის.

3) არავითარი მხარის დაჭერა ეროვნული მთავრობისათვის, რომელიც ატყუებს მასებს, ხელს არ იღებს იმპერიალისტურ ომზე და არსებითად კაპიტალისტურ მთავრობას წარმოადგენს.

4) აღიარება იმ ფაქტისა, რომ ბოლშევიკები მხოლოდ უმცირესობას წარმოადგენენ საბჭოში; ეს გარემოება უნდა იქნას რა მიღებული მხედველობაში, საჭიროა განუმარტოთ მასებს, რომ საბჭოთა რევოლუციონური მთავრობა ერთად - ერთ ფორმას წარმოადგენს; საჭიროა დიდის მოთმინებით და სისტემატიურად აღინიშნოს და ხაზი გაესვას მასების წინაშე მთავრობის ყოველ შეცდომას. უნდა ვისწრაფოთ ლოზუნგის „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს" განხორციელებას.

5) არა პარლამენტარული რესპუბლიკა, არამედ მუშათა, მოჯამაგირეთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა რესპუბლიკა. პოლიციის, არმიის, ჩინოვნიკების განდევნა.

6) აგრარულ პროგრამაში სიმძიმის ცენტრი გადატანილ უნდა იქნას მოჯამაგირეთა დეპუტატების საბჭოებზე; მემამულეთა ყველა მიწების კონფისკაცია, მთელი მიწის სივრცის კონფისკაცია და საბჭოების კონტროლისადმი დაქვემდებარება.

7) ყველა ბანკების შეერთება ერთ საერთოეროვნულ ბანკში, რომელიც საბჭოების კონტროლს დაექვემდებარება.

8) მუშათა დეპუტატების საბჭოს კონტროლი პროდუქტების წარმოებასა და განაწილებაზე.

9) პარტიული ამოცანები: პარტიული ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევა და პარტიის პროგრამის შეცვლა, უმთავრესად შემდეგ საკითხებში: იმპერიალიზმისა და იმპერიალისტური ომის შესახებ; სახელმწიფოსადმი დამოკიდებულების შესახებ; ჩამორჩენილი პროგრამა მინიმუმის შესწორების შესახებ; პარტიის სახელწოდების შეცვლის შესახებ (იმის გამო, რომ სიტყვა „სოციალ - დემოკრატს" სახელი გაუტეხეს სოციალ პატრიოტებმა).

10) ინტერნაციონალის განახლება; ნამდვილრევოლუციონური ინტერნაციონალის შექმნა.

ბოლშევიკების გავლენა იზრდება

„სოლდატსკაია პრავდა" — ბოლშევიკური ორგანო, რომელიც ჯარისკაცებს შორის ვრცელდება, ინტენსიურ პროპაგანდას აწარმოებს სამხედრო ნაწილებში; არმიაში ხდება მასიური დეზერტირობა. საბჭოებში იზრდება „ლენინელთა" რიცხვი. ტროცკის მომხრეთა უმრავლესობა ტროცკის მეთაურობით უერთდება ბოლშევიკების პარტიას; მუშა - ინტერნაციონალისტების უმრავლესობა სტოვებს მენშევიკურ და ესერთა პარტიებს.

5 მაისს არსდება კოალიციონური მთავრობა, რომლის შემადგენლობაშიაც შედიან: კერენსკი, ჩერნოვი, წერეთელი და სკობელევი, ე. ი. მშრომელთა ჯგუფი, ესერები და მენშევიკები. კერენსკი, რომელმაც მიიღო სამხედრო და საზღვაო მინისტრის პორტფელი, ბრძანებით მიმართავს არმიასა და ფლოტს და, საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახელით მოწოდებით მიმართავს მოსახლეობას, რომ უეჭველად გაუწიონ დახმარება დროებით მთავრობას.

3 ივნისს ჩხეიძის თავმჯდომარეობით გაიხსნა საბჭოთა პირველი ყრილობა, რომელზედაც მონაწილეობას იღებს 781 დელეგატი — 297 ესერი, 253 მენშევიკი, 100 ბოლშევიკი, 32 მენშევიკ ინტერნაციონალისტი, 10 ბუნდოველი, 3 ნაროდნიკი და სხვ. პეტროგრადის ქალაქის საბჭოში გადიან: 54 ესერი, 47 კადეტი, 40 მენშევიკი, 37 ბოლშევიკი და სხვ.

მოკავშირეთა ზეგავლენით კერენსკი აიძულებს არმიას დაიწყოს მეტად მარცხიანი შეტევა. პეტროგრადში ხდება სრ. რუსეთის საბჭოთა პირველი ყრილობის მიერ მოწყობილი გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობას იღებს ნახევარი მილიონი მუშა და ჯარის კაცი; ლოზუნგები პლაკატებსა და დროშებზე მოწმობენ, რომ იზრდება ბოლშევიკური გავლენა ხალხის მასებში:

„ძირს კონტრ - რევოლუცია! ძირს მეფის სათათბირო! ძირს სახელმწიფო საბჭო! ძირს 10 მინისტრი - კაპიტალისტი! მთელი ძალა-უფლება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს! „ჯარისკაცთა უფლებების დეკლარაციის" გადასინჯვა! ძირს რევოლუციონური მუშების განიარაღება! გაუმარჯოს სახალხო მილიციას! ძირს წარმოების ანარქია! ძირს მატყუარა კაპიტალისტები! გაუმარჯოს კონტროლს წარმოებასა და განაწილებაზე! ძირს შეტევის პოლიტიკა! ბოლო მოეღოს ომს! არც სეპარატიული ომი ვილჰელმთან, არც საიდუმლო შეთანხმებანი საფრანგეთისა და ინგლისის კაპიტალისტებთან! პური! მშვიდობიანობა! თავისუფლება! გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს!"

ნადირობა ბოლშევიკურ პარტიაზე

რამოდენიმე დღის შემდეგ, 3 ივლისს, მიუხედავად ბოლშევიკური ბელადების გაფრთხილებისა, რომელნიც სცნობდენ, რომ მასების რევოლუციონური გამოსვლა ეხლანდელ მომენტში ნაადრევია, მუშები, რომელთაც უერთდებიან ჯარისკაცები და კრონშტადტელი მეზღვაურები, გამოდიან ქუჩაზე. მაშინ ბოლშევიკები უდგებიან მოძრაობას სათავეში, რომ ეს მოძრაობა ჩააყენონ განსაზღვრულ კალაპოტში და აიცილონ თავიდან მოსალოდნელი საბედისწერო შედეგები. ახდენენ ცდას დააპატიმრონ მინისტრი ჩერნოვი. მღელვარებანი იწყება აგრეთვე პროვინციაში: ნიჟნი - ნოვგოროდში და სხვა ადგილებში. ზოგიერთ ბოლშევიკებს აპატიმრებენ როგორც „გერმანიის ჯაშუშებს". თავადი ლვოვი სტოვებს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტს; მას სცვლის კერენსკი, რომლის პირველი საქმეა აჯანყებაში მონაწილე ორგანიზაციების ლიკვიდაცია და ბრძანება ლენინის, ზინოვიევის, ტროცკის, კამენევის, სემაშკოს, ლუნაჩარსკის, რასკოლნიკოვის და სხვ. დაპატიმრების შესახებ. ანტიბოლშევიკური პრესა მძვინვარებს, განგაშს სცემს, ხურავენ და არბევენ ბოლშევიკური პარტიის სტამბას; კერენსკი კრძალავს ბოლშევიკური გაზეთების გამოშვებას; მაგრამ ეს გაზეთები მაინც გამოდიან სხვადასხვა სახელწოდებით.

ლენინსა და ზინოვიევს სურთ წარსდგენ სასამართლო ხელისუფლების წინაშე, მაგრამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის განკარგულებით, ისინი იმალებიან და არალეგალურად სცხოვრობენ, როგორც 1905 წ., ჯერ ფინეთის ერთერთ მიყრუებულ კუთხეში და შემდეგ ვიბორგის მხარეს პეტროგრადში. კრონშტადტის „პროლეტარსკოე დელო" აქვეყნებს წერილს, რომელიც მარტავს ბოლშევიკების პოზიციას და მიზეზებს იმისა, თუ რატომ აცხადებენ ისინი უარს იცნონ მილიუკოვების, ალექსინსკების და კომპ. იუსტიცია.

„იუსტიციის ყოფილი მინისტრის პერევერზევის წერილის შემდეგ, — ნათქვამი იყო წერილში, — რომელიც გამოქვეყნდა „ნოვოე ვრემია"-ში, გამოირკვა, რომ საქმე ლენინის შპიონაჟის შესახებ გამოგონილი ამბავია, რომელიც შეთხზეს კონტრრევოლუციონურმა პარტიებმა პერევერზევმა აშკარად აღიარა, რომ მან ცარიელი სიტყვების ბრალდებებით ისარგებლა იმისათვის, რომ ჯარისკაცების აღშფოთება გამოეწვია ჩვენი პარტიის წინააღმდეგ. იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა, კაცმა, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ უწოდებდა თავის თავს სოციალისტს, თვითონ დაადასტურა საქმის ვითარება. პერევერზევი წავიდა, მაგრამ არავის არ შეუძლია მოგვცეს გარანტია, რომ ახალი მინისტრი არ მიმართავს პერევერზევის ხრიკებს. კონტრრევოლუცია ამზადებს დრეიფუსის ახალ პროცესს. მას იმდენად სწამს ჩვენი შპიონაჟი, რამდენადაც რუსეთის რეაქციის ბელადებს, რომლებმაც შექმნეს ბეილისის საქმე, სწამდათ, რომ ებრაელები სვამენ ბავშვების სისხლს. ამჟამად რუსეთში არ არსებობს არავითარი უფლებრივი გარანტია.

ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომელიც რუსეთის დემოკრატიის ორგანოდ ითვლებოდა, ჯერ დანიშნა კომისია შპიონაჟის საქმის გამოსარკვევად, მაგრამ შემდეგ, კონტრრევოლუციონერების ზეგავლენით; ამ კომისიამ შესწყვიტა თავისი არსებობა. კომიტეტმა არ მოისურვა დაედასტურებია ან გაეუქმებია ბრძანება ჩვენი დაპატიმრების შესახებ. მან ხელი დაიბანა და გაგვცა ჩვენ".

დროებითი მთავრობის კრიზისი ღრმავდება

ლენინი არ სწყვეტს თავის პროპაგანდას; „პრავდა" და სხვა პარტიული ორგანოები აქვეყნებენ მის წერილებს და დაკვირვებებს. მან გაიპარსა წვერები, ჩამოიფარა პარიკი და მონაწილეობაც კი მიიღო პარტიის ცეკას ზოგიერთ მნიშვნელოვან სხდომებზე. თავისუფალ დროს იგი ანდომებს თავისი შრომის „სახელმწიფო და რევოლუცია" მომზადებას, რომელიც საპატიო მიზეზების გამო დაუმთავრებელი დარჩა.

მოკლე ბოლოსიტყვაობაში ამის შესახებ იგი შემდეგს ამბობს:

„ეს წიგნაკი დაწერილია 1917 წ. აგვისტოსა და სექტემბერში. მე უკვე შევადგინე შემდეგი, მეშვიდე თავის გეგმა: „1905 და 1917 წლების რუსეთის რევოლუციების გამოცდილება". მაგრამ სათაურის გარდა მე ვერ მოვასწარი ამ თავის ვერც ერთი სტრიქონის დაწერა:

„ხელი შემიშალა" პოლიტიკურმა კრიზისმა, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის დაწყებამ. ასეთ „ხელის შეშლა" მხოლოდ სასიხარულოა. ამ წიგნაკის მეორე გამოცემა (რომელიც შეეხება „1905 და 1917 წ.წ. რუსეთის რევოლუციების გამოცდილებას") ალბად, მოგვიხდება დიდი ხნით გადავდოთ: უფრო სასიამოვნო და სასარგებლოა „რევოლუციების გამოცდილების" კეთება, ვიდრე მასზე წერა". *)

კრიზისი ახლოვდება. მთავარ სარდლად ინიშნება კონტრ - რევოლუციონური გენერალი კორნილოვი. ჩერნოვი გადადგა; გარეშე საქმეთა მინისტრი ტერეშჩენკო მის მაგალითს მისდევს. კერენსკი, რომელმაც განუსაზღვრელი რწმუნებულებანი მიიღო საბჭოს, დროებითი მთავრობის, სახელმწიფო სათათბიროს და სხვადასხვა პარტიების წარმომადგენელთა მონაწილეობით გამართულ საგანგებო კრებისაგან, ადგენს მეორე კოალიციურ სამინისტროს. ბოლშევიკების დევნა ძლიერდება. ახდენენ ცდას, რომ კვლავ შემოიღონ სიკვდილით დასჯა, მაგრამ საბჭოები ამის წინააღმდეგ მიდიან, სხვათა შორის, მხოლოდ ოთხი ხმის უმრავლესობით. ქალაქის სათათბიროს არჩევნების დროს, რომელიც პეტროგრადში ხდება აგვისტოს შუა რიცხვებში ესერები იღებენ 75 ადგილს, ბოლშევიკები — 67, კადეტები — 42, მენშევიკი - ინტერნაციონალისტები — 8. კორნილოვი სცდილობს სახელმწიფო გადატრიალების მოხდენას, მაგრამ ამის შედეგად ბოლშევიკების გავლენა კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება.

როცა რამოდენიმე დღე გავიდა კორნილოვის ავანტიურის შემდეგ, საბჭო ბოლშევიკურ რეზოლუციას იღებს 279 ხმით წინააღმდეგ 115 ხმისა; 51 თავი შეიკავა. მალე ამის შემდეგ ხდება აღმასრულებელი კომიტეტის ხელ-ახალი არჩევა; ბოლშევიკებს ამ დროისათვის, როგორც პეტროგრადის, ისე მოსკოვის საბჭოში უკვე ყავს ხმების უმრავლესობა; ტროცკის ანთავისუფლებენ ციხიდან და ირჩევენ პეტროგრადის საბჭოს წევრად. „ბოლშევიზმის გამარჯვება გვიჩვენებს, რომ ისინი გაცილებით უფრო ძლიერი და საშიშნი არიან, ვიდრე შეიძლებოდა გვეფიქრა", — სწერს მილიუკოვის გაზეთი „რეჩი".

კერენსკი მოსკოვში იწვევს რესპუბლიკის დროებით საბჭოს, ერთგვარ პარლამენტს, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელნი. 7 ოქტომბერს (დროებითი საბჭოს გახსნის დღე) ტროცკი ბოლშევიკური ფრაქციის სახელით ამბობს მოკლე, მაგრამ ღირსშესანიშნავ სიტყვას, რომლის შემდეგ იგი, მთელ ფრაქციასთან ერთად სტოვებს სხდომის დარბაზს.

„ჩვენ, სოციალ - დემოკრატების ბოლშევიკების ფრაქცია, — ამბობს ტროცკი, — ჩვენ ვაცხადებთ:

ამ მთავრობასთან ხალხის ღალატისა... (ძლიერი ხმაურობა მარჯვნივ და ცენტრში, ხმები. „არამზადა!" თავმჯდომარე წესრიგისაკენ მოუწოდებს ორატორს, მაგრამ საერთო ხმაურობაში არ ისმის.)

... ამ საბჭოსთან კონტრ - რევოლუციონური წაქეზებას... (ძლიერი ხმაურობა და ხმები: „ძირს!" ძახილი ცენტრში: „მოქალაქე ტროტკი, თქვენ ამზადებთ პეტროგრადის დაცემას!" თავმჯდომარე: „მე მოუწოდებ ორატორს წესრიგისაკენ და წინადადებას ვაძლევ კრებას დამშვიდებით მოისმინოს მისი განცხადება". ხმები: „ჩვენ არ შეგვიძლია დამშვიდებით მოუსმინოთ მას!"). ჩვენ არაფერი საერთო არა გვაქვს ხალხისათვის იმ დამღუპველ მუშაობასთან, რომელიც სწარმოებს ოფიციალურ კულისებს იქით. იმ დროს, როცა ვილჰელმის ჯარები ემუქრებიან პეტროგრადს, კერენსკისა და კონოვალოვის მთავრობა ემზადება გაიქცეს პეტროგრადიდან, რომ მოსკოვი კონტრ - რევოლუციის დასაყრდენად გადააქციონ. მოსკოვის მუშებსა და ჯარისკაცებს ჩვენ მოუწოდებთ სიფხიზლისაკენ. ვსტოვებთ რა დროებით საბჭოს (ძლიერი ხმაურობა ცენტრში) სიფხიზლისა და მამაცობისაკენ მოუწოდებთ მთელი რუსეთის მუშებს, ჯარისკაცებს და გლეხებს. (ხმა: „გერმანიის და არა რუსეთის!") პეტროგრადი საფრთხეშია, რევოლუცია და ხალხი საფრთხეშია. მთავრობა აღრმავებს ამ საფრთხეს, მმართველი პარტიები კი ეხმარებიან მას. მხოლოდ თვითონ ხალხს შეუძლია იხსნას თავისი თავი და ქვეყანა. ჩვენ მივმართავთ ხალხს: გაუმარჯოს დაუყოვნებლივ, სინდისიერ, დემოკრატიულ ზავს! მთელი ძალაუფლება საბჭოებს! მთელი მიწა ხალხს! გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!„ **)

წერილში „კრიზისი მომწიფდა" ლენინი აღნიშნავს, რომ რუსეთის რევოლუციამ, უეჭველია, მიაღწია გადამჭრელ მომენტს. მას მოჰყავს ესერული პარტიის „დელო ნაროდა"-ს შემდეგი აღიარება:

ბოლშევიკები (პროლეტარული საქმის საცოდავი მოღალატეები იქნებიან [illegible])

პეტროგრადის საბჭომ გამოსცა ბრძანება, რომელიც უკრძალავდა პეტროგრადის სამხედრო ოლქის შტაბის განკარგულებისადმი დაქვემდებარებას; არსდება სამხედრო-რევოლუციონური კომიტეტი. იუსტიციის მინისტრი სცემს განკარგულებას, რომ დაპატიმრებულ იქნას ლენინი, რომელიც მიღებული ცნობების მიხედვით პეტროგრადში იმალება; 22 ოქტომბერს (4 ნოემბერს) საბჭოს სხდომის დღეს, ყველა ფაბრიკებში ხდება მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგები დროებითი მთავრობის წინააღმდეგ. კერენსკი დაუღალავათ ქადაგებს დროებით საბჭოში, რომ აუცილებელია ბრძოლა ბოლშევიკებთან. მთავრობა ადგენს დახუროს „ოპოზიციონური" გაზეთები.

ლენინი უკანასკნელად მიმართავს მენშევიკებსა და ესერებს მოწოდებით, რომ შეიქნას კოალიციონური მუშური მთავრობა და მოეწყოს ერთად ბრძოლის წარმოება კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ; იგი სცნობს, რომ დადგა გადამჭრელი მომენტი ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისათვის. სწორედ ამ წინადადებას აძლევს იგი თავის პარტიის ცეკას.

„ჩვენი ცეკა,—სწერს ზინოვიევი,—არ დაეთანხმა მაშინ ამხ. ლენინს. ჩვენ თითქმის ყველას გვეგონა, რომ ჯერ კიდევ ძალიან ადრეა, რომ მენშევიკებსა და ესერებს ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი მომხრენი ჰყავთ. მაშინ ლენინი სტოვებს თავის თავშესაფარს და „თავნებურად", ანგარიშს არ უწევს მეგობართა შიშს, ფინეთიდან ჩამოდის პიტერში, რომ ექადაგა აჯანყების დაუყოვნებლივ მოხდენა. კერენსკი და ავქსენტიევი სწერენ ბრძანებებს ბრძანებებზე ლენინის დაპატიმრების შესახებ, ლენინი კი ჰერ-ქვეშიდან ამზადებს აჯანყებას, არწმუნებს ეჭვიანებს, ჰკიცხავს მერყევებს, სწერს და აგიტაციას ეწევა რაც შეიძლება მალე გამოსვლისათვის. და აღწევს თავისას.

„... ეხლა ყოველივე ეს ცხადია. მაგრამ მაშინ, მოვლენათა ქარტეხილში, საჭირო იყო ლენინური თვალსაზრისი, საჭირო იყო ლენინური გენიალური ინტუიცია, რომ თქმულიყო: არც ერთი კვირით დაყოვნება—ან ეხლა ან არასოდეს. და საჭირო იყო ნებისყოფის შეურყეველი ლენინური ძალა, რომ გადაგველახა დაბრკოლებები და სწორედ დროულად დაწყებულიყო უდიდესი გადატრიალებათაგანი, რომელიც იცის ისტორიამ".

მთელი პრესა აშკარად ლაპარაკობდა ბოლშევიკების მიერ შეიარაღებული აჯანყების მზადების შესახებ. ამაში ეჭვი არავის შეეძლო. სცდილობდნენ მხოლოდ გამოსვლის მომენტის წინასწარ გამორკვევას.

ა. გ.

შვეიცარიის ოხრანკა ლენინის შესახებ

1916 წ. დასაწყისიდან 1917 წლის გაზაფხულამდე ვლადიმერ ილიჩი ცხოვრობდა ციურიხში, ქალაქის ძველ ნაწილში, შპიგელშტრასსეზე (სარკის ქუჩა). შპიგელშტრასსე მეტად ვიწრო ქუჩაა. ამ ქუჩაზე ცხოვრობენ წვრილი ხელოსნები და შინამრეწველები. ერთი მათგანისაგან, ხარაზ კამერერისაგან ვლადიმერ ილიჩმა იქირავა პატარა, ღარიბულად მოწყობილი ოთახი. იგი ამ ოთახში სცხოვრობდა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულ კრუპსკაიასთან ერთად, რომელიც აქვე ამზადებდა სადილს.

ერთი წლის წინად ჟურნალისტმა ეგონ ერვინ კიშმა მოინახულა ილიჩის ბინის ყოფილი სახლის პატრონი. მან გაიხსენა მასთან ნაცნობობა, და გულუბრყვილო შვეიცარიელი ხელოსანის ნაამბობიდან ბევრი საინტერესო ცნობები მიიღო ვლადიმერ ილიჩის ცხოვრებიდან ციურიხში.

კიშმა ინახულა აგრეთვე ლენინის ყოფილი ბინა. ეს ოთახი მეტად დაბალია ხელის აწევა არ შეიძლება ისე,რომ ჭერს არ მოხვდეს, მისი სიფართოვე სულ 3—4 მეტრს უდრის, სიგრძე—5 მეტრს. კარებთან არის რკინის ღუმელი, მილი ამოფრიდან მთელ ოთახზე გადის. ფანჯარასთან იყო ძველი კამოდი. გარდა ამისა, ოჯახის ავეჯეულს შეადგენდა ლოგინი. ასეთ ღარიბულად მორთულ, დაბალ ოთახში, რომელშიც ნაქირავები იყო 24 ფრანკად თვეში, გაზის ან ნავთის სინათლის მკრთალ სინათლეში მუშაობდა დიდი რევოლუციონერი.

ვ. ი. ლენინმა საზღვარგარეთ თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი გაატარა შვეიცარიაში და „თავისუფალ ჰელვეციაში" ბინადრობდა იმიტომ, რომ იქ უფრო ნაკლებად ავიწროებდნენ პოლიტიკურ ემიგრანტებს, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ეხლა, იმ უდიდესი ინტერესის გამო, რომელსაც იწვევს ყოველივე ის, რაც დაკავშირებულია ლენინთან,—იმ ინტერესის, რომელიც არის არა მარტო მშრომელთა წრეებში, არამედ ბურჟუაზიულ ჟურნალისტებს შორისაც,—„ფრანკფურტის გაზეთი"-ს კორესპონდენტმა ციურიხის პოლიციაში მონახა დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ შვეიცარიის და კერძოდ ციურიხის პოლიტიკური პოლიცია მეტად გულგრილად ადევნებდა თვალს იმას, თუ რას აკეთებდა ლენინი.

აი, ციურიხის ოხრანკის ზოგიერთ დოკუმენ- [illegible]

ლენინი შექმნილი მდგომარეობის შესახებ

„თითქმის არაფერი გაკეთებულა იმ მონურ ურთიერთობათა მოსასპობად, რომელიც ჯერ კიდევ ბატონობს სწორედ ცენტრალურ რუსეთში. კანონი სამიწე ურთიერთობათა მოგვარების შესახებ სოფლად, რომელიც უკვე დიდი ხანია შეტანილია დროებით მთავრობაში და, რომელმაც ისეთ ინსტანციაშიაც კი გაიარა, როგორიც არის იურიდიული თათბირი, — ეს კანონი უიმედოდ გაიჩხირა რომელიღაც კანცელარიებში.,. განა ჩვენ მართალნი არა ვართ, როცა ვამტკიცებთ, რომ ჩვენი რესპუბლიკანური მთავრობა ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა მეფის მმართველობის ძველ ჩვეულებათაგან, რომ სტოლიპინის სული ჯერ კიდევ თავს იჩენს რევოლუციონური მინისტრების მეთოდებში?"

შემდეგ იგი ამტკიცებს, რომ ძალთა განწყობილება ხელსაყრელია ბოლშევიზმისათვის. მოსკოვში 17.000 ჯარისკაციდან 14.000 ხმა მისცა ბოლშევიკებს, ამასთანავე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ „მოსკოვი პიტერზე უფრო წვრილბურჟუაზიულია". შემდეგ, მენშევიკებისა და ესერების მიერ მოსკოვის საბჭოს არჩევნებში მიღებული ხმების რიცხვი შემცირდა 70 პროც-დან 18 პროც-მდე, მაშინ როდესაც ბოლშევიკების მიერ მიღებული ხმების რიცხვი 34.000-დან გაიზარდა 82.000-მდე; მათ მიიღეს ხმების საერთო რაოდენობის 47 პროც. აქედან ლენინს ორი დასკვნა გამოჰყავს: „წვრილმა ბურჟუაზიამ გვერდი აუქცია კოალიციას; ხალხი ჩამოშორდა მას. აქ ეჭვი შეუძლებელია". —„რომ მემარცხენე ესერებთან ერთად საბჭოებში, არმიაში და მთელ ჩვენ ქვეყანაში ეხლა ჩვენ უმრავლესობა გვაქვს, — ამაში არავითარი ეჭვის შეტანა არ შეიძლება". დაბოლოს იგი დასძენს: „უეჭველია, რომ ბოლშევიკები, თუ ისინი გაებმებიან კონსტიტუციონური ილიუზიების, დამფუძნებელი კრების მოწვევის „რწმენის", საბჭოების ყრილობის „მოლოდინის" და სხვ. მახეში, — უეჭველია, რომ ასეთი [illegible]



სახლი, რომელშიც ცხოვრობდა ლენინი ციურიხში (შვეიცარია).
(ჯვრით აღნიშნულია ლენინის ოთახის ფანჯარა).

---

1) ნ. ლენინი. „პროლეტარიატის ამოცანები ეხლანდელ რევოლუციაში" თხზულ. კრებ. ტ. 14, ნაწ. 1, გვ. 17.

*) ლენინი. „სახელმწიფო და რევოლუცია". ბოლოსიტყვაობა. თხზ. კრებ. ტ. 14, ნაწილი 2, გვ. 396.

**) „რეჩი", № 237 1917 წლის 8 ოქტომბრის თარიღით (დროებითი საბჭოს პირველი სხდომის სტენოგრაფ. ანგარიში).

რა ხდება ქართულ ემიგრაციაში
(საუბარი ამხ. მაკინციანთან)

გუშინ თბილისში ჩამოვიდა „ზაკგოსტორგის“ წარმომადგენელი იტალიაში ამხ. მაკინციანი.

უკანასკნელი ოთხი თვე ამხ. მაკინციანმა დაჰყო პარიზში.

ჩვენი გაზეთის თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ როგორია ამჟამად ქართული ემიგრაციის მდგომარეობა საფრანგეთში, ამხ. მაკინციანმა განაცხადა შემდეგი:

შეიძლება ითქვას, რომ ემიგრაცია ეხლა საზღვარ გარედ სდგას საბოლოო გახრწნის გზაზე.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ემიგრაციას ჩამოშორდა არა მარტო ქვედა ფენები, არამედ ბევრი ცნობილი წევრებიც.

მენშევიკური პარტიის მრავალი ყოფილი ბელადები სდგებიან საბჭოთა პლატფორმაზე და მზად არიან დაბრუნდენ სამშობლოში.

თუ რამდენათ ზნეობრივად გაიხრწნა მენშევიკური ემიგრაცია, ამ გარემოებას ნათლად ამტკიცებს ჩოლოყაშვილის საქმე ყალბი ჩერვონცების შესახებ.

როდესაც პირველად დააპატიმრეს თავადი ჩოლოყაშვილი, „საქართველოს მთავრობის“ სახელით ა. ჩხენკელმა იკისრა მისი განთავისუფლება. ამ შუამდგომლობას არაფერი შედეგი მოჰყვებოდა რომ ჩოლოყაშვილს არ მიშველებოდენ „გამოქექილი“ ბურჟუაზიული იურისტები, რომელთაც სხვადასხვა ხრიკებით მოახერხეს მისი განთავისუფლება. მაგრამ ის იმ საღამოსვე კვლავ დააპატიმრეს პარიზის ქუჩაში დებოშის მოხდენისათვის.

შეეხო რა ქართველ მენშევიკებსა და მუსავატელების მიერ დაარსებულ კავშირს ამხ. მაკინციანმა განაცხადა:

აღნიშნულმა კავშირმა ვერაფერი გამოძახილი ვერ ჰპოვა ქართულ ემიგრაციაში. ის მოკლებულია ყოველგვარ გავლენას ემიგრაციაში და თამაშობს უჯარისკაცო ღენერლების როლს.

დაშლის გზაზეა აგრეთვე დამდგარი სომხური ემიგრაცია. ემიგრანტების უმრავლესობის სურვილია სამშობლოში დაბრუნება.

თუ რამდენად დიდია პარიზში მცხოვრებ ემიგრანტების ინტერესი საბჭოთა ქვეყნისადმი — ეს სჩანს იქიდან, რომ ამხ. მაკინციანს ერთ-ერთმა მუშამ გადასცა მის მიერ დამზადებული ელექტრიული საათი და სთხოვა მიართვას საჩუქრად სომხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

საუბარის დასასრულ ამხ. მაკინციანმა განაცხადა რომ ახლო ხანში საბერძნეთიდან საბჭოთა სომხეთში ჩამოვა 1.000 ლტოლვილი.

პარტიული ცხოვრება
კომკავშირი და ნებაყოფლობითი საზოგადოებები სოფლად

კომკავშირი სოფლად ძლიერი კულტურული ძალაა. არ არის სოფლად ისეთი საზოგადოებრივი საქმე, ისეთი კულტურული წამოწყება, რომ კომკავშირი აქტიურ მონაწილეობას არ იღებდეს. მისი მუშაობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ახალგაზრდობით, ის თავის კვალს ამჩნევს სოფლის მთელ მუშაობას. ამიტომაც არის, რომ სოფელში კომკავშირი დიდ პოპულიარობით სარგებლობს; გლეხი ხშირად კომკავშირელს მიმართავს სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხების განსამარტავად. ეს გარემოება სოფლის კომკავშირელს ბევრს ავალებს; მან უნდა ეცადოს თავისი გონიერი და სწორი მუშაობით კიდევ უფრო განამტკიცოს კომკავშირის გავლენა სოფლად. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, მან უნდა იხელმძღვანელოს უმაღლესი პარტიული და კომკავშირული ორგანოების მითითებებით.

დღეს კომკავშირებს სოფლად ბევრი საყურადღებო სამუშაო აქვს შესასრულებელი. პირველ ადგილზე კომკავშირის საქმიანობაში სოფლად უნდა იდგეს მასიური კულტურული მუშაობის წარმოება. ამ მხრით ჩვენ დღეს მიუთითებთ მხოლოდ ნებაყოფლობით საზოგადოებებზე, რადგანაც ამ საზოგადოებების მუშაობა სოფლად ერთობ მოისუსტებს. კომკავშირის მეთაურობით ნებაყოფლობითი საზოგადოებებში სოფლის მთელი ახალგაზრდობა და მოწინავე გლეხობა უნდა იქნეს ჩაბმული. წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ჩვენი ერთ - ერთი უახლოესი და გადაუდებელი ამოცანაა. „წერკუმს“ სოფლადაც აქვს განყოფილებები, მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ სოფლის მოსახლეობა ნაკლებად არის შიგ ჩაბმული. ეს უსათუოდ სოფლის კომკავშირის უჯრედის უარყოფით მხარედ ჩაითვლება. კომკავშირმა სოფლის მოსახლეობას უნდა გააცნოს წერკუმის მნიშვნელობა და დანიშნულება და ამნაირად შეუწყოს ხელი ამ საზოგადოებაში რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდობისა და გლეხობის აქტიური ნაწილის ჩაბმას, რითაც გაძლიერდება საზოგადოება და საშუალება ექნება მეტი სკოლები გახსნას წერა - კითხვის უცოდინართათვის. ეს კომკავშირის პირდაპირი მოვალეობაა. ასევე ითქმის სოფლად სხვა ნებაყოფლობითი საზოგადოებების შესახებაც. ავიღოთ თუ გინდ „რემედას“-ი. ამ საზოგადოებაშიაც ძლიერ სუსტადაა ჩაბმული გლეხობა. ზოგან თვით კომკავშირელებსაც არ ესმით ამ საზოგადოების მნიშვნელობა. ასევე „ავიახიმი“-ს საზოგადოებაც.

საერთოთ ნებაყოფლობითი საზოგადოებები სოფლად მოისუსტებენ. კომკავშირი ნებაყოფლობითი საზოგადოებების სული და გული უნდა იყოს. ამას კომკავშირმა ყურადღება უნდა მიაქციოს. სადაც არ არსებობს ეს საზოგადოებები, იქ კომკავშირმა თავისი ინიციატივით უნდა დაარსოს, სადაც არსებობს, იქ კი ამ საზოგადოებების მუშაობაში მეტი სიცოცხლე უნდა შეიტანოს. სოფლის მთელი ახალგაზრდობა და გლეხობის მოწინავე ნაწილი უნდა ჩააბას ამ საზოგადოებებში. უნდა აუხსნან და განუმარტონ გლეხთა ფართო ფენებს, რომ პროლეტარულ დიქტატურის რესპუბლიკებს გარდა არიან კაპიტალისტური ქვეყნები, სადაც ათასობით არიან გამომწყვდეული რევოლიუციონერები, რომელთაც დახმარება უნდა გაუწიოთ. ამ დახმარებისათვის არის დაარსებული „რემედას“-ი, რომელიც გლეხობამ უნდა გააძლიეროს თავისი აქტიური მონაწილეობით. ასევე უნდა გაიწიოს აგიტაცია - პროპაგანდა დანარჩენ ნებაყოფლობითი საზოგადოებების მიმართ. თავ-თავის დროზე უნდა იმართებოდეს ცალკე ნებაყოფლობითი საზოგადოების კრებები, რომელზედაც უნდა ვაშუქებდეთ საზოგადოების ამოცანას, მიღწევებს, ვუდგენდეთ საზოგადოების მოქმედების ანგარიშს ვაცნობდეთ ფინანსიურ მდგომარეობას. ამით დაინტერესდებიან წევრები და მეტ აქტივობას გამოიჩენენ საზოგადოების მუშაობაში.

ამნაირად, სოფლად კომკავშირმა მუშაობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად უნდა დაისახოს ნებაყოფლობითი საზოგადოებების გაძლიერება, მათ გარშემო ფართო უპარტიო გლეხების შემოკრება. „კომკავშირმა უნდა გამოაცოცხლოს სოფლად სხვადასხვა ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციები“, — კომკავშირის საკავშირო მეექვსე ყრილობის ეს დადგენილება სრულიად უნდა გატარდეს ცხოვრებაში.

ერთის მხრით ხელს შეუწყობთ ნებაყოფლობითი საზოგადოების გაძლიერებას სოფლად, მათი მუშაობის გამოცოცხლებას; მეორეს მხრით, საბჭოთა საზოგადოებრივ ასპარეზზე სამუშაოდ გამოვიყვანთ გლეხობის ფართო მასებს, რაც ხელს შეუწყობს ამ გლეხობის ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების უშუალო გავლენის ქვეშ დადგომას. ამით კომკავშირი თვალსაჩინო საქმეს გააკეთებს სოფლად მუშაობის საქმეში.

ელ.

რა მოგვცა მოძრავმა პოლიტ-სკოლებმა
(წერილი სიღნაღიდან)

პარტიული მასის, კომკავშირის და მშრომელთა უპარტიო ნაწილის მომზადება ჩვენი ამოცანის ერთ-ერთი შემადგენელ ნაწილთაგანია. ამ მხრივ ჩვენ გვაქვს საგრძნობი მიღწევები.

აქ ჩვენ მოკლეთ შევეხებით რა მიღწევები ან რა შედეგები გვაქვს პოლიტ - სკოლების მუშაობიდან.

ჩვენ მაზრაში 1926—27 წ. სამოსწავლო წელში სამაზკომიტეტის მიერ დაარსებული იქნა და დღემდე აწარმოებენ მუშაობას სულ 8 მოძრავი და 1 სტაციონალური სკოლა. განსაზღვრულ ვადის შემდეგ ხდებოდა სკოლების გამოშვება, რის შემდეგ არსდებოდა თვითგანვითარების წრეები კურსდამთავრებულ მსმენელთათვის. ამ წრეებს ენიშნებოდათ ხელმძღვანელები.

სამკომის მიერ აღებული იქნა კურსი იქითკენ, რომ სკოლები გახსნილიყო უფრო ჩამორჩენილ ან და ამახასიათებელ სოფლებში. მაგ. სკოლები იყო ს. ქედში, სადაც უმთავრესად თუშები მეცადინეობდნენ, სად. გურჯაანში, სადაც რკ. გზის მუშები იყვნენ ჩაბმული და სხვა.

ამჟამათ აწარმოებენ მეცადინეობას სოფ. გურჯაანის, ანაგის, კოლმეჩურის და სიღნაღის სტაციონალური სკოლები, რომლის გამოშვება ახლო ხანში მოხდება. შემდეგ სამოსწავლო წლის პერიოდის დასრულების გამო, მეცადინეობა შესწყდება.

სტატისტიკური ცნობებით ჩვენ ხელთ გვაქვს, უკვე გამოშვებული ხუთი სკოლის შესახებ, რომელიც იძლევა შემდეგ სურათს: სკოლაში ირიცხებოდა 166 მსმენელი; ამაში 35 ქალი. მსმენელთა საერთო რიცხვიდან არის 46 კომუნისტი, კომკავშირელები, რომლებიც არ ირიცხებიან კომპარტიაში 70, აქედან 13 ქალი. უპარტიო 50 აქედან 21 ქალი. მსმენელთა სოციალური მდგომარეობა: 10 მუშა, 116 გლეხი, 3 მოჯამაგირე, 37 მოსამსახურე და სხვ.

სკოლების გამოცდებზე იგზავნებოდა სამკომის წარმომადგენელი; ეს წარმომადგენელი გამოცდის დროს არკვევდა სკოლის მუშაობის პირობებს, მეცადინეობისათვის ხელის შემშლელ მიზეზებს, ატარებდა ინდივიდუალურ გამოცდებს და სხვა. გამოკვლევის შედეგათ აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ ადგილებში სკოლების მუშაობას ჰქონდა ტეხნიკური დაბრკოლებები, რაც სამაზრკომის ხელმძღვანელობით გამოსწორებულ იქნა, შემდეგი სკოლების გახსნის და მეცადინეობის პრაქტიკაში.

საერთოთ უნდა ითქვას, რომ სკოლის მუშაობა იყო ნაყოფიერი, რაც ხელს შეუწყობს პარტმასის და მშრომელთა გათვითცნობიერებას ერთის მხრივ, და მათი პრაქტიკულ სამუშაოზე გამოყენების საქმეს მეორე მხრივ. ამის საუკეთესო გარანტიას იძლევა გამოცდების შედეგები. მსმენელთა 50 პროც-მდე დამაკმაყოფილებლად და 28 პროც-მდე კარგად აბარებდა გამოცდებს.

გ. ხატიაშვილი.

კომკავშირი და სპორტი

კომკავშირის უჯრედთა საერთო მუშაობაში განუყრელ ნაწილს შეადგენს სოფლის სპორტიზაცია. ეს საკითხი დღესაც ორგანიზაციულ პერიოდში იმყოფება. შესამჩნევი მიღწევები ჯერ-ჯერობით ამ დარგში არა გვაქვს. მუშაობის გაცხოველებას ერთი მხრივ აფერხებს გამოცდილ ინსტრუქტორთა სიმცირე, ხოლო მეორე მხრივ ჩვენი უჯრედების სუსტი ინტერესი და ზოგან პასიური დამოკიდებულება ამ საქმისადმი. მომავალ საზაფხულო პერიოდში ფიზკულტურის დარგში მუშაობა უსათუოდ უნდა გავაცხოველოთ. სოფლის უჯრედები, როგორც ახალი საზოგადოებრივი ყოფა - ცხოვრების გამტარებლები, უდიდეს ყურადღებით უნდა მოეპყრან სპორტიზაციის საკითხს. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ სპორტი ერთგვარი იარაღია სოფლის ყოფა - ცხოვრების მახინჯი მხარეების (ლოთობა და სხვ.) აღმოსაფხვრელად.

ახალგაზრდობის ფართო მასების ჩაბმა ფიზკულტურის წრეებში ერთ-ერთი საშუალებაა ამ ახალგაზრდობაზე კომუნისტური გავლენის გასავრცელებლად. კომკავშირის ორგანიზაციის ყოველი წევრი აქტიურად უნდა ჩაებას ამ მუშაობაში. ეს საშუალებას მისცემს მას, ერთი მხრივ იზრუნოს ფიზიკურ ჯანსაღობაზე, ხოლო მეორე მხრივ, როგორც ვსთქვით კომკავშირის გავლენას განამტკიცებს უპარტიო ახალგაზრდობაზე.

გ. ძ—ლი.

ამხ. ნინო შავგულიძის ხსოვნას

მშრომელ ქალთა რიგებს გამოაკლდა ერთი საუკეთესო წევრი ამხ. ნინო შავგულიძე-მიქავახი. ამხ. ნინო ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ენერგიით სავსე იყო.

ის დაიბადა ს. ქვითირში (ქუთ. მაზრა) 1900 წელს. სწავლა-განათლება მიიღო ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში, რომელიც დაამთავრა 1920 წელს. იმავე წელს შევიდა ს.კ.პ. რიგებში.

დღიდან გასაბჭოებისა მუშაობდა ქუთაისის პარტიულ კომიტეტში, საიდანაც გადაგზავნილი იქნა ამიერ-კავკ. კომუნისტურ უნივერსიტეტში. ეს უკანასკნელი მას არ დაუმთავრებია. 1923 წლიდან დღემდე იგი ეწეოდა პარტიულ და საბჭოთა ხაზით მუშაობას ქ. თბილისში. ამ ხნის განმავლობაში მუშაობდა ს.კ.პ. ცეკაში, „წარმოკავშირში“ და უკანასკნელად ცეკას ქალთა განყოფილებაში. 1 მარტიდან ის ავათ შეიქნა და 14 აპრილს ღამით სამუდამოთ გამოესალმა წუთი სოფელს.

გარდა იმისა, რომ ამხ. ნინო საუკეთესო მუშაკი იყო, იგი აგრეთვე იშვიათი ამხანაგი და მეგობარიც იყო. ულმობელმა სენმა უდროოდ იმსხვერპლა მისი ახალგაზრდა ჯან-ღონით სავსე სიცოცხლე. დაუვიწყარი იქნება ჩვენს გულში მისი ხსოვნა.

ამხანაგი

ამხ. ნინოს ხსოვნას

ახალგაზრდა, ენერგიით სავსე, გულწრფელი ადამიანი, პატიოსანი და კარგი მუშაკი, აი ვინ დაკარგა ჩვენმა პარტიამ ამხ. ნინას სახით. მას ვერ იცნობენ ფართო პარტიული მასები, ის ჩუმი და შეუმჩნეველი მუშაკი იყო, მაგრამ ქუთაისელმა ამხანაგებმა კარგათ იციან ვინ იყო ამხ. ნინა. დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა სამი წლის განმავლობაში ამხ. ნინა ქუთაისში მუშაობდა პარტიული ხაზით. თავდადებული მუშაობით, ყველასადმი ამხანაგური და მეგობრული დამოკიდებულებით მან პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა ყველა ამხანაგებში.

1922 წელში ამხ. ნინა ქუთაისის პარტკომმა გამოგზავნა თბილისში სასწავლებელში. მას აქეთ ის აქ მუშაობს საბჭოთა და პარტიულ დარგში. 14 აპრილს ამხ. ნინა ულმობელმა სიკვდილმა უცბათ გამოასალმა წუთი სოფელს. პარტიამ მისი სახით დაკარგა ერთ-ერთი ჩუმი და ენერგიული მუშაკი. მისმა ნაცნობ-მეგობრებმა კარგი და ერთგული ამხანაგი. მშვიდობით ამხანაგო, ნინა. შენს ნაცნობ-მეგობრებში მარად დარჩება შენი ხსოვნა.

ა. ნ—ძე.

საბჭოთა საქართველო
წერილები
როგორ შეგვიჭამეს კოოპერატივი
(გორის მ.)

სოფელ ხაზუტის და კოშკის ტეზერის გლეხობას კარგი განწყობილება აქვთ ერთმანეთში. გარდა ამისა ეს სოფლები კულტურულადაც დაწინაურებული სოფლებია.

ვერ ნახავთ 30 წლის ქვევით ასაკის მქონე გლეხს, რომ წერა - კითხვა თავისუფლად არ შეეძლოს.

ერთი დიდი ნაკლი ამ სოფლების არის ის, რომ აქ არ არსებობს კოოპერატივი, რაც მეტად აძნელებს გლეხობის მეურნეობის გაუმჯობესებას. კოოპერატივი ამ სოფლებში ორჯერ „გადაჭამეს“. პირველად მენშევიკების კამგეობამ 1921 წლამდე და უკანასკნელად სხვადასხვა ბნელმა პირებმა, რომელნიც ცულლუტობით შეიჭრენ კოოპერატივის გამგეობაში.

კოოპერატივის საპაიო გადასახადი შევიტანეთ ყველამ, ზოგმა ოჯახმა ორი და სამი სული დააწერინა კოოპერატივის წევრად. სულზე 11 მანეთი შევიტანეთ საწევრო ფული. კოოპერატივის გამგეობაში მაშინვე სათავეში მოექცენ: მღვდელი ბიკენტი, ტარიელ ორჯონიკიძე და მიტროფანე ორჯონიკიძე. ეს პიროვნებები ამ სოფლის გლეხობას უხსოვარი დროიდან აძრობდნენ ლუკმა პურს პირიდან.

ვის არ ახსოვს, რომ ორჯონიკიძეების შიშით გლეხობა მიწას ვერ მოხნავდა, წყალის მოტანილ ქვას ვერ ამოიტანდა, თევზს ვერ დაიჭერდა, საქონელს ვერ აბალახებდა ტყეში და სხვა.

კოოპერატივი ამ ცხვრის ტყავში გამოხვეულ მგლებს განზრახული ჯამაგირის გარდა რამოდენიმე პროცენტებს აძლევდა მოგებიდან.

კოოპერატივი გლეხობას აკმაყოფილებდა. 1921 წელს, როცა საქართველოში საბჭოებმა გაიმარჯვეს, კოოპერატივის მთელი ქონება „პატივცემულმა“ გამგეობამ გაინაწილა.

მღვდელმა ხალხს გამოუცხადა, ჩვენი კოოპერატივი დაიკეტა და თქვენი ფული მიიღეთ უკან წევრებმაო. ფული კი იმდენად დაცემული იყო მაშინ, რომ ერთ მეათასედსაც არ წარმოადგენდა. ეს იყო უბრალო ხერხი, რომ გამგეობას თავის მოვალეობა თავიდან აეშორებინა. გლეხები გაბრაზდა და ფულიც მათ მიატოვეს. მათაც ეს უნდოდათ. ამრიგათ შეინარჩუნეს სოფლის ქონება.

დღეს კი ეს ვაჟბატონები საბჭოთა მოსამსახურეებათ ითვლებიან ხაშურში.

1925 წელს. ქ. სურამის ცენტრალურ კოოპერატივმა გახსნა თავის განყოფილება ს. ტეზერში, რასაც გლეხობა დიდი აღფრთოვანებით შეხვდა. ამ კოოპერატივსაც მალე მოესპო არსებობა უბადრუკი ხელმძღვანელობის წყალობით. ერთ წელიწად ნახევარში სამი ბოქარი დააყენეს კოოპერატივში. მათ ერთი მეორეს წაბაძვით გაფლანგეს ფულები. სურამის ცენტრალურ კოოპერატივმაც ნოქრები განთავისუფლა მუშაობისაგან, მაგრამ სოფელიც განთავისუფლდა სოციალიზმის მშენებლობის ერთ საშუალებისაგან - კოოპერატივისაგან.

ეს სამსახური ჩვენს სოფელს გაუწია „საზოგადო მოღვაწე“ პირებმა: სერგო ხარატიშვილმა, გრიშა მანჩხაშვილმა და ალექსანდრე კობახიძემ.

დღეს ეს სოფლები ისევ გახდა კერძო პატარა წვრილ ვაჭრების საწუწნელად. ხაშური და სურამი 5—6 ვერსითაა ჩვენგან დაშორებული. გლეხს დიდი დრო ეკარგება, 5 გირვანქა ნავთი რომ მოიტანოს, ან ამდენივე გირვანქა მარილი.

მეორე ზარალი ის არის, რომ ამდენ მანძილის გავლის შემდეგ მან სადილი უნდა სჭამოს. შევა დუქანში პურის საჭმელად ან სხვა დაუძახებს და ხშირად ხდება ხოლმე, როცა 1 მანეთის საქონელი 6 მანეთი უჯდება.

საჭიროა სოფლის საბჭომ და კომუჯრედმა გამოიყვანონ ამ უხერხული მდგომარეობიდან გლეხები.

უნდა მოვიშოროთ რიონის მუქარა
(ქუთ. მაზრა, სოფ. ბაში)

ეს სოფელი მდებარეობს ქუთაისიდან 25 ვერსის მოშორებით. სამხრეთით მას ჩაუდის მდ. რიონი. ამ წყალის ჭალები დიდათ ნოყიერ ადგილებს წარმოადგენენ, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მდინარე ხშირად აწიოკებს და აწუხებს სოფელს! საქმე იმაშია, რომ რიონი გაზაფხულობით და შემოდგომაზე ადიდდება და ვინაიდან მისი ნაპირები დაბალი და გაუმაგრებელია, თავისუფლად გადმოდის ნაპირებზე, სადაც ყველაფერს ანადგურებს.

მას ზოგ ადგილებიდან დამუშავებული, გაფხვიერებული და უკვე დათესილი ნიადაგი მიაქვს, გლეხს მეორედ და ხშირად მესამედაც უხდება დათესვა. ზოგან კი წყალი სტოვებს სილასა და შლამს, ხშირად ნახევარი არშინის სისქისას, თესლი იღუპება და გლეხმა მეორედ დათესვა ველარ მოასწრო, მთელი წლის მოსავალი უცდება და ეღუპება.

მაგრამ ეს კიდევ არაფერია, უბედურება შემოდგომაზეა, როდესაც გაგიჟებული რიონი იტაცებს შესანახად გამზადებულ ჰირნახულს. გლეხი ხშირად გულხელდაკრეფილი შესცქერის თავის ნაშრომს. არა მარტო საყანე მინდვრებით განისაზღვრება რიონის ასეთი მოქმედება, ის ხშირად ეზოებსაც ეწვევა და აოხრებს მათ. აუწერელია ამ მხრივ რიონის მიერ მოყენებული ზარალი.

ჯანმრთელობის მხრივაც რიონი ძლიერ აზარალებს მშრომელ მოსახლეობას. ნაპირებზე გადასვლის დროს ის აჩენს ჭაობებს, რომლისგანაც ჰაერი იწამლება. იშვიათად მოიძებნება ისეთი მცხოვრები ამ სოფელში, რომელსაც მალარიის ნიშნები არ ჰქონდეს.

აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სოფლის დახსნა ასეთ გამანადგურებელ მდგომარეობიდან.

ხაშინდიელი.

წერილებიდან

ს. ელი ხორგა, (ზუგდ. მ.)

— ბერაიას ხაფანგი. ჩვენ სოფელში არის ქარხანა, სადაც რამოდენიმე ათეული მუშა ირიცხება. ქარხნის პირდაპირ ჩარჩმა ემელიანე ბერაიამ გახსნა დუქანი, სადაც დილიდან დილამდე კარტის თამაშობა, ღვინის სმა და აურ-ზაურია. მუშები აქ სტოვებენ თავიანთ უკანასკნელ კაპეიკს და ცოლშვილი შიმშილით ეხოცებათ. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

ზემო სვანეთი

ჯამაგირებმა დაიგვიანა. მაზრაღმასკომის განკარგულებით ოთხწლიანი შრომის სკოლის გამგეებმა აიყვანეს დარაჯები, რომელთაც ჯამაგირი ერიცხებათ 1 ოქტომბრიდან. სამწუხაროთ დღემდე არც ერთ მათგანს ჯამაგირი არ მიუღია. დარაჯები სამართლიან უკმაყოფილებას გამოსთქვამენ. საჭიროა დაიჩქარონ ხსენებული ფულის გამოგზავნა.

ჭმა.

მუშათა ცხოვრება

მუშის დაწინაურება

როგორც სხვაგან, აგრეთვე ჩვენ თბილისის საყუდშიც იქნენ დაწინაურებული მთელი რიგი ამხანაგებისა. ერთ-ერთ დაწინაურებულ მუშათა რიგს ეკუთვნის ამხ. ზაცარინი, რომელიც 15 მარტს დანიშნულ იქნა საპასუხისმგებლო ადგილას. ამხ. ზაცარინი 1915 წლიდან მუშაობს თბილისის საყუდში. საბჭოთა ხელისუფლების დღიდან სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობს. აგრეთვე არ შორდება თავის საყვარელ წარმოებას და თავის ორთქლმავალს, როგორც მემანქანე.

ამხ. ზაცარინი

დღეს ის დაინიშნა სატრანსპორტო კოოპერაციის ინსტრუქტორად მთელ თბილისის ფარგლებში და მის მაზრაში. ის 1 აპრილიდან შეუდგა მოვალეობის შესრულებას. 8 დღის მუშაობის განმავლობაში მან უკვე აღმოაჩინა გაფლანგვა გამფლანგველები უკვე იცნობენ ზაცარინს და მისი დანახვა მაინც და მაინც არ ესიამოვნებათ.

ჩვენ, საყუდის ორთქლმავლებზე მომუშავენი ვუსურვებთ გამარჯვებას ჩვენ მიშკა ზაცარინს.

მუშკორი შავსოფლელი.

სპეც-ტანისამოსი უნდა მისცეთ

— კაცო ილო, რა ამბავია, რომ რკ. გზ. მთავარ სახელოსნოების ზოგიერთ მუშებს უკვე დაურიგეს სპეც-ტანისამოსი და ზოგს კი არა.

— ეს კოლექტიურ ხელშეკრულების ბრალია

— რას ამბობს კოლექტიური ხელშეკრულება, ან ვის არ უნდა მისცენ სპეც-ტანისამოსი.

— როგორც ჩვენი ადმინისტრაცია ამბობს სპეც-ტანისამოსი არ მიეცემა არახელოსან მუშებს, რადგანაც კოლხელშეკრულებაში არახელოსანი (შავი მუშები) მუშები სრულიად არ არიან ნახსენები.

— მე მიკვირს ეს შენი ლაპარაკი, როგორ თუ არ ეკუთვნის იმ მუშებს, რომლებიც მთელი 8 საათის განმავლობაში მხარითა და ზურგით ეზიდებიან ჟანგიან და მაზუთში გასვრილ მძიმე რკინის მასალას.

— ეჰ ჩემო სოლო, დაბალი ღობე გადმოსახტომათ ყველასათვის ადვილია და ჩვენც ასევე დაბალი ხალხი ვართ.

— მერე ასეთ ამბავს რომ ხედავს პროფორგანო რას ამბობს?

— სწუხან, მაგრამ რას იზამენ, კოლექტიურ ხელშეკრულებას ვერ დაარღვევენ.

— მაშ, თუ ეხლა ძნელია მისი დარღვევა, სთხოვეთ, რომ მის შეცვლის დროს მაინც არ დაგვივიწყონ.

— რაც ჩვენ ვსთხოვეთ, ან ვეჩხუბეთ იმაზე მეტი არ შეიძლება. ეხლა მათი საქმეა, რასაც უნდა იმას იზამენ—დაღონებული ხმით მოუგო ილომ და გაუდგა გზას.

— მუშა ხიონელი.

ეს წარმოების ღალატია

თბილისის სადგურში გამვლელ მატარებელზე მუშაობს მფრინავი რაზმი, ორი კაცისაგან შემდგარი. ამ კაცის ხელში უნდა გაიაროს მთელი დღის განმავლობაში ყველა სახალხო და საბარგო მატარებლებმა. მათ იმდენი სამუშაო აქვთ, რომ რაზმი დატვირთულია სამუშაოთი და მთელი 12 საათის განმავლობაში ერთი წუთი დასვენება არ აქვთ. მიუხედავათ დიდი შრომისა საქმის გაკეთებას მაინც ვერ ასწრებენ და ბევრი რჩება გაუკეთებელი.

გზათა სახალხო კომისარის ამხ. რუდუტაკის ჩამოსვლის და მის აქ ყოფნის დღეებში საყუდისა და სარონოდო ფარეხის ადმინისტრაციამ ამ ორ კაცს კიდევ დაუმატა ექვსი კაცი და გააფრთხილა ყველა მათგანი, რომ აბა ყველაფერი გააკეთეთ, არაფერი დაგრჩეთ, თორემ შეიძლება რუდუტაკი გამოვიდეს ლიანდაგებზე და, რომ ნახოს კარგი არ არისო. ამხ. რუდუტაკის წასვლის შემდეგ ადმინისტრაციამ ისევ მოხსნა ეს ექვსი კაცი და მთელი სამუშაო ისევ ორ კაცს დააწვა.

მე ვთხოვ სარონოდო ფარეხის ადმინისტრაციას აგვიხსნას, თუ რას ნიშნავდა ამ ზემოდაღნიშნულ მუშების დამატება, თუ, სამუშაოს შესრულება შეიძლო მარტო ორ კაცს რათ დაუმატეს ამხ. რუდუტაკის დროს 6 კაცი,თუ ორი კაცი ვერ შესძლებს სამუშაოს შესრულებას, მაშინ რაღად იქნა მოხსნილი დამატებითი მომუშავე ექვსი კაცი.

სლედოპიტი.

ასეთი შემთხვევა ხშირია

დილის ცხრა საათი იყო თბილისის სადგურთან თვალი მოვკარი ერთ მტირალ გლეხს, ცნობის მოყვარეობამ დამძლია, მივედი და ვკითხე.

— რა მოგივიდა, რაზე სტირი?

— რა გითხრა შვილო, მძიმეა ჩემი მწუხარება, შავი დღე მადგია და სოფლის გლეხს გზა ვერ მიპოვნია გამოსავალი.

— რა მოგივიდა ასეთი.

— ჰე, ხომ იცი შვილო გლეხები ადვილად ეპყრობიან თავიანთ ჯან., არ უკვირდებიან სასმელ საჭმელს.

ქალაქში ვიყავი, საუბედუროდ ნედლი ორაგული წავიღე სახლში. თავი დავიღუპე შვილო, დავხოცე ცოლი და შვილი.

— როგორ?

— როგორ და მოვიტანე სახლში, მოხარშენ. სჭამეს, ოთხი სული უსულოდ დაეცა ძირს. იმ დასაქცევ გურჯაანში მთელი დღე რომ იარო ექიმის კვალს ვერ მიაგნებ. თავზარდაცემული დავეხეტები, რა მექნა, მოუამურე ქალაქს მაგრამ არც აქ ვიცი ვისთან მივიდე, ან ვინ გამყობა ქალაქიდან გურჯაანში, მე ხომ კავშირის წევრი არა ვარ, ერთბაშად მომაკვდავების წამოყვანაც ვერ მოვახერხე, აღარ ვიცი რა გზას დავადგე.

შემებრალა გლეხი და გავგზავნე ჯანმრთელობის კომისარიატში. დაფიქრებული მივდიოდი სახლში და თან მაწუხებს გლეხის უბედური შემთხვევა, წინ შემხვდა ნაცნობი მუშა, რომელიც ენა გამოვარდნილი მირბოდა. ვკითხე რა მოგივიდა.

— უბედურება შემემთხვა, სახლში იხოცებიან.

— კაცო, რა იყო, ვინ იხოცება, ან რითი.

— დღეს მეთევზესთან ნედლი ლოქო ვიყიდე, მოვიტანე სახლში, მოხარშენ, სჭამეს და ყველანი ავად გახდა, მოვიდენ მეზობლები და მითხრეს თევზით მოწამლულანო. ეხლა ექიმთან მივალ, იქნებ უშველოს რამე.

ასეთი შემთხვევა ხშირია. ამის წინააღმდეგ ზომები უნდა იქნეს მიღებული.

გ. სალ.

აკრძალეთ

ამ ბოლო ხანს ქ. სასაკლაოში ძალიან ბევრი ჩვილი ხბოები იხოცება ბაზ. გასას. მას დიდი ზიანი მოაქვს სოფლის მეურნეობისთვის. ჩვენ თუ პატარებს არ გაუფრთხილდებით და არ მოვაშენებთ, დიდი საქონელი საიდან გვეყოლება. საქართველო საქონლით ისედაც ღარიბია. ნამეტნავად ეს ორი წელიწადია საქართველოს ყველა კუთხეებში მძვინვარებს საქონლის ჭირი და ჩვენ კიდევ მუსრს ვავლებთ ჩვენ მოზარდ ხბოებს.

გასაბჭოების შემდეგ სასტიკად აკრძალული იყო ჩვილი ხბოების დახოცვა, მაგრამ დადგა 1927 წელი და მიყვეს ხელი ჩვილ ხბოების ხოცვას. ეს დაუშვებელია.

მ. გვარამიძე.

წრეების გამოსვლა

14 აპრილს პლეხანოვის სახელობის კლუბში ამიერ-კავკასიის რკ. გზ. საშემოსავლო ნაწილის კულტკომისიამ გამართა ადგილობრივ წრეების საჩვენებელი საღამო. ამ საღამომ მაყურებლის წინაშე გადაშალა, თუ რა მიღწევები აქვს ამიერ-კავკ. რკ. გზ. საშემოსავლო ნაწილს კულტ-მუშაობის დარგში.

პირველად რუსულ ლურჯხალათიანთა წრის მიერ ნაჩვენები იქნა რამოდენიმე ნომერი „ცოცხალი გაზეთი“-დან. შემდეგ ქართული დრამწრის მიერ წარმოდგენილი იქნა ერთ მოქმედებიანი ინსცენიროვკა „განთიადი სოფლად“. ინსცენიროვკა კარგად ჩატარდა. შემდეგ რუსული წრის მიერ დაიდგა აგრეთვე რამოდენიმე სურათი, რომელმაც საუცხოვო შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებელზე. ბოლოს გაიმართა დივერტისმენტი.

ჯ.

მუშათა ქრონიკა

— კოლექტივთა გაერთიანება. საქპროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო თბ. შრომის ბირჟასთან არსებულ კოლექტივთა მმართველობის გაერთიანება.

— წამოყენება. საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სამთო-მადნო ტეხნიკურ ინსპექტორის თანამდებობაზე წამოყენებულ იქნა ამხ. სტეფანოვი.

— წევრთა რაოდენობა. საქართველოს წყალოსანთა კავშირის რაიონულ კომიტეტის გაერთიანებულ წევრთა რაოდენობა ამჟამად უდრის 1.200 კაცს.

— მუშაობის გამოკვლევა. ხეზე მომუშავეთა ცენტრალური გამგეობა აწარმოებს საჭილაოს სახერხ ქარხნის ქარხკომის და მარელისის საგრეხ ავეჯის ქარხნის ფინანსიურ მუშაობის გამოკვლევას.

— კავშირში აღდგენა. სახალხო კვების კავშ. ც. გ. აღადგინა თავის უფლებებში კავშირიდან მექანიკურად გამორიცხული მოქ. ულენტი.

— ამიერ-კავკ. კულტ-თათბირი. დღეს, 16 აპრილს, საღამოს 6 საათ. შრომის სასახლის წითელ დარბაზში გაიხსნება ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს კულტ-თათბირი.

— კავშირის უფლებებში აღდგენა. საბჭოთა მუშაკების კავშირის ც. გ. აღადგინა მოქ. ელიაშვილი, მისგან კავშირის წინაშე მთელი დავალიანების დაფარვით.

პირველი მაისის დღესასწაულისათვის
საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ლოზუნგები

მოსკოვი, 15 აპრილი. ცეკას მდივნის ამხ. კუბიაკოვის ხელმოწერით გამოქვეყნებულია საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას შემდეგი მიმართვა ნაციონალური კომპარტიების ყველა ცენტრალურ კომიტეტების, საკავშირო კომპარტიის საოლქო, საგუბერნიო კომიტეტების მიმართ 1 მაისის დღესასწაულის შესახებ:

1927 წლის 1 მაისის დღესასწაულმა უნდა ცხადჰყოს მუშების საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცება და ყველა ქვეყნის მუშების შეკავშირება იმ საფრთხის წინააღმდეგ, რასაც უქადის მშვიდობიანობის საქმეს იმპერიალიზმი, რომელიც აშკარად ემზადება ახალი მსოფლიო ხოცვა - ჟლეტისათვის; ამ დღეს განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის და მშრომელთა მასების ძმური სოლიდარობა ჩინეთის რევოლიუციონურ მუშებისა და გლეხების მიმართ. 1 მაისის დღესასწაული ჩატარებული უნდა იქნეს საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის წარმატებების დემონსტრაციის ნიშნის ქვეშ, რათა მუშათა და გლეხთა მასები კიდევ უფრო მჭიდროდ შემოკრბენ საბჭოების გარშემო პარტიის ხელმძღვანელობით სიძნელეების გადასალახავად სოციალისტური მშენებლობის გზაზე. 1 მაისისათვის ძირითად ლოზუნგებს უნდა წარმოადგენდენ შემდეგი:

1) საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის პირველი წარმატებები მთელი მსოფლიო პროლეტარიატის საქმეა. მუშებო ყველა ქვეყნისა, მხარი დაუჭირეთ სოციალისტურ რევოლიუციას საბჭოთა კავშირში.

2) ჩინეთის მშრომელთა მრავალმილიონიანი მასები ბრძოლას აწარმოებენ იმპერიალიზმის და მილიტარიზმის წინააღმდეგ. გაუმარჯოს ჩინეთის რევოლიუციას. გაუმარჯოს რევოლიუციონურ გომინდანს!

3) იმპერიალისტების ინტერვენციას ჩინეთში რევოლიუციონური ჩინეთი უპასუხებს თავისი რიგების კიდევ უფრო შემჭიდროვებით. გაუმარჯოს ჩინეთის მუშათა კლასს და ჩინეთის კომპარტიას! გაუმარჯოს კომპარტიის და რევოლიუციონურ გომინდანის კავშირს!

4) მოღალატე ჩან-კაი-ში ტყვეებით ხვდება შანხაელ მუშებს. ძმური სალამი შანხაის რევოლიუციონურ მუშებს, ძირს მოღალატეთა ხროვა, რომელსაც ჩან-კაი-ში მეთაურობს!

5) ინგლისის, ამერიკის, იტალიის და იაპონიის მუშებო, აღსდგეით ჩინეთის რევოლიუციის დასაცავად, მოითხოვეთ იმპერიალისტების ჯარების და სამხედრო გემების დაუყოვნებლივ გაყვანა ჩინეთიდან.

6) პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, უფრო მაღლად გეჭიროთ მსოფლიო რევოლიუციის დროშა. მთელი მსოფლიოს კომუნისტებო, უფრო ღრმად შეიჭერით მუშებში და გლეხებში. ყველანი კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

7) ინგლისის იმპერიალისტები ცხოვრებაში ატარებენ ახალ გეგმებს საბჭოთა კავშირის ჩასახშობად. მსოფლიოს პროლეტარებო, აღსდექით საბჭოთა ქვეყნის დასაცავად.

8) ყველა ქვეყნის იმპერიალისტებს სურთ ომში ჩაითრიონ საბჭოთა კავშირი. საბჭოთა კავშირი არ აჰყვება პროვოკაციას. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს — მშვიდობიანობის დასაყრდენს მთელს მსოფლიოში.

9) იმპერიალიზმი მშრომელ კაცობრიობას უმზადებს ახალ ომებს. გაუმარჯოს მუშების საერთაშორისო კლასიურ სოლიდარობას!

10) ძირს თეთრი ტერორი! თავისუფლება კაპიტალისტურ ციხეების ტყვებს — პროლეტარული საქმისათვის მებრძოლთ!

11) ფაშიზმი შურს იძიებს მუშათა კლასზე. ძირს ფაშიზმი, გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას მთელს მსოფლიოში.

12) „სოციალიზმის შექმნის და განმტკიცების წასაქეზებლად პროლეტარიატი უნდა დაადგეს შრომის ახალი ორგანიზაციის გზას, რამაც მეცნიერებისა და კაპიტალისტური ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვა უნდა შეუერთოს იმ შეგნებულ მუშაკების მასიურ გაერთიანებას, რომელნიც მსხვილ სოციალისტურ წარმოებას ქმნიან“ (ლენინი).

13) გავაძლიეროთ სოციალისტური დაგროვება, გავაძლიეროთ ახალი ფაბრიკების და ქარხნების აგება. თვითეული ახალი ფაბრიკა საბჭოთა კავშირში არის სოციალიზმის ციხე სიმაგრე.

14) წარმოების რაციონალიზაცია, შრომის ნაყოფიერების გადიდება, შრომის პროლეტარული დისციპლინის განმტკიცება — ამაშია ჩვენი გამარჯვების საწინდარი.

15) ვიბრძოლოთ თვითღირებულების გაიაფებისათვის წარმოების სოციალისტური რაციონალიზაციისათვის, პროდუქციის გაიაფებისათვის. ამით ჩვენ განვამტკიცებთ ჩვენს კლასიურ ძლიერებას და კავშირს გლეხობასთან.

16) იაფი პროდუქციით, კარგი მანქანებით და ტრაქტორებით პროლეტარული მრეწველობა ძლევამოსილად ამტკიცებს პროლეტარების კავშირს გლეხობასთან.

17) მუშებო და გლეხებო, შეამოწმეთ თქვენი კოოპერატივების მუშაობა, გაიაფეთ სავაჭრო აპარატი, დაუკლეთ ფასებს.

18) ფასების დაკლება უდიდესი გამარჯვების მიღწევას ნიშნავს სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

19) მოჯამაგირეებო და ღარიბო გლეხებო, შემოკრბით კომუნისტური პარტიის გარშემო, განამტკიცეთ კავშირი საშუალო გლეხობასთან, რომ დაამარცხოთ კულაკი.

20) საბჭოების მუშაობაში მუშებისა და მუშა ქალების ფართო მასების მონაწილეობით ჩვენ მივაღწევთ სახელმწიფო აპარატის გარდაქმნის გაუმჯობესებას. განვდევნოთ ბიუროკრატიზმი სახელმწიფო აპარატიდან

21) საბჭოთა კავშირი ჩაგვრისაგან ეროვნებათა განთავისუფლების განხორციელებაა. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ეროვნებათა ძმურ კავშირს!

22) წითელო არმიავ, ფხიზლად თვალყური ადევნე ჩვენი მტრების ოინებს. განამტკიცე შენი ძლიერება — საბჭოთა კავშირის ხალხთა მშვიდობიანი შრომის დასაყრდენი.

23) 1 მაისს წითელი არმია ერთხელ კიდევ დაგვანახვებს, რომ ის მზად არის დაიცვას პროლეტარიატის დიქტატურა. ჩვენ ვანმტკიცებთ საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარს.

24) კომკავშირელო, წარმოების სოციალისტური რაციონალიზაციისათვის მუშაობაში, ფასების დაკლებისათვის ბრძოლაში შენ მიიღებ ლენინურ გამობრძმედას.

25) მუშა ქალებო და გლეხ ქალებო, ჩადექით ფასების დაკლებისათვის, ინდუსტრიალიზაციისა და სოციალიზმის მშენებლობისათვის მებრძოლთა რიგებში.

26) აღმოსავლეთის მშრომელო ქალო, ძირს ჩადრი. ის გიჩრდილავს შენი განმათავისუფლებელ მაისის მზეს.

27) მუშა ქალებო და გლეხ ქალებო, თქვენი მუშაობით საბჭოებში და კოოპერაციაში თქვენ შედიხართ სოციალიზმის მშენებელთა რიგებში.

28) მეცნიერების ყველა მიღწევები — ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმისათვის.

29) კომუნიზმი — ჩვენი მიზანია. ლენინი — ჩვენი დროშაა. პროლეტარიატის რკინის ბატალიონების შეკავშირება — ჩვენი წარმატების თავდებაა.

კონტროლის გამოკვლევის საკითხი

ჩვენი სახელმწიფო აპარატის ნაკლულოვანებანი—სიდიდე, სიძვირე, ბიუროკრატიული გადამახინჯებანი, საქმის გაჭიანურება და სხ. პარტიისა და სახელმწიფოს მუდმივი ყურადღების საგანს წარმოადგენს (პარტიული ყრილობების და კონფერენციების გადაწყვეტილებები და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის და ცენტრ. საკონტრ. კომისიის, როგორც სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების იარაღის, გაერთიანება ლენინის ანდერძის მიხედვით).

მე-15 პარტკონფერენციამ, გაუკეთა რა ანალიზი ჩვ. სამეურნეო მდგომარეობას, გადაჭრით დასვა საკითხი სახელმწიფო და სამეურნეო მმართველობის მთელი მოქმედი სისტემის გადასინჯვის შესახებ იმ მიზნით, რომ ეს სისტემა შეუფარდდეს ახალ სამეურნეო ამოცანების შესრულებას, რომელთა შორის არის ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანა. ამის გამო უმაღლესმა პარტიულმა ორგანოებმა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის წინაშე დასვეს მთელი რიგი ამოცანებისა, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კონტროლის არსებული სისტემის გამოკვლევას იმ მიზნით, რომ კონტროლის ორგანიზაციაში აღმოჩენილ იქნას უფრო მტკივნეული მხარეები: პარალელიზმი, სიმრავლე, მოუმზადებლობა და სხ. გამოკვლევის შედეგად აუცილებელია სისწორით ვანისაზღვროს ის ორგანიზაციები, რომელთაც შეუძლიათ საკონტროლო და სარევიზიო მუშაობის წარმოება; ამასთანავე მათი რიცხვი მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი. სრულად და სისწორით უნდა იქნას განსაზღვრული საკონტროლო ორგანოების რწმუნებულებათა და პასუხისმგებლობის ფარგალი, უნდა დაწესდეს კონტროლისა, რევიზიებისა და გამოკვლევათა მტკიცე წესრიგი; ამასთანავე მათი რიცხვი დაყვანილ უნდა იქნას აუცილებელ მინიმუმამდე.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატი შეუდგა ზემოხსენებული ამოცანის შესრულებას. ა. წ. 13 აპრილს მოწვეულ იქნა ფართო თათბირი საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს და ქ. თბილისის საკონტროლო-სარევიზიო ორგანოების პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა წარმომადგენლების მონაწილეობით. თათბირმა დეტალურად შეისწავლა მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ გამომუშავებული სამუშაოების პროგრამა და წამოაყენა მთელი რიგი კონკრეტიულ წინადადებათა კანტროლის რეორგანიზაციის, მუშაობის მეთოდების, პარალელიზმის, სიმრავლის და სხ. საკითხების დარგში.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის შემდგომი მუშაობა ზემოხსენებული გამოკვლევის მოხდენის დარგში იწარმოებს საკონტროლო და პროფესიონალურ ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტში იმ მიმართულებით, რომ სათანადო დაწესებულებებისა და წარმოებების მუშაობის და მოსამსახურეთა ფართო ორგანიული მონაწილეობა იქნას უზრუნველყოფილი ამ მუშაობაში. გამოკვლევათა შედეგები წინასწარ განხილულ იქნება პროფკავშირთა კრებებზე და მუშათა და მოსამსახურეთა მასიურ კრებებზე.

ამგვარად, ბრძოლას სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისა და საფუძვლიანი რეორგანიზაციისათვის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატი აწარმოებს ფართო ფრონტით პროფკავშირთა ორგანიზაციებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული და შეიძლება ვიქონიოთ იმედი, რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენ ვსძლევთ სახელმწიფო აპარატის ყველა სახის ბიუროკრატიულ გადამახინჯებებს, რომელიც ბორკავს მასების ინიციატივას და თვითმოქმედებას სოციალისტური აღმშენებლობის ამოცანების გადაწყვეტის გზაზე.

შ. დადიანი.

ადგ. ტრანსპ. მომუშავეთა კავშირის მე-6 ყრილობა
ყრილობის გახსნა.

გუშინ, საღამოს, მუშათა ცენტრალურ კლუბში გაიხსნა ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის სრულიად საქართველოს მეექვსე ყრილობა.

ყრილობა გახსნა ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ანთიძემ, რომელმაც მისასალმებელი სიტყვით მიმართა ყრილობას. ამხ. ანთიძემ აღნიშნა, რომ ამჟამად კავშირი აერთიანებს 6.282 კაცს. ტრანსპორტელთა კავშირი არსებობდა წინითაც მაგრამ იგი დაქსაქსული იყო ცალკე ქალაქებში; ეხლა ჩვენ გაერთიანებული ვართ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. თუმცა ჩვენ დღემდე მძიმე პირობებში გვიხდებოდა მუშაობა, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში ჩვენი მდგომარეობა გაუმჯობესდება.

დასასრულ ამხ. ანთიძემ აღნიშნა, რომ ყრილობა თავის აზრს გამოსთქვამს მუშათა ხელფასის სიმტკიცეზე, კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაზე, შრომის დაცვაზე და სხვა საკითხებზე.

ამხ. ანთიძის სიტყვის შემდეგ ყრილობამ აირჩია საქმიანი და საპატიო პრეზიდიუმი. საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხ. სტალინი, კალინინი, რიკოვი, ორჯონიკიძე, ვოროშილოვი, მიხა ცხაკაია, ელიავა, ჯუღელი, მახარაძე, ტომსკი, ვლადიმიროვი, ყურულაშვილი, ლუკაშინი, აღამალი-ოღლი, რუძუტაკი, ენუქიძე და კუკი.

ყრილობამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა სრულიად საკავშირო საბჭოთა მეოთხე ყრილობას, ტრანსპორტელთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს ცაკს, საქართველოს კომპარტიის ცეკას და ა.კ. პროფსაბჭოს.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა სხვადასხვა სამეურნეო ორგანოების და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მისალმებები.

დასასრულ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის რწმუნებულმა ა.-კ. ამხ. კარკლინმა.

ადგილობრივ მშენებლობის გამოკვლევა

გუშინ გორში გაემგზავრა ს. მ. უ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვ. ავაქოვი, რომელმაც ჩვენს თანამშრომელს გადასცა შემდეგი:

— ჩემთან ერთად მოდიან სამთო მრეწველობის მმართველი ამხ. ბორკონი და აბრეშუმის ტრესტის მმართველი ამხ. გოგიტიშვილი. ჩვენი გამგზავრების მიზანია იმ მშენებლობის გამოკვლევა, რომელიც ადგილებზე სწარმოებს, ამ მშენებლობის მოთხოვნილებებთან გაცნობა და საერთოდ ადგილობრივი მრეწველობის გამოკვლევა.

გორში განზრახვა გვაქვს ამოვირჩიოთ ადგილი საკონსერვო ქარხნის ასაგებათ და გამოვარკვიოთ კირისა და აგურის ქარხნების აგების შესაძლებლობანი. გორიდან გავემგზავრებით ქუთაისში, სადაც გავეცნობით ბარიტის ქარხნის სამუშაოების მიმდინარეობას და დავათვალიერებთ კირის ქარხნის ასაგებ ადგილს, რომელიც მდებარეობს სოფ. მოწამეთასთან. შემდეგ ჩამოვივლით ყველა იმ დაბა-ქალაქებს, სადაც მიმდინარეობს სხვადასხვა ქარხნების აგება. ასეთი ქალაქებია—სამტრედია, ტყიბული, ოზურგეთი, ზუგდიდი, შამგონი, სუფსა და ხონი.

სუფსიდან განზრახვა გვაქვს გავემგზავროთ სოფ. ომფარეთში, სადაც უკვე დაიწყეს ნავთის ამოსაღებ საცდელი ჭაბურღილის ამოღება. უკან გამოვლისას დავათვალიერებთ აგრეთვე ტყიბულის მაღაროებს, სადაც დაწყებულია ახალი მაღაროების კეთება, რითაც მნიშვნელოვნად გადიდდება ქვა-ნახშირის ამოღება. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, რაც შეიძლება დაჩქარებით ჩავატაროთ ახალი მაღაროების გაყვანის საქმე, რომ ამით დავაკმაყოფილოთ ბაზრის მოთხოვნილება ტყიბულის ქვა-ნახშირზე.

ჩვენს კომისიას განზრახვა აქვს აგრეთვე ხონში ასაგები აბრეშუმის ქარხნის საკითხი. ამ ქარხნის შესახებ დაიბადა აზრი, რომ იგი აშენდეს ხონის მაგიერ ქუთაისში. ჩვენ შეისწავლით ამ საკითხს და საბოლოოდ ამოვირჩევთ ქარხნის აგების ადგილს.

აღნიშნულ ადგილების ჩამოვლას და დასახული ამოცანების შესწავლას დავასრულებთ დაახლოებით ათ დღეში.

ადგილობრივ საბჭოების ქონებათა ინვენტარიზაცია

ადგილობრივ ბიუჯეტის შემოსავლიანობის გადიდებისა და ადგილობრივი საბჭოების ქონებათა მიზანშეწონილი ექსპლოატაციის მიზნით საქართველოს ფინსახკომ. შეიმუშავა და დასამტკიცებლად წარმოადგინა სახკომსაბჭოს პროექტი დადგენილებისა ადგილობრივ ქონებათა ინვენტარიზაციის შესახებ.

ხსენებულ პროექტის თანახმად, ავტონომიურ რესპუბლიკებს, მაზრის აღმასკომებს და ქალაქის საბჭოებს ევალებათ მოახდინონ საბჭოების ქონების სრული ინვენტარიზაცია, რაც განხორციელებულ უნდა იქნეს ერთდროულად, ე. ი. განსაზღვრულ ვადაზე მთელ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ქონება აღირიცხება თემობით, მაზრობით, სამაზრო და უმაზრო ქალაქებით. ინვენტარიზაცია შეეხება იმ ქონებას, რაც კი გათვალისწინებულია ადგილობრივი ბიუჯეტით და აღმასკომის ფაქტიურ გამგებლობასა და სარგებლობაშია, აგრეთვე ისეთ ქონებასაც, რომლის იურიდიული კუთვნილება ჯერ გამორკვეული არ არის. საერთო ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა ინვენტარიზაციის განხორციელებისათვის დაეკისრება რესპუბლიკანურ და სამაზრო კომისიებს.

ხსენებული პროექტის მეშვიდე მუხ. თანახმად ქონება შემოწმებულ უნდა იქნეს წელიწადში ერთხელ მაინც.

სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის საიურისკონსულტო ნაწილმა საჭიროდ სცნო რედაქციული შესწორების შეტანა პროექტში, იმ აზრით, რომ საქართველოს ფინსახკომს დაევალოს შეიმუშაოს და სახელმძღვანელოდ დაგზავნოს ინსტრუქცია,—პროექტით გათვალისწინებულ დადგენილების განხორციელებისათვის.

სახკომსაბჭომ ხსენებული პროექტი დაამტკიცა სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის საიურისკონსულტო ნაწილის რედაქციით,

ბანდიტის მოკვლა

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრატიულ განყოფილებაში მიიღეს ცნობა, რომ 30 მარტს, ბახვის თემში ოზურგეთის სამაზრო მილიციის მიერ მოკლული იქნა ცნობილი ბანდიტი ვისიტი ნიკოლაიშვილი.

სარწმუნო წყაროებიდან მღებული ცნობებით, ბანდიტი ნიკოლაიშვილი დიდი ხანია, რაც ავიწროვებდა მშრომელ ხალხს.

ჯერ კიდევ ცარიზმის დროს, ნიკოლაიშვილი ეწეოდა გურიის მშრომელთა გლეხობის ოჯახების აწიოკებას და დარბევას. ღარიბი გლეხიდან მიჰქონდა ყოველივე ის, რისი წაღებაც კი შეეძლებოდა.

ამით არ დაკმაყოფილდა ბანდიტი ნიკოლაიშვილი და 1908 წელს გაიქცა ოსმალეთში, სადაც ეწეოდა ძარცვა-გლეჯას.

ოსმალეთში გაძარცვის მიზნით მოკლული ჰყავს რამოდენიმე ათეული მოქალაქე.

ოსმალეთის შემდეგ თავისი მოღვაწეობა ნიკოლაიშვილმა გადაიტანა ბათომში.

ბათომში მან გაძარცვის მიზნით მოჰკლა ორი კაცი და მესამე კი დასჭრა.

1917 წ. მენშევიკებმა ბანდიტი ნიკოლაიშვილი პარტიაში მიიღეს და დანიშნეს ტყის მცველად.

1922 წლიდან ბანდიტი ნიკოლაიშვილი უბრუნდება ძველ „ხელობას“ და გარბის ტყეში.

1924 წლის აგვისტოს ავანტიურაში ის ხელმძღვანელობდა ბანდიტურ რაზმს გურიაში.



მოკლული ბანდიტი ნიკოლაიშვილი.

აგვისტოს ავანტიურის შემდეგ ნიკოლაიშვილს დანაშაული აპატია ოზურგეთის ადგილობრივმა საბჭოთა ხელისუფლებამ, მაგრამ ნიკოლაიშვილი ვერ ისვენებს და კვლავ განაგრძობს ყაჩაღობას.

1926 წ. ზაფხულში მან მიიღო აქტიური მონაწილეობა ბახმაროზე მიმავალ მგზავრების გაძარცვაში.

გასული წლის 19 ოქტომბერს ნიკოლაიშვილის ინიციატივით ნატანებ-ქობულეთს შორის გაძარცვული იქნა ბათომში მიმავალი ნახევრად ჩქარი მატარებელი.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების ფხიზელ თვალს ბანდიტი მაინც ვერ გადურჩა.

შოთა რუსთაველის ძეგლი

გუშინ განათლების სახალხო კომ.-ის ამხ. კანდელაკის თავმჯდომარეობით შესდგა იმ კომისიის სხდომა, რომელიც მოწვეული იყო შოთა რუსთაველის ძეგლის აგების საკითხის გამოსარკვევად. ხანგრძლივი თათბირის შემდეგ საჭიროდ იქნა მიჩნეული, რომ ძეგლის აგება დამთავრდეს 1929 წელს, ქართული წიგნის 300 წლის იუბილესათვის.

არჩეულ იქნა კომისია, რომელმაც ერთი კვირის განმავლობაში უნდა გამოარკვიოს შემდეგი საკითხები: რა ადგილზე აშენდეს ძეგლი, დამთავრდეს თუ არა ძეგლის აგება 1929 წელს, რა ხასიათის იქნეს ძეგლი და რა საშუალებით აიგოს.

კომისიაში შედიან შემდეგი პირები: თავმჯდომარე—განათლების სახალხო კომისარი ამხ. კანდელაკი, წევრები: ჩუბინაშვილი, ვუკოლ ბერიძე, იაკობ ნიკოლაძე; მხატვარი შავარდნაძე, პავლე ინგოროყვა, პაოლო იაშვილი; ინჟენერი სევეროვი, თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის წევრი ამხ. მესხი და ნიკოლოზ მიწიშვილი.

კომისია გაძლიერებული იქნება საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენლით; კომისიის პასუხისმგებელ მდივნად არჩეულია ამხ. ნიკ. მიწიშვილი, კომისიის მორიგი სხდომა დანიშნულია 23 აპრილისთვის.

საქართრ. ცაკში
გლეხკომების გადარჩევა აჭარისტანში

საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების ცნობით, აჭარისტანში ახლო მომავალში დაიწყება გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების (გლეხკომების) გადარჩევა. გლეხკომების გადარჩევის კამპანიის სახელმძღვანელოთ ცაკის სოცუზრუნველყოფის განყოფილება აჭარისტანში გაგზავნის თავის ინსტრუქტორს.

პენსიები

საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ განათლების სახალხო კომისარიატიდან მასზე გადმორიცხულ პენსიონერებს, (მეცნიერებს, მწერლებს, მსახიობებს და სხვა სახის საზოგადო მოღვაწეებს) რიცხვით 82 კაცს პენსიების სახით მიმდინარე თვეში (აპრილში) დაურიგა 2.145 მანეთი.

მევენახეთა ამხანაგობები

ამჟამად კახეთში სწარმოებს მუშაობა მევენახეთა ამხანაგობების მოსაწყობად. ამხანაგობები ძირითად ისახავენ ვენახების აღდგენას გაერთიანებულ ძალებით. პირველ რიგში ამხანაგობათა ამოცანებს წარმოადგენს დასამყნელი ვაზის სანერგეების არეს გაფართოება.

უკანასკნელ წლებში მოკლევადიანი კურსების მოწყობის საშუალებით კახეთში საგრძნობლად გაიზარდა ვაზის მყნობის მცოდნე გლეხთა რიცხვი. მუშაობას სანერგეების გასაფართოებლად აბრკოლებს მხოლოდ დასამყნელი მასალის ნაკლებობა. აგრონომ სპეციალისტების დასკვნით კახეთის მევენახეთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად საჭიროა სამასი დესეტინა სივრცის სანამყენე ვაზის სანერგე. ამჟამად გლეხები იძულებულია დასამყნელი მასალა შეიძინოს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატიდან, რომელიც ამერიკულ ვაზს იწერს საფრანგეთიდან. გამოწერილი ვაზის თითო მეტრი გლეხობას უჯდება 3 კაპეიკზე მეტი. ადგილობრივი გაკეთებული ნამყენი კი უფრო იაფიც ჯდება და, რაც უმთავრესია, უფრო ადვილად ეგუება კახეთის ჰავისა და ნიადაგის პირობებს. ახალად მოწყობილი ამხანაგობები, რომელიც პირველ რიგში სანერგეების გაშენებას იწყებენ, სესხს მიიღებენ საკრედიტო ამხანაგობებიდან.

ბიუროკრატიზმთან
ბრძოლა

მედსანშრომის კავშირის ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის მიერ მოწვეული ადგილკომებს და ეკონომ კომისიების და საბჭ. კავშ. მუშ. და გლეხთა ინსპექციის ფართო თათბირი, რომელზედაც მოსმენილი იქნა საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლის მოხსენება პროფკავშირების და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების შეერთებული მუშაობის შესახებ საბჭოთა აპარატის ბიუროკრატიულ გადამახინჯებასთან ბრძოლაში.

მომხსენებელმა გააცნო თათბირს საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. საკ. კომისიის თავმჯდომარის სახალხო კომისარის ამხ. ორჯონიკიძის და საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ტომსკის ცირკულიარი ამ საკითხზე და აღნიშნა, რომ ცირკულიარი ამ საკითხზე და აღნიშნა, რომ საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექცია იღებენ ყველა ზომებს, რომ ჩაბან ამ მუშაობაში მუშების ფართო მასები.

მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი: გამოსული ამხანაგები ესალმებიან მუშათა და გლეხთა ინსპექციის და პროფკავშირების შეერთებულ მუშაობას ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში და აყენებდნენ მთელ რიგ კონკრეტიულ წინადადებებს ურთიერთ კავშირისა და მუშაობის მეთოდების შესახებ.

დასასრულ თათბირმა დაამტკიცა მთელი რიგი წინადადებები და დაადგინა ეს საკითხი განსახილველად გადაიტანოს მედსანშრომის კავშირის საქალაქო კონფერენციაზე.

სარგავი მასალის
დეზინფექცია

ხეხილის მავნებლების გავრცელებასთან საბრძოლველად მიწსახკომმა შეიმუშავა და წარუდგინა სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად პროექტი დადგენილებისა დასარგავი მასალის სავალდებულო დეზინფექციის შესახებ სანერგეებში, რომლებიც წარმოადგენენ მავნებლების გამავრცელებელ კერას.

მიწსახკომის აზრით, დეზინფექციის შესახებ სავალდებულო დადგენილების ცხოვრებაში გატარება სირთულეს არ გამოიწვევს, ვინაიდან მისი მოწყობა არ მოითხოვს დიდ ხარჯებს მსხვილ სანერგეებში, რაც შეეხება პატარა სანერგეებს—საკმარისია მაზრაში მოეწყოს რამოდენიმე სპეციალური კამერა აგრო-პუნქტებთან. ზოგიერთ მაზრაში კი ასეთები უკვე მოწყობილია.

ხსენებული პროექტი განიხილა იუსტიციის სახ. კომისარიატმა მიწსახკომის წარმომადგენელთა მონაწილეობით და საჭიროდ სცნო პროექტის მხოლოდ რედაქციის მხრივ გადამუშავება.

სახკომსაბჭომ წარმოდგენილი პროექტი დაამტკიცა იუსტიციის სახ. კომისარიატის რედაქციით.

ქაღალდის ქარხანა
მუშაობა დაიწყო

საქართველოში ქაღალდის ქარხნის აგების საკითხის გადაწყვეტისა და ქარხნის ასაგები რაიონის ამორჩევის შემდეგ, დაიწყო წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა.

წინასწარი სამუშაოები დაწყებულია შამგონში და სოფ. ჯვარში (ზუგდიდის მაზრა), სადაც უნდა აშენდეს ქაღალდის ქარხანა. ამჟამად უკვე დასრულებულია ე. წ. შურფების კეთება და გადაღებულია რაიონის ტოპოგრაფიული რუკა. წინასწარ სამუშაოების შესრულებასთან ერთად სწარმოებს წყალის ანალიზი და სატყეო ნედლი მასალის შესწავლა.

საკავშირო ქაღალდის მრეწველობის სამმართველოდან მიღებულია ცნობა, რომ ახლო ხანში გამოგზავნილი იქნება სპეციალისტთა კომისია, რომელიც ჩავა შამგონში და ამოირჩევს ქაღალდის ქარხნის ასაგებ უბანს. კომისიის მიერ ქარხნის ასაგები ადგილის გამორკვევის შემდეგ სასწრაფოდ იქნება დაწყებული ქარხნის შენობის აგება.

საჰაერო მიმოსვლა

როგორც ვსწერდით, საჰაერო მიმოსვლა თბილის-მოსკოვს შორის უნდა გახსნილიყო 15 აპრილიდან, მაგრამ დანიშნულ დღეს მიმოსვლა არ გაიხსნა.

— რა არის ამის მიზეზი?

ამის შესახებ „უკრვოზდუხპუტის“ გამგეობის წევრმა და რწმუნებულმა ამიერ-კავკას. მფრინავმა ბ. ხ. ქებურიამ გვაცნობა:

— ამჟამად შრომისა და თავდაცვის საბჭო იხილავს საჰაერო მიმოსვლის ტარიფს. „უკრვოზდუხპუტ“-მა უკვე შეიმუშავა პირდაპირი მიმოსვლის ტარიფი მოსკოვ-თბილისის შუა, მაგრამ სადგურიდან-სადგურამდე მიმოსვლის ტარიფი შემუშავებული არ ყოფილა.

ეხლა ეს საკითხი ირჩევა შრომისა და თავდაცვის საბჭოში, რომელსაც განზრახვა აქვს სადგურებს შორის (მაგ. თბილისი-ბაქო, თბილისი-მინერალური-წყლები და სხვა) ტარიფი შეამციროს 40 პროც.

ამ ღონისძიების გატარება უფრო შეუწყობს ხელს სამოქალაქო ფრენოსნობის განვითარებას.

საკითხი საბოლოოდ გადაიჭრება ამ მოკლე ხანში და უნდა ვიფიქროთ, რომ მიმოსვლა გაიხსნება მაისის პირველ რიცხვებში (არა უგვიანეს 5 რიცხვისა).

თბილისის სამოქალაქო ფრენოსნობისათვის ეწყობა სპეციალური აეროდრომი.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა აეროდრომის მოსაწყობად. გასწორებულია მოედანი, მაზე დაყრილია ქვიშა და ეხლა საჭიროა მხოლოდ მისი დატკეპნა.

საჰაერო მიმოსვლის გახსნისათვის აეროდრომის მოწყობა შეიძლება ვერ დამთავრდეს, მაგრამ ეს ხელს ვერ შეუშლის მიმოსვლას, რადგან პირველ ხანებში გამოყენებულ იქნება არსებული აეროდრომი ნავთლუღში.

ახალი აეროდრომი საბოლოოდ მოეწყობა ერთ თვეში.

რკინის გზებზე
50.000 მან. მალარიასთან საბრძოლველად

ა. კ. რკ. გზ. გამგეობამ რკინის გზებზე მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად გადასდო 50.000 მან.

ეს თანხა განაწილებულია შემდეგ ნაირად: ჭაობების მაზუთით მორწყვისათვის—6.000 მ., საჭირო ინვენტარის შესაძენად—3.000 მ., მალარიის გამავრცელებელ კოღოების განმანადგურებელ თევზების მოსაშენებლად—3.000 მან., ღამურების მოსაშენებლად კოშკების აგებისათვის—100 მან., ინსტრუქციების გამოსაცემად—1.000 მან. მალარიის წინააღმდეგ პროპაგანდის საწარმოებლად—500 მან., ჰიდრო-ტეხნიკურ გამოკვლევათა საწარმოებლად—2.000 მან., ჰიდრო ტეხნიკურ მუშაობის ჩასატარებლად—19.000 მან., ფრანგული მწვანილეულობის მოშენების ცდებისათვის—1.000 მან., რკინის გზის შენობების ფანჯრებზე ბადების გასაკეთებლად—3.400 მან. და საალმშენებლო გეგმებისათვის—2.000 მან. დანარჩენი თანხა მოხმარდება ადმინისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალის შენახვას.

შემთხვევა გვირაბში

14 მარტს წიფა-ლიხის შუა, სურამის გვირაბში ადგილი ჰქონდა მატ. № 193-ზე მიმწოლ ორთქლმავლის დაჯახებას.

ამ შემთხვევის მიზეზები გამოარკვია შემთხვევებთან მებრძოლმა საგზაო კომისიამ და სცნო, რომ იგი მომხდარა შემდეგ ნაირად:

მემანქანეებმა, რომელთაც მიჰყავდათ მატარებელი ორი ორთქლმავლით, იცოდენ რა, რომ შემადგენლობას უკან მიჰყვება მიმწოლი ორთქლმავალი, შემთხვევ. ისე შეაჩერეს მატარებელი რომ ამის შესახებ არ მისცეს ნიშანი ბოლო ორთქლმავალს. ამის გამო მიმწოლი ორთქლმავალი დაეჯახა მატარებლის უკანა ნაწილს.

კომისიის დადგენილებით, მემანქანე ცქიტიშვილი ჩამოყენებულ იქნა სამანევრო სამუშაოზე 6 თვით, მეორე მემანქანე ბატიაშვილს და მიმწოლ ორთქლმავლის მემანქანე ქუბარიას გამოეცხადათ საყვედური—გაფრთხილებით ჩამოყენების შესახებ.

საყვედური გამოეცხადა აგრეთვე მატარებლის კონდუქტორს ბახტაძეს, რადგან მან მატარებლის ბოლოზე არ მოაწყო სანიშნებლების საკმაო რიცხვი.

ქრონიკა

მელითონეთა კავშირის 10 წლის თავი

მიმდინარე წელს სრულდება საბჭოთა კავშირის მელითონეთა კავშირის ათი წლის თავი. საქართველოს მელითონეთა კავშირმა შეადგინა საგანგებო კომისია საქ. მელით. კავშირის ათი წლის მუშაობის შესახებ მასალების შესაგროვებლად.

წყალსადენები ქალაქებში

რესპუბლიკის ქალაქებს შორის მხოლოდ ექვს ქალაქშია მოწყობილი წყალსადენი. ეს ქალაქებია თბილისი, ბათომი, ნაწილობრივად ფოთი, ბორჯომი, სოხუმი და გუდაუთი. დანარჩენი ქალაქები სარგებლობენ ჭებით და წყაროებით. ხსენებულ ექვს ქალაქის წყალსადენები დღე და ღამეში ამ ქალაქებს აწვდიან 2.100.000 ვედრო წყალს. თბილისში 1 სულ მცხოვრებზე მოდის 5 ვედრო წყალი, ფოთში—1 ვედრო, ბორჯომში—1, ქუთაისში—1, ახალციხეში—1 ნახევარი.

სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების გასაქირავებელი პუნქტები

გასული წლის განმავლობაში მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატმა მთელ საქართველოში მოაწყო 61 პუნქტი, საიდანაც გლეხებსა და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებს შეეძლოთ სამეურნეო იარაღ-მანქანების ქირაობა. საშუალოდ თითო მაზრაზე მოდის 4 ასეთი პუნქტი. ყველა პუნქტებში 660 გუთანია, 3 ტრაქტორი, 170 ფარცხი, 192 კულტივატორი, 174 სათესი, 66 სამკალი, 68 გამფშვნელი, 21 სანიავებელი. ეს მანქანები სამსახურს უწევს 7 ათ. მეურნეობას.

მატყლის დამზადება

1926 წელს მთელს საქართველოში დამზადებული იქნა 167.000 ფუთი მატყლი, აქედან 105.000 ფუთი დაამზადა სახელმწიფო და კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა. ამ ორგანიზაციების მიერ დამზადებულ მატყლიდან 70—80 ათასი ფუთი გამოყოფილია საკავშირო მრეწველობისთვის, 30 ათასი ფუთი ხმარდება ადგილობრივ სახელმწიფო მრეწველობას და შინამრეწველობას. მიმდინარე 1927 წელში მოსალოდნელია ამდენივე რაოდენობის მატყლის დამზადება. აქედან სასოფლო-სამეურნეო და კოოპერატიული ორგანიზაციები დაამზადებენ 107.000 ფუთს.

თბილისის აღმასკომში

◆ ახალი სახლების ასაგებათ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში უძრავ-ქონებათა სამმართველომ გასცა მიწის ნაჭრები: საბინაო ამხანაგობებზე—25 ნაკვეთი, დაწესებულებებზე—5, კერძო პირებზე—41.

◆ სახანძრო პუნქტები. მელიქიშვილის ქუჩაზე დასთავრდა სახანძრო რაზმის ახალი პუნქტის მოწყობა.

◆ მაზრაში ყვავილის დაცვისა და ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით თვეში ერთხელ იმართება სარაიონო მილიციის უფროსთა თათბირი ცენტრის წარმომადგენლის თანდასწრებით.

◆ ინკუბატორი. აღმასკომმა შეიძინა და ს. სალარაშენის გლეხს გადასცა კვერცხების ხელოვნური საჩეკი (ინკუბატორი). ეს გლეხი მივლენილი იყო მოსკოვში მეფრინველეობის კურსებზე. ინკუბატორი დიდ ინტერესს იწვევს გლეხებში.

მუშკოოპში

◆ ნავთი. თბილისის მუშკოოპი ამჟამად ხელით დამტარებლების საშუალებით ყოველდღიურათ ასაღებს 1.200—5.000 ფუთ ნავთს.

◆ რძის წარმოება. თბ. მუშკოოპის ცნობით ამჟამად თბილისში ყოველდღიურად სადდება 45.000 ჭიქა რძე.

ჭიდაობა

გუშინ, 15 აპრილს, ბულისა და გურსკის ჭიდაობა, რომელიც გაგრძელდა 1 ს. და 10 წ., უშედეგოდ დასრულდა. კანდელაკმა დასცა ხკარბე 12 წ.; რაუზინომ—ვანდეიკი 13 წ.; ერტნერმა—ულეზნიაკი 13 ნახ. წ.

შემთხვევები

◆ ამერიკულ ბაზარში ოლღა კვინიხიძეს ჯიბიდან ამოაცალეს 30 მანეთი.

◆ სიონის ტაძრიდან სანთლის ყუთიდან მოპარებული გასაღების საშუალებით მოიპარეს 100 მანეთი.

◆ რკინისგზის გადაღმა გაქურდეს ნინა შილითაძის ბინა. წაღებულია სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

◆ სადგურის ქუჩაზე მდებარე მუშკოოპის მაღაზიაში არამ ბუსულაშვილს ამოაცალეს 31 მ. და სხვადასხვა საბუთები.

◆ რეციდივისტის შეპყრობა. 14 აპრილს დააპატიმრეს ქურდი რეციდივისტი გრიგოლ შველაევიჩი.

◆ ვაჟებ ჩხუბის ატეხისა და შემდეგ მოქ. გორაშჩუკინის ფულის ამოცლისათვის შეიპყრეს ვასილ ჩიკანი.

◆ ქურდი ქალი. 14 აპრილს ქურდობისათვის დააპატიმრეს სირანუშა ივანეს ასული საბარიანცი.

◆ სახელმწიფო უნივერსიტეტიდან წყალსადენის მილების მოპარვისათვის შეიპყრეს ივანე დებენდენკო.

◆ სხვადასხვა ქურდობის ჩადენისათვის 14 აპრილს დააპატიმრეს არშაკ კოჩაროვი.

◆ ქურდობა. 14 აპრილს დუშეთის ქ. № 31 გაქურდეს ვალერიან ზუბაკიძის ბინა.

◆ ამავე დღეს ბიბილურის ქ. № 24 გაქურდეს ნატალია ტალიმის ბინა. წაიღეს 100 მან. ნივთები.

ხელოვნება

საოპერო სეზონის დახურვა.

(სანდრო ინაშვილის საღამო)

საოპერო სეზონი ბრწყინვალე წარმოდგენით დასრულდა. სანდრო ინაშვილის საღამოზე დადგმულ იქნა „ევგენი ონეგინი“. „ევგენი ონეგინის“ მთავარი პარტია ერთი საუკეთესოთაგანია ნიჭიერ არტისტის ფართო რეპერტუარში. მშვენივრად იხმის ხმა. მხატვრულად ჩაატარა არტისტმა სცენა ტატიანასთან ბაღში; მას იგი ნავადაც არ მიუმართავს პოზიორობისათვის, მარტივად რეალურ ტონებში შესრულდა ეს სცენა. მხურვალედ და ბუნებრივად ტემპერამენტით იქნა შესრულებული წაჩხუბების სცენა—ფინალურ სცენაში იყო მთელი რიგი მხატვრული მომენტებისა. გარეგანი სახე სტილიურია და შეეფერება ეპოქას. არტისტი მთელ საღამოს განმავლობაში განუწყვეტლივ იქცევდა გამდიდ დარბაზის მთელ ყურადღებას. აუდიტორიამ ოპერის დასასრულს მხურვალე ოვაციები გაუმართა მას.

ტატიანას პარტია არ შეიძლება ყველაზე უფრო დამთავრებულად ჩაითვალოს მსახიობი ქალის ვოლ-ლევიცკაიას რეპერტუარში. ეხლა პარტია უფრო მეტად მხატვრულად არის დამუშავებული. ეს მსახიობი ქალი ყოველთვის განირჩეოდა განსაკუთრებული კულტურისნობით. შესრულების ეს მხარე ეხლაც მთავარი იყო. სცენიური მხრივ უნდა აღინიშნოს მთელი რიგი მხატვრულად მოფიქრებული მომენტებისა, დინამიური ელფერების მთელი გამმა. მსახიობი ქალი გულწრფელად განიცდის როლს. ხმა გაისმის მუსიკალურად. ადგილ-ადგილ შესამჩნევია. ორკესტრთან კონტაქტის დარღვევა. თვითონ გრემინის მშვენიერ სტილიურ სახეს ქმნის მესხიაევი. მან გვიჩვენა თავისი ხმის უდიდესი დიაპაზონი.

სუსტია როგორც ვოკალური, ისე სცენიური მხრივ ზვიაგინი ლენსკის პარტიაში. დანარჩენი შემსრულებლები ძველები იყვნენ. მხატვრული მოთხოვნილების სიმაღლეზე არ სდგას ბალეტი.

ბ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

◆ მსახიობ ვ. პაპაზიანის იუბილეი. ა. წ. 20 აპრილს რუსთაველის თეატრში სომხეთის სახელმწიფო დრამის მსახიობის ვ. პაპაზიანის 20 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად შესდგება საიუბილეო დღესასწაული. საიუბილეო ზეიმში მონაწილეობის მიღების მსურველები წინდაწინვე უნდა ჩაეწერონ საიუბილეო კომისიის მდივან გალუსტიანთან დღეიდან 18 აპრილამდე. (აირატუნის თეატრის შენობა ალავერდის მოედანი № 7).

◆ განათლების მუშაკთა სახლში დღეს საღ. 9 ნახ. საათზე გაიმართება „მხატის“ მუსიკალურ სტუდიის ვოკალური კვარტეტის კონცერტი.

◆ „საჭე მარცხნივ“. დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „საჭე მარცხნივ“.

◆ ს. დოლიძის საღამო. დღეს ოპერის თეატრში გაიმართება ს. დოლიძის საღამო.

ლიტერატურული საღამო. კვირას 17 აპრილს, ამხ. მ. კახიანის სახელობის ცენტრალურ მუშფაკში გაიმართება ლიტერატურული საღამო. მოხსენებას გააკეთებს ბ. ჟღენტი, „მემარცხენეობა ქართულ ლიტერატურაში“.

დისპუტში მოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: ბ. ბუჩიძე, რონდელი, ლუარსამიძე, ვ. ქოქოძე, ც. რადიანი, და სხვები. დასაწყისი საღამოს 7 საათზე. (სამოსწავლო შესახვევი) შესვლა უფასოა.

◆ ლიტერატურული საღამო სტუდენტებისათვის. დღეს, საღ. 7 საათზე, სახ. უნივერსიტეტში, ამავე უნივერსიტეტის მწერალთა კოლექტივის მიერ გამართული იქნება ლიტ. საღამო. დასწრება შეუძლია მხოლოდ სტუდენტებს.

რემედასში

უჯრედების ხ. არჩევა

20 აპრილიდან თბილისში და მის მაზრაში დაიწყება რემედასის უჯრედთა ბიუროების და სარევიზიო კომისიების ხელახალი გარჩევა, გადარჩევის კამპანია დასრულდება 15 მაისისათვის.

თათბირის მოწვევა

18 აპრილს მოწვეულია რემედასის საქალაქო რაიონებისა და მსხვილი უჯრედების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც გამომუშავებული იქნება პირველი მაისის დღესასწაულზე რემედასის მონაწილეობის გეგმა.

დოლი

როგორც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ცნობა იყო, 26 აპრილს გაიხსნება დოლის სეზონი. ამ დღიდან ყოველ კვირა დღეს რეგულიარულად იწარმოებს დოლი და რბენა ცხენების გამოსაცდელად. სახელმწიფოს საჯინიბოს მომარაგებული ჰყავს ოცი ახალგაზრდა ცხენი, რომელნიც წელს პირველად მიიღებენ მონაწილეობას დოლში. გარდა ამისა, საჯინიბო შევსებულია კიდევ მოსკოვში შეძენილი ახალი ცხენებით „ზერეენით“, „დვინით“, „დაგომეთი“ და „სარდარით“. ყველა ეს ცხენები ინგლისური ჯიშის არიან და დოლში მონაწილეობას მიიღებენ ძველ ბედაურებთან „ეთერისა“ და „ოიგჯა პიატურელთან“. მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის მიერ პარიზში შეძენილი ცხენები. წრევანდელი სეზონისათვის თავის ცხენებს გზავნიან აზერბეიჯანში, სომხეთი, აფხაზეთი, ნახიჩევანის ავტრესპუბლიკა, ჩრდილოეთ ოსეთი და სხვ. დოლში მონაწილეობის მისაღებად ჯარის ნაწილებს გამოყოფილი ჰყავთ 30-დე ცხენი. სადოლო განყოფილების ხელმძღვანელად მოწვეულია მხედარი ხუსკივაძე, სარბენ განყოფილების კანბეკოვი, უკეით რ. მამედოვი.

სასამართლო

ცოლის მკვლელი

(ლ. მურადხანოვის საქმე)

გუშინდელ სხდომაზე დაკითხეს ზოგიერთ მოწმეებს, რომელთა ჩვენებას არავითარი ახალი გარემოება არ შეუტანია საქმეში.

შემდეგ მოსმენილ იქნა ექიმ-ექსპერტების დასკვნა.

საღამოს სხდომაზე გაიმართა მხარეების კამათი.

განაჩენი გამოტანილი იქნება დღეს.

ორი ცოლი

36 წლის ივანე საკაშვილი (მილიციელი) რამოდენიმე წლის განმავლობაში ცოლთან კარგს დამოკიდებულებაში იყო. ცოლი მასზე იეჭვიანობდა, მაგრამ ივანე არწმუნებდა ქალს იმაში, რომ მის გარდა მას არავინ უყვარს. სინამდვილეში კი ივანეს მეორე ცოლი ჰყავდა.

საკაშვილი მეორე ცოლს მაშო ლევერაშვილს ელაპარაკებოდა, რომ პირველი ცოლი მას არ უყვარს.

1926 წ. ნოემბერში საკაშვილს სოფ. ნადარბაზევიდან ჩამოუვიდა პირველი ცოლი ნუშკო.

საკაშვილმა თავის საცხოვრებელ ბინის მახლობლად იშოვნა ოთახი, რომელშიაც მოათავსა მეორე ცოლი.

ქალი ემუდარებოდა საკაშვილს გატარებულიყვენ მმაზში, მაგრამ ივანე არ სთანხმდებოდა.

საკაშვილი ორთავე ცოლთან კარგს დამოკიდებულებაში იყო. დროგამოშვებით ხან ერთთან სცხოვრობდა, ხან კი მეორესთან.

ა. წ. თებერვლის თვეში, საკაშვილი ავად გახდა და მოათავსეს საავადმყოფოში.

განკურნების შემდეგ საკაშვილმა მიიღო ცნობები იმის შესახებ, რომ მისი სახლში არ ყოფნის დროს მეორე ცოლთან დადიოდენ ვიღაც პირები და დილამდე დროს ატარებდენ.

ერთ დღეს, საკაშვილი ძლიერ აღელვებული მიდის ლევერაშვილთან და სთხოვს უთხრას მას სიმართლე.

ქალი გაბრაზდა საკაშვილის მოქმედებით და მიუგო:

— სიზმარში, ხომ არა ხარ, ივანე. ჩემთან მხოლოდ ნათესავები დაიარებოდენ.

საკაშვილი მოთმინებიდან გამოვიდა და დანით 18 ჭრილობა მიაყენა ლევერაშვილს.

მიღებული ჭრილობებისაგან ლევერაშვილი განიკურნა.

წინასწარი გამოძიების დროს საკაშვილმა თავი სცნო დამნაშავედ და დასძინა, რომ ბოროტმოქმედება მან ჩაიდინა იეჭვიანობის ნიადაგზე.

საკაშვილის საქმე ამ დღეებში გაირჩევა ოლქის სასამართლოში.

ბოროტმოქმედება ცეკავშირში

(დ. ლორთქიფანიძის საქმე)

განაჩენი

გუშინ დილის სხდომაზე უკანასკნელი სიტყვა მიეცა ბრალდებულ ლორთქიფანიძეს. მან თავი არ სცნო დამნაშავედ და სთხოვა სასამართლოს სასჯელისაგან განთავისუფლება.

საღამოს ექვს საათზე სასამართლომ გამოიტანა განაჩენი.

დავით ლორთქიფანიძეს (ცეკავშირის ყოფილი ექსპედიტორი) დამნაშავედ იქნა ცნობილი 10.024 მანეთის მითვისებასა და გაფლანგვაში, რისთვისაც მიესაჯა ათი წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით.

ცილისწამება

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. გასიევის თავმჯდომარეობით გაირჩა გამსწორებელ სახლის უფროს თანამშრომლის პეტრე სკორიკის საქმე.

სკორიკს ბრალდებოდა გარყვნილების ბუდის შენახვა.

ბრალს სდებს პროკურორი კიკაბიძე, ბრალდებულს იცავდა დამცველთა კოლეგიის წევრი ეხენი.

სასამართლომ საქმეში დართულ მასალების და მოწმეთა ჩვენების მიხედვით სკორიკი უდანაშაულოდ სცნო და გაამართლა.

მანუფაქტურის მოყვარულნი

ამ დღეებში აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩევა ივანე სარქისოვის, ივანე ნაზაროვის და მიხეილ როიტენბერგის საქმე.

სარქისოვი და ნაზაროვი მსახურობდენ ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერატივის მეხუთე მაღაზიაში.

სარქისოვს და ნაზაროვს კავშირი ჰქონდათ კერძო მოვაჭრე მიხეილ როიტენბერგთან, რომელსაც აძლევდენ მანუფაქტურას გასასყიდათ.

როიტენბერგი მიღებულ მანუფაქტურას სულ მოკლე ხანში ასაღებდა. „მეგობრები“ ფულებს თანასწორად ინაწილებდენ.

სამი თვის შემდეგ ბოროტმოქმედება აღმოჩენილ იქნა „მეგობრები“ პასუხისგებაში მისცეს.

ტყის დღე

გუშინ დაიწყო ტყის დღის ჩატარება რესპუბლიკის მთელ რიგ მაზრებში. ტყის დღესასწაულის ჩასატარებლათ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს გამომუშავებული აქვს სპეციალური გეგმა, რომლის თანახმადაც ტყის დღესასწაულის ჩატარებისას უნდა მოხდეს ახალი მცენარეების დარგვა, ცალკე მიწის ნაკვეთებზე ახალი ტყის გაშენება და სხვა.

რესპუბლიკის სხვა და სხვა მაზრებში და რაიონებში ტყის დღესასწაული ჩატარდება სხვა და სხვა დროს.

ტყის დღესასწაულების ჩატარება მთავრდება მთელ რესპუბლიკაში მაისის პირველ რიცხვებში.

ბიბლიოგრაფია

ა. ჰარვუდ „განახლებული დედა-მიწა“

სახელგამი—გვ. 296—ფასი 1 მ. 20 კაპ.

ამ რამოდენიმე დღის წინეთ დამთავრებულმა საქართველოს საბჭოების ყრილობამ გადაჭრით აღნიშნა, რომ მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია გულისხმობს კერძო სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციას, მის ინტენსიფიკაციას.

სოფლის მოსახლეობის საერთო შემოსავალში უმთავრესი და გადამწყვეტი ადგილი სამიწათმოქმედო შემოსავალს უკავია. მიწათმოქმედება ამგვარად ღერძია სასოფლო ეკონომიკის. მისი შემოსავალი პირდაპირ უშუალო გავლენას ახდენს მრეწველობის ნაწარმოებთა რეალიზაციაზე და მეორეს მხრივ უქმნის მრეწველობას ნედლეულის ბაზას. სოფლის მეურნეობაში კერძოთ ხორბლეულის კულტურას პირველი ადგილი უჭირავს. ხორბლეულის მეურნეობის ზრდა დღემდე სახნავ-სათესად ვარგის მიწის რაოდენობაზეა დამოკიდებული როგორც ჩვენში, ისე მთელ საბჭოთა კავშირში. გასული ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ აღვადგინეთ სოფლის მეურნეობა და დათესილ მიწების რაოდენობა გაუთანაბრდა თითქმის ომამდე არსებულ ნორმას.

მაგრამ ეს გარემოება არ არის სახარბიელო, რადგან თავისუფალი მიწები უკვე აღარაა, მიტოვებულ მიწების მორწყვით და ჭაობების ამოშრობით მომავალი წლების განმავლობაში ვერ მივიღებთ სათესი მიწების იმ რაოდენობას, რომ ამით შეიძლებოდეს ხორბლეულის პროდუქციის საგრძნობი გადიდება. ასეთ პირობებში გამოსავალი ერთია—მიწის უკეთ დამუშავება თესლის გაუმჯობესება, ნიადაგის განოყიერება, მცენარეთა შერჩევა და სწორი ცვლის დაწესება და რაც მთავარია მიწათმოქმედების სრული მექანიზაცია. ეს იქნება სოფლის მეურნეობის მთავარი დარგის, მიწათმოქმედების ინტენსიფიკაცია, მისი რეკონსტრუქცია. მიწის არსებული სივრცის უკეთ დამუშავების შემწეობით მეტი მოსავლის მიღება—აი რა უნდა გახდეს ჩვენი მიზანი მომავალში.

სწორედ ეს საკითხია ფართედ გაშუქებული ჰარვუდის ცნობილ წიგნში, რომელმაც თვით ამხ. ლენინის ყურადღებაც მიიქცია. ამ მეტად გასაგები ენით დაწერილ და ვრცელ წიგნში მოთხრობილია ის ღონისძიებანი, რომელთა მეოხებით შესაძლებელია სოფლის მეურნეობის არსებული მდგომარეობის რადიკალური ცვლილება და განსაცვიფრებელ შედეგების მიღწევა. ავტორი ამერიკის მაგალითზე, სადაც სოფლის მეურნეობა მეტად მაღალ საფეხურზე სდგას, დაწვრილებით გვაცნობს მეცნიერების საერთოდ და განსაკუთრებით აგრო-მეცნიერების მიღწევებს სოფლის მეურნეობის ყოველ დარგში. სოფლის მეურნეობის რაციონალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ამერიკული ტეხნიკის გადმონერგვით ჩვენს პრიმიტიულ სოფლის მეურნეობაში, მხოლოდ იმ უდიდესი გამოცდილების გაზიარებით, რომელიც ჰარვუდმა გვიამბო თავის შესანიშნავ წიგნში.

უმთავრესი რაც ხვდება მკითხველს თავდაპირველად თვალში და მის გაოცებას იწვევს—ესაა **ნიადაგის დამყნა**, რომელსაც ჰარვუდი **განახლებულ დედამიწის**—ე. ი. შეერთებული შტატების საწყაულთა საწყაულს უწოდებს. ნიადაგის დამყნით აღწევენ ნიადაგის, (თითქმის სავსებით გამოფიტულისაც) გარდაქმნას. ნიადაგის აღდგენა-მოღონიერება ბაქტერიის საშუალებით არის ნიადაგის დამყნა. „ამისათვის ბაქტერიებს იღებენ სხვადასხვა ნიადაგიდან და მატებენ დასუსტებულ ნიადაგს“.

სარეცენზიო შენიშვნაში შეუძლებელია ამ პროცესის დაწვრილებითი აღწერა და ამიტომ ურჩევთ მკითხველს მასთან გაცნობას ჰარვუდის წიგნში. ასეთივე ინტერესით იკითხება თავი ხორბლეულობის ჯიშის გაუმჯობესების, ახალი ნოყიერი და ზევრად მოსავლიანი ხორბლის შექმნის, მცენარეთა ზრდა-განვითარებისთვის ხელის შეწყობის, მცენარეთა მტრების წინააღმდეგ ბრძოლის, მეხილეობა-მეტყეობის ფერმერების, მესაქონლეობის გაუმჯობესების და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა გადამუშავების შესახებ.

წიგნის ბოლოს ავტორი ეხება „განახლებული დედამიწის“ ცოდნათა გავრცელების ფაქტორებს და ასეთებათ ასახელებს: მთავრობას—მიწათმოქმედების დეპარტამენტის სახით, სხვადასხვა შტატის სასოფლო-სამეურნეო სკოლებს და საცდელ სადგურებს. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ჰარვუდის ცნობები საცდელი სადგურების, რომელიც ამერიკაში სამოცამდეა და მთელი ქსელი სასოფლო-სამეურნეო სკოლების შესახებ. ამერიკის გამოცდილება ამ სფეროში ყველაზე მეტადაა გამოსადეგი საბჭოთა სოფლის მეურნეობისათვის. მხოლოდ ამისათვის ღირს ჰარვუდის წიგნის წაკითხვა.

მკითხველის ყურადღება უნდა მივაქციოთ დაბოლოს ავტორის გადაჭარბებულ გატაცებას სოფლის მეურნეობით, სოფლის ერთგვარი იდეალიზაციას, რომელიც ცნობილ ჰილდებრანდის და ვაგნერის, როგორც ზე-აგრარისტების მიუღებელ შეხედულებათა თავისებური აპოლოგიაა.

ახალი.

მეცნიერება და ტეხნიკა

ეშვება თუ არა ზღვაში ჩრდილოეთ-ამერიკა

ემყარებიან რა მთელ რიგ ნიშნებს, მრავალი გამოჩენილი გეოლოგები ამტკიცებენ, რომ ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილი ნელა, მაგრამ შეუჩერებლად ეშვება წყალში, თითეულ ას წელიწადში 1—2 ფუტის სიღრმეზე. ამჟამად დაწყებულია გამოკვლევები ამ ფაქტის გარკვევით შესამოწმებლად. ატლანტის ოკეანის სანაპიროებზე შეერთებულ შტატებში და აგრეთვე კანადაში, მთელ რიგ პუნქტებში სისტემატიურად ზომავენ ზღვის მომატების საზღვრებს. უკვე შემუშავებულია ანალოგიური გეგმა წყნარი ოკეანეს სანაპიროების შესამოწმებლად. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს საკითხი საბოლოოდ გამორკვევა მხოლოდ 25 წლის შემდეგ.

მანქანა, რომელიც „ხედავს“

ამერიკის ერთ-ერთ თამბაქოს ქარხანაში დადგმულია მანქანა, რომელიც ახარისხებს სიგარებს მათი ფერის მიხედვით. ამ მანქანას საათში შეუძლია 4.000 სიგარის განაწილება 32 ხარისხათ. მანქანის მხედველობითი ფუნქციებს ასრულებს ელექტრონული ფოტო-კამერა, რომელიც მოწყობილია იმ კამერების ტიპის მიხედვით, რომელთაც ხმარობენ ფოტო-ტელეგრაფისა და ვარსკვლავების სინათლის სიძლიერის გამორკვევის დროს.

თითოეული სიგარა, რომელიც მანქანაში ტარდება, თავის ფერით განსაკუთრებულ სინათლის ზეგავლენას ახდენს კამერაზე და იწვევს შესაფერი სიძლიერის ელექტროდენს. ეს დენი, რომელიც განაგებს მანქანის სხვადასხვა ნაწილებს, სათანადო ხარისხის მილით ისვრის სიგარას.

ერთ და იმავე დროს სახის და ხმის გადაცემა რადიოთი

ნიუ-იორკი, 10 აპრილი. ამერიკის ერთ-ერთმა სატელეგრაფო ფირმამ ერთ და იმავე დროს რადიოთი გადასცა სახეც და ხმაც. ვაჭრობის მინისტრის გუვერის სახე და ხმა შესანიშნავად იქნა გადაცემული ვაშინგტონიდან ნიუ-იორკში. (ადს).

ოფიციალური განყოფილება

ინსტრუქცია № 16

საქართველოს ს.ს.რ. შრომისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა

1927 წლის აპრილის 7-ს №1 00602

მოზარდ მუშების საექიმო შემოწმების შესახებ

თანახმად ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის 1927 წლ. მარტის 9-ს თარიღით და 24 №-თ გამოცემულ დადგენილებისა, რომლითაც უქმდება „ინსტრუქცია მოზარდ მუშების საექიმო შემოწმების შესახებ“ 23 წ. 9/II № 95 (717) გავრცელებული ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს.რ. ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატის 24 წ. ივნისის 26-ს № 112-თ გამოცემულ დადგენილებისა და რ.ს.ფ.ს.რ. სახ. კომისართა საბჭოს მიერ 1922 წ. ოქტომბრის 13-ს თარიღით „მოზარდ მუშების საექიმო შემოწმების შესახებ“ გამოცემულ დადგენილებისა გავრცელებული ა.-კ. ს.ფ.ს.რ. ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომ. მიერ 1926 წ. ივნისის 26-ს თარიღით და 112 №-ით გამოცემულ დადგენილებით (მიმ. შრომ. კან. კრ. გამოც. 1926 წ. გვ. 645—646) საქართველოს ს.ს.რ. შრომისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატები წინადადებას იძლევიან მიღებული იქნეს შესასრულებლად შემდეგი:

1. ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო წარმოება-დაწესებულებასა და წვრილ შინამრეწველობის სახელოსნოებში და აგრეთვე საქარხნო-საფაბრიკო სკოლებში ამჟამად მომუშავე მოზარდების 18 წლ. ჰასაკამდე (ჩათვლით) მუშების საექიმო შემოწმების გატარების მიზნით—ადგილებზე ჯანმრთელობის განყოფილებებთან არსდება კომისია ჯანმრთელობის განყ. ო/ი ექიმის, დამზღვევ სალაროს ან დამზღვევ პუნქტის ერთი ექიმის (თუ ასეთი ჰყავს) და ა.ლ.კ.კ. და პროფორგანიზაციის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

შენიშვნა 1: არ უნდა იქნენ შემოწმებულნი ის მოზარდნი, რომელნიც დისპანსერების აღრიცხვაზე და მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან.

შენიშვნა 2: მავნე საამქროებში, 18 წ. უფროსი მომუშავე მოზარდ ახალგაზრდების საექიმო შემოწმება ხდება მავნე წარმოებებში მუშების საექიმო პერიოდულად შემოწმების შესახებ არსებულ დადგენილებით გათვალისწინებულ წესების მიხედვით.

2. მოზარდთა საექიმო შემოწმება დაწყებული უნდა იქნეს ადგილებზე ცენტრიდან სათანადო ანკეტის მიღების დღიდან და დამთავრდეს ორი კვირის განმავლობაში, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს პირველ მაისისა, ისე რომ მოზარდებს შეეძლება ჰქონდეთ საზაფხულო პერიოდში შეღავათები გამოიყენონ უფრო რაციონალურად და აგრეთვე, რათა მასალები მათი შემოწმების შესახებ გამოყენებულ იყოს იმ ორგანოების მიერ, რომელნიც განაგებენ დაზღვეულთა დასასვენებელ სახლებსა, სანატორიუმებსა და კურორტებზე და დისპანსერებში გადარჩევისა და გაგზავნის საქმეს.

3. მოზარდთა ჯანმრთელობის მდგომარეობის და შესასრულებლად სამძიმო სამუშაოს შორის აშკარა შეუფარდებლობის შემთხვევაში, მოზარდი შეიძლება გადაყვანილი იქნეს უფრო მსუბუქ სამუშაოზე, ამიერ-კავკასიის სახ. კომისარიატის მიერ 1925 წ. ივლისის 16-ს თარიღით „მოზარდთა მძიმე სამუშაოდან მსუბუქ სამუშაოზე გადაყვანის წესის შესახებ“ გამოცემულ ინსტრუქციის და მიხედვით.

4. სათანადო შემთხვევებში მოზარდის მსუბუქ სამუშაოზე გადაყვანის შეუძლებლობის გამო შრომის ინსპექტორის ნებართვით, მოზარდი დროებით შეიძლება დატოვებულ იქნეს იმავე სამუშაოზე იმ დრომდე, სანამ მას ამავე წარმოებაში, ან მოზარდის თანხმობით სხვა წარმოებაში აღმოუჩნდება უფრო მსუბუქი სამუშაო.

შენიშვნა: საქმის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, საექიმო კომისიის დასკვნების ცხოვრებაში გატარების დროს ხელახალი შემოწმება სწარმოებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში აღნიშნულად საჭიროება დამტკიცებული იქნება.

5. შესამოწმებელ პირთა სიები უნდა შედგენილი იქნეს ა.ლ.კ.კ. და პროფორგანიზაციების მიერ და გადაეცეს ჯანმრთელობის განყოფილებას.

6. მოზარდ მუშების შემოწმების დამთავრების ამბერ ყველა ანკეტები დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს საქართველოს ს.ს.რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებულ მოზარდთა და ბავშვეთა ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას.

7. ამა ინსტრუქციის ცხოვრებაში გატარებისათვის ეკისრება ადგილობრივ ჯანმრთელობის ორგანოებს, რომელნიც მოზარდთა საექიმო შემოწმების გასატარებლად ა.ლ.კ.კ. და პროფორგანოებთან ერთად ამუშავებენ კონკრეტულ გეგმას, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა მომენტები (ადგილი, სადაც იწარმოებს შემოწმება, უკანასკნელის დაწყების ვადა და სხვა).

საქართველოს ს.ს.რ. შრომის სახ. კომ. მოადგილე და სოციალურ. სამ. უფროსი მორჩილაძე.

საქართველოს ს.ს.რ. ჯანმრ. სახ. კომისარი კუჭაიძე.

შეთანხმებულია ს.პ.კ.ს. გ.ჟურულაშვილი

შეთანხმებულია ა.ლ.კ.კ. ცეკ. ნესტერევი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

წინადადება ეძლევა ამხ. მიხეილ ნიორაძეს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდეს ცეკას საორ. განმანაწ. ქ.-განყ. ამხ. ლიცინოვთან.

ს.კ.პ. ლენრაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ შაბათს 16 აპრილს საღამოს 6 საათზე რაიკომის ბინაზე მოწვეულია ლენრაიონის კომუნისტ-პედაგოგების თათბირი, რომელზედაც სავალდებულოა დასწრება შემდეგი ამხანაგებისათვის: ლეჟავა პ.; მარდალეიშვილი, ზავიალოვა, სუხაროვა, დოლიძე გ.; აბაშიძე; რამენდიკი, ჯულელი, მარგარიანი, კულიჯანოვი, დოლიძე თ.

საქართველოს რემედასის ცეკა იტყობინება, რომ დღეს, 16 აპრილს, საღამოს 6 საათზე საქ. რემედასის ცეკას ბინაზე დანიშნულია პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

სახ. უნ. ა.ლ.კ.კ. ბიურო-კოლექტივი იტყობინება, რომ შაბათს 16 აპრილს, 3 საათზე შესდგება ა.ლ.კ.კ. ბიუროს კოლექტივის სხდომა. დასწრება ყველა წევრებისა და კანდიდატებისა სავალდებულოა.

თავზარდაცემული მშობლები: თენგიზი და შუშანიკა, შვილები მადლენა, კოკი და ფ..უტი, აუწყებენ ნათესავთ ამხანაგებს და ნაცნობებს რომ ამა წლის 14 აპრილს ტრაგიკულად გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი

რუსუდანა თენგიზის ასული
ულენტი

მე-25 შრომის სკოლის მოწაფე, სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია დღეს 16 აპრილს, საღამოს ექვს საათზე, გრიბოედოვის ქ. № 27, გამოსვენება იქიდანვე კვირას 17 აპრილს დღის პირველ (1) საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე

2432

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ ა. წ. 14 აპრილს საღამოს 9 საათზე გარდაიცვალა პარტიის წევრი, საქართველოს კომპარტიის ცეკას ქალთა განყოფილების მდივანი ამხ.

ნინო ვასილის ასული
შავგულიძე-მიქავა

მიცვალებული გამოსვენებულ იქნება შაბათს 16 აპრილს ნაშუადღევის 4 საათზე პუშკინის ქ. № 25.დან. ნ. 1019

საქ. კ. პ. ც. კ. მუშა და გლ. ქალთა შორის მომუშავე განყოფილება ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ 14 აპრილს ღამით 9 საათზე გარდაიცვალა ამავე განყ. მდივანი

ამხ. ნინა ვასილის ასული
შავგულიძე-მიქავასი

2—1 ნ. 2434

გაუბედურებული მშობლები: დედა თეო, ძმა ვასილი, ძმები—აკაკი, ლადიკო და ტიხონია შავგულიძეები, დები: მანია ჯაფარიძისა, მარუსია სულაბერიძისა, დარიკო და რძალი ნინო შვილებით: ზურიკო და ლევანით—აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 14 აპრილს 27 წელს ქალ. თბილისში გარდაიცვალა მათი საყვარელი ქალიშვილი და დაი

ნინო (ნინუცა) ვასილის ასული
შავგულიძე-მიქავა

გამოსვენება დღის 4 საათზე, საკუთარ ბინიდან, პუშკინის ქუჩა, № 25 სადგურზე დასაკრძალავად ქ. ქუთაისში 2437

გალია და სერგო ქავთარაძეები, ლენა და დავით ძესხები თამარა და სანდრო პეტინაძეები და თამარა და მიშა იაკობაშვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს და ამხანაგებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მათი მეგობარი

ნინა ვასილის ასული
შავგულიძე-მიქავასი

2436

თამარ ვარლამის ასული, ვლადიმერ ამბაკოსძე ცაგარლები, შვილი რეზიკოთი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს, რომ 14 აპრილს საღამოს 9 საათზე გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ნინო ვასილის ასული
შავგულიძე-მიქავასი

გამოსვენება საკუთარ ბინიდან, პუშკინის ქ. № 25, მოხდება ამა თვის 16 აპრილს, შუადღის 5 საათზე სადგურზე, საიდან ცხედარს წაასვენებენ ქ. ქუთაისში 2437

„სოფლის კავშირის“ კომუჯრედი ღრმა მწუხარებით აუწყებს თავის წევრებს, რომ ამა წლის 14 აპრილს მოულოდნელად გარდაიცვალა ამავე უჯრედის აქტიური წევრი

ამხ. ნინა შავგულიძე

მიცვალებული დასაფლავებული იქნება ქ. ქუთაისში; გამოსვენება მოხდება შაბათს 16 აპრილს, საღამოს 4 საათზე. (ბინა პუშკინის ქ. № 25) თბილისის სადგურზე.

გაუბედურებული—ქმარი ჟურა ჯამულეთისძე მიქავა ქალიშვილი ნათელათი (კუსუნია) აუწყებენ მათესავებს, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 14 აპრილს 1927 წ. გარდაიცვალა მათი უსაყვარელესი ცოლი პირველის, და დედა მეორესი

ნინიკო

გამოსვენება ბინიდან პუშკინის ქუჩა № 25, დღის 4 საათზე, სადგურზე ქ. ქუთაისში დასაკრძალავად. 2437

მწუხარებით გულმოკლულნი: დედა ნინო ესტატეს ასული, და თამარ, ძმა ვახტანგ, ბაბუა და ბებია—ბართლომე და მაიკო, მამიდები: ნინო და არეთა, ბიძა კლემენტი, ბიცოლა თამარ, პატარა ბიძაშვილები: არჩილ და ჩიჩანა ბახტაძეები, ბიძა ალექსანდრე ესტატესძე ცოლშვილით და დეიდა სოფიო ციკავები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხუთშაბათს 14 აპრილს ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მათი საყვარელი და მეხსიერებიდან წარუშლელი თბილისის პირველ სამრეწველო ეკონომიურ ტეხნიკუმის უკანასკნელი კურსის მოწაფე

ქეთო დავითის ასული ბახტაძე

გამოსვენება კვირას, 17 აპრილს, დღის 12 საათზე, კალოუბნის ეკლესიიდან პეტრე-პავლის სასაფლაოზე 2438

სახელმწიფო დრამა

შაბათს 16 აპრილს ბილლ-ბელოცერკოვსკის

საჭე მარცხნივ

პიესა 5 მოქმ. 16 სურათ.

თარგმანი: ს. ჩიქოვანის. მუსიკა: პ. იპოლიტოვის

ახალი შემადგენლობა

დადგმა: ალ. ახმეტელის.

2—1 ნ. 1013 სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი: ალ. ახმეტელი.

აპოლლო
ტელ. 7—61.
არფასტო
ტელ. № 19—22.
სოლეი
ტელ. 20—44.
დარბაზი
ტელ. 14—03.

0—13 ნ. 924

საქართველოს სახკინმრეწვის ახალი სურათი

გიული

დადგმა—ლ. პუშის და ნ. შენგელაიასი

ოპერატორი—მ. კალატოზიშვილი

მთავარ როლებში:

ნატა ვაჩნაძე ც. წუწუნავა ა. იმედაშვილი

ა. თაყაიშვილი კ. ყარალაშვილი, ზ. მელიავა

დასაწყისი 1-ლი სეანსის ზრულ 6 ს. 30 წ.

არფასტოში ადგილები დანომრილია

პირლ უაიტი და ანტონიო მორენო

საუკეთესო სურათში „სიძულვილის სახლი“

1 და 2 სერია ერთად.

კვირას, 17 აპრილს კინო-თეატრებში: აპოლოში და არფასტოში დღისით საბავშო სეანსები

ცირკი

დამსახურებულ მსახიობების ძმ. ტანტების ხელმძღვანელობით

ტელ. 16—67

1—1 ნ. 1015

დღეს, 1927 წ. 16 აპრილს,

განსაკუთრებული დანიშნულების საღამო

საუკეთესო სანახაობანი. გრძელდება ჭიდაობის ჩემპიონატი ჭიდაობს 4 მეტად საინტერესო წყვილი, პირველი გადამწყვეტი შეხვედრა ვინ? ვის? ძალა! ტეხნიკის წინააღმდეგ! გ. შულც—ზუმბერაში ზოტი, მეორე წყვ. ჩემპიონატის უძლიერესი მოჭიდავეების შეხვედრა სანდრო კანდელაკი—წითელი ნილაბი. მესამე—კ. ბულ—ულეზნიაკ. მეოთხე—იაუნზე—ერტნერ. კვირას, 17 აპრილს, საბავშვო დილა საჩუქრების დარიგებით. დასაწყისი ნაშუადღევის 1 ნახ. საათზე.

ადმ. ხელმძღვანელი მ. ი. ტადე.

ქ. ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოგორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში შაუმიანის ქუჩაზე სახლი № 5 დანიშნულია 21 აპრილს 1927 წ. დილის 12 საათზე **საჯარო ვაჭრობა** იოსებ ელიგულაშვილის ქონებისა: დივნის, კრესლოების, სკამების, შკაფის, კომოდის, კარტის სათამაშო მაგიდის და სხვების, შეფასებული სულ 113 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე სახელმწიფო ბანკის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ.

ნ. 1015

ექიმი

მეგრაბიანცი

ფილტვების, გულის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მთის მზე. იონნოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.

ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბეთჰოვენის ქუჩ., 852 25—1

რუსთაველის თეატრი

ორშაბათს, 18 აპრილს,

სეით დევდარიანი

წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე:

საქართველოს საკითხი

1. საქართველო და ევროპა.
2. მეორე ინტერნაციონალი და საქართველო.
3. საქართველო და რუსეთი.
4. მესამე ინტერნაციონალი და საქართველო.
5. ქართული არალეგალური პრესა („ბრძოლა“, „დამოუკიდებელი საქართველო“ და სხ.) საქართვ. საკითხები.
6. გაერთიანებული ფრონტი (საქართველო, აზერბეიჯანი, ჩრდილო-კავკასია, ბელორუსია, უკრაინა) და საქართველოს საკითხი.
7. რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო.
8. რუსეთი და საქართველო.
9. ჩინეთის რევოლიუცია და მსოფლიო რევოლიუციის საკითხი.
10. ევროპა და რუსეთი.
11. კაპიტალისტური და სოციალისტური პრინციპი.
12. თანამშრომლობის საკითხი.
13. დამოუკიდებელი საქართველო და საქართველო საბჭოთა კავშირის ფარგლებში.

მოხსენების შემდეგ კამათი.

ნ. 1016. 2—1. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

გაზეთ

„კომუნისტ“-ზე
ხელის მოწერა
მიიღება:

1) ოზურგეთში— — — ინწკირველთან
2) სუფსაში— — — — ყაითარ ხირაძესთან
3) ნატანებში — — — სამსონ ქინქლაძესთან
4) შემოქმედში — — — გერონტი ბაბეიშვილთან
5) ცხემლის ხიდზე — — ივანე კობიძესთან
6) ნაგომარში — — — ანტონ კოპლატაძესთან
7) ხიდისთავში — — — კასიანე კალანდაძესთან
8) ჩოხატაური — — — კალისტრატე გორდელაძესთან
9) დვაბზე — — — — სამკითხველოში.

2—1. გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1927 წ. 21 მარტის თარიღის

ბრძანებით № 383,

დაწესებულია უცხოეთის ქვემოჩამოთვლილი საქონლის დადაღვა:

1) ორიგინალურად ხვეული ყავა და მისი სუროგატები.

2) ორიგინალურად ხვეული ყოველგვარი ფხვნილი კაკაო.

3) „ელი“ (მაგარი სასმელები), ბოთლებში და სხვა წვრილმანი ხვეული საქონელი.

4) შარიბხანის პრეპარატები; სალვარსანი, ნეოსალვარსანი და მათი ნაწარმოები, თუნდაც დოზებად; ინსულინი—თუნდაც დოზებად.

5) ინგლისური ქინძისთავები, პატარა კოლოფებში, იმ სახით, როგორც ის გადადის მომხმარებლის ხმარებაში.

ამის გამო ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულმა, საზოგადო და კერძო დაწესებულებებმა და პირებმა, რომელთაც აქვთ ზემოჩამოთვლილი საქონელი, ვალდებული არიან ორი კვირის ვადაში, დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა, წარმოადგინონ ეს საქონელი უახლოეს საბაჟოში დადაღვისათვის, საქონელთან ერთად წარმომადგენილ უნდა იქნას განცხადება და, აგრეთვე, საბუთები საქონლის შემოზიდვისა და ბაჟის გადახდის შესახებ.

აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, თუ ზემოჩამოთვლილი საქონელი აღმოჩენილი იქნება საბაჟოს უდაღოდ, მაშინ ისინი იქნებიან კონფისკაციაქმნილი, როგორც კონტრაბანდა.

მთავ. საბაჟო სამმართველოს ა.-კ. განყოფილება.

ნ. 964 3—1

მიიღება ხელისმოწერა 1927 წლისათვის

ყოველთვიურ

სამკურნალო სამეცნიერო ჟურნალ
„თანამედროვე მედიცინა“-ზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის გამოცემა.

ჟურნალის ფასი:
1 წლით . . 10 მან.
½ წლით. . 5 მან.
ცალკე ნომერი 1 მან.

რედაქციის მისამართი: პლეხანოვის გამზირი № 58, ცენტრ. კლინიკ. ინსტიტუტი—ნერვ. სნეულებ. კლინიკა.

2428 25—1

ფოთის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი

პ. კოპალაძე

აცხადებს, რომ ა. წ. 22 აპრილს დილის 12 საათზე, ფოთის სახალხო სასამართლოს დარბაზში გაიყიდება **საჯარო ვაჭრობით** თედორე და სტეფანე ლუკას-ძენი ჩხარტიშვილების ერთი ერთსართულიანი ხის სახლი ექვსი განყოფილებით, დახურული კრამიტით, ორი მხრიდან შუშაბანდით და ერთი სამზარეულოთი, აგებული ფოთში, გურიის ქუჩაზე 200 ოთხკუთხედ საჟენ მიწაზე; სახლი და სამზარეულო შეფასებულია 2500 მან. ამას გარდა გაიყიდება ექვსი ფილუკა 60 მან. ორი თევზის საჭერი ბადე, თითო 240 საჟენი, შეფასებული—630 მან. ვაჭრობა დაიწყება 2500 მანეთიდან. აღნიშნული ქონება დაგირავებული აქვს თბილისის ქალაქის ბანკს ფოთის განყოფილებას 2304 მან. 37 კაპ. გაყიდვა დანიშნულია სოფიო ზოიძის და სხვების პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად საერთო ჯამით 9037—54 კაპ. ბანკის ვალიანით. ვისაც დარჩება საჯარო ვაჭრობაში აღნიშნული ქონება ბანკის ვალის გარდა პირველ რიგში უნდა იქნეს დაკმაყოფილებული შრომის ხელფასი და სხვა სახელმწიფო გადასახადები ჯამით—1462 მან. 13 კაპ.

ვინც ისურვებს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულია ვაჭრობის დაწყებამდე წარმოუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს სამ. საპრ. მე-311 და 312 მუხ. გათვალისწინებული ცნობები. გარდა ამისა, ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარმოადგინონ საწინდარი შეფასებული ჯამის 10 პროც.

ნ. 1020

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

ხაწოლებით

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი

ი. ი. გერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—4

ექიმი

ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25 | 1

ექიმი

ა. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—1

დაიკარგა კოოპერატივის წიგნაკი № 7077—ხარჩილაძეს სახელზე, ჩ. გ. 2431

მ ედმუშაკთა კოლექტივი

აცხადებს, რომ ყველა სპეციალობის **ექიმთა გამოძახება სახლში** მწოლარე ავადმყოფებთან შეიძლება დილის 9 საათიდან, საღამოს 8 საათამდე შემდეგ პუნქტებიდან:

1) მე-6 საბჭ. აფთიაქი (ყ. ზელკინის) ოლღას ქუჩაზე.

2) ყოფ. ჰეინეს აფთიაქი თავისუფლების მოედანზე.

3) მე-7 საბჭ. აფთიაქი კლინიკური ინსტიტუტის (მიხეილის საავადმყოფო) პირდაპირ.

4) სადგურზე მუშკოოპის გვერდით საბარგო სადგურის პირდაპირ.

5) ავლაბარი, მე-9 საბჭ. აფთიაქი, კახეთის ქუჩაზე

ექიმის გამოძახება—60 კ.

საშუალო პერსონალის გამოძახება—35 კაპ.

საფასურის გადახდა პუნქტებზე. იქვე ექიმების მორიგეობა ღამეობით.

2—15

მ დიცინის დოქტორი

ვ. ა. ახვერდოვი

ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ. ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან

25—1

დაიკარგა უვადო პასპორტი—ვარლამ საბას-ძე ირემაძეს სახელზე, ჩ. გ. 2435

დაიკარგა უმუშევარი დამზღვევი წიგნაკი № 7387 და მიწა-ტყის კავშირის წიგნაკი № 18485, გიორგი გიორგის-ძე მოსიევის სახელზე, ჩ. გ. 2401

დაიკარგა პარტიულ საკანდიდატო ბილეთი № 14001, მოცემული ლენინის მაზრის პარტიულ კომიტეტიდან—გიორგი ელისბარის-ძე მამარდაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2433

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 181, სამხ. სამსახურის წიგნაკი ერმილე ბახვას-ძე კეკელიას სახელზე, ჩ. გ. 2433

დაიკარგა სახლის ნაყიდობის საბუთი № 217, გამოტანილი მე-3 უბნის ნატარიუსის კანტორიდან ქრისტინე გიორგის ასული გიგინეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2430

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.